პარლამენტი საკანონმდებლო "დავალიანებას" დროულად გაისტუმრებს

A2

დავით უსუფაშვილი - "რესპუბლიკელების" ახალი ლიდერი

A3

ეუთო სისხლისღვრის გამოძიებას ითხოვს

A5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 21 ივნისი, 2005 წელი. №138 (998)

ფასი 50 თეთრი

"შეწყდეს სამხრეთ ოსეთში კრიმინალების თარეში"

კატეგორიულია საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

ნინო გომართელი

დღეს მოსკოვში ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომა გაიხსნება. მას რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების პირველი მოადგილეებიც დაესწრებიან. ქართული მხარე აცხადებს, რომ მსჯელობა სხდომაზე საკმაოდ პრინციპულ საკითხებზე იქნება. კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ გუშინ ამ საკითხზე პრესკონფერენცია გამართა და მოსკოვში რამდენიმე დღის წინ გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების შედეგებზეც ისაუბრა.

"სამხრეთ ოსეთში კრიმინალების თარეში უნდა შეწყდეს. ჩვენ ვერ შევეგუებით რეგიონში ხალხის უგზო-უკვლოდ დაკარგვას," - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ და განმარტა, რომ დღეს ქართული მხარე კატეგორიულად დასვამს საკითხს - აღმოიფხვრას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ქმედებები.

გაგრძელება A2 გვერდზე

გოგა ხაინდრავა: "თუ ვითარება ასეთი ტემპითა და განწყობით გაგრძელდება, უკვე შემოდგომაზე, დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობა გვექნება, კონკრეტულ შედეგებზე ვისაუბროთ".

ნინო ელიავას ფოტო

დავით უსუფაშვილი - "რესპუბლიკელების" ახალი ლიდერი

დავით ბერძენიშვილის 27-წლიანი პარტიული ლიდერობა ლაგოდეხში დასრულდა

"რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი, რომელიც დაფუძნების დღიდან რესპუბლიკური პარტიის ლიდერია, თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ განცხადება მან გუშინ, ლაგოდეხში პარტიის რაიონული ორგანიზაციის დაფუძნების დროს გააკეთა. მის თანამდებობას ამავე პარტიის წევრი დავით უსუფაშვილი დაიკავებს.

ზვიად რუაძე
ქახეთიდან

"ყველას მინდა განვუცხადო, რომ ასეთ შეხვედრებს ამიერიდან თქვენთან დავით უსუფაშვილი გაატარებს, რადგან დღეიდან მე პარტიის ლიდერი აღარ ვარ," - განუცხადა ლაგოდეხის საზოგადოებას დავით ბერძენიშვილმა. როგორც დავით ბერძენიშვილი ამბობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამ პარტიიდან მიდის. "რესპუბლიკელების" ლიდერი აქტიურ მუშაობას გააგრძელებს პარლამენტში.

ორსაათიანი შეხვედრის დიდი ნაწილი, რომელიც კინოთეატრ "სინემას" დარბაზში მიმდინარეობდა, ხელისუფლების კრიტიკას დაეთმო. როგორც ბერძენიშვილი ამბობს, საკაშვილის გუნდი სახიფათო შემადგენლობით დაკომპლექტდა. **"ისინი, ვინც დღეს მმართველობაში მოვიდნენ, უწიგნურები და უვიცები არიან. მათ მხოლოდ ვიღაც-ვიღაცების ბიზნესის წილში ჩაჯდომა და "დაწერები" იციან. მე არ მინდა, რომ ასეთი პიროვნებების გამო განმეორდეს მთავრობის ხელკეტებით გადაყენება,"** - ამბობს დავით ბერძენიშვილი.

ლაგოდეხში "რესპუბლიკელებს" სათავეში ამავე რაიონის მკვიდრი გელა ნატროშვილი ჩაუდგება. ასეთი გადაწყვეტილების გამო, რაიონის გამგეობამ იგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. გელა ნატროშვილი ლაგოდეხის წყალმეურნეობის თანამშრომელი იყო. **"ასე მითხრეს, ან სამსახური, ან "რესპუბლიკელებიო". მე პარტია ვარჩიე. ასეთი ზეწოლის შედეგად იქ მაინც ვერ გავჩერდებოდი,"** - ამბობს გელა ნატროშვილი.

გუშინვე ხელისუფლებას ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი ლაშა ნაცვლიშვილიც განუდგა. მისი თქმით, გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა "ვარდების მთავრობის" პატიოსნებაში ეჭვი შეეპარა. კონკრეტულად კი, როგორც ნაცვლიშვილი ამბობს, ამ ყველაფრის მიზეზი რამდენიმე დღის წინ სასაზღვრო ნა-

გაგრძელება A3 გვერდზე

ისლამ კარიმოვის რეჟიმი - საფრთხე ცენტრალურ აზიაში აშშ-ს ინტერესებისთვის

ამერიკელი სამხედროები უზბეკეთს ტოვებენ

ნიკა თარაშვილი

უზბეკეთის ხელისუფლებამ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს ქვეყნის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. რუსული ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტასნგ"-ის ცნობით, ქალაქ კარშთან (ჰანაბადი) დისლოცირებული მთავარი ამერიკული ბაზა უკვე გადადის მეზობელ ყირგიზეთსა და ავღანეთში.

გავრცელებული ინფორმაციით, თერმეზის რაიონიდან სამხედრო-საჰაერო ბაზის გადაყვანა ჯერ-ჯერობით დაგეგმილი არ არის. ამერიკელთა გარდა, ამ ბაზაზე გერმანული ბუნდესვერის ნაწილებიცაა განლაგებული.

გასულ კვირას ინფორმაცია სამხედრო-საჰაერო ბაზების დისლოკაციის შეცვლის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად დაადასტურა. **"სამხედრო ხელმძღვანელობამ მიიღო ოპერატიული გადაწყვეტილება აქტივების ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ,"** -

გაგრძელება A5 გვერდზე

უზბეკეთს ამერიკელი სამხედრო მფრინავები აღარ მოსწონს.

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

"24 საათი" გთავაზობთ **საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის პროექტს**, რომელიც შემუშავებულია განათლების სამინისტროს მიერ. ვფიქრობთ, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისთვის. ამიტომ კომპეტენტურ და დაინტერესებულ ადამიანებს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ამ დოკუმენტს, გაზეთი კი მათ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს უყოყმანოდ დაუთმობს ადგილს.

A6-A7

ამინდი

	21/06	22 /06	23 /06
თბილისი	26	25	28
ტყიბული	19	20	23
სოხუმი	18	19	25
დმანისი	20	19	23
გორი	22	21	25
ონი	13	13	19
ზუგდიდი	20	21	25
ახმეტა	26	24	27
გაბარა	16	17	22
სამტრედია	22	22	26

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2050
გირვანქა სტერლ.	3.2868
რუბლი	0.0636

A

ამბები	A2
ამბები	A3
ეკონომიკა	A4
უცხოეთი	A5
პროექტი	A6
პროექტი	A7
სამართალი	A8

B

რევიუ	B2
რევიუ	B3
სპორტი	B4
სპორტი	B5
ავტომობილი	B6
ტენდერი	B7
სხვადასხვა	B8

მაჟორიტარული არჩევნები - პირველი სერიოზული ტესტი

თამარ მჭედლიშვილი

პარლამენტის შუალედური მაჟორიტარული არჩევნები, რომელიც, წესით, ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა გაიმართოს, ახალი ხელისუფლებისთვის პირველ სერიოზულ გამოცდად შეიძლება იქცეს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ოპოზიციური სპექტრი (პირველ რიგში, "კონსერვატორები" და "რესპუბლიკელები") ხელისუფლების მაჟორიტარ კანდიდატებს ერთიან კანდიდატურებს დაუპირისპირებენ. თანაც, ბუნებრივია, ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატები ამომრჩეველში საკმაო პოპულარობით და ავტორიტეტით უნდა სარგებლობდნენ.

ოფიციალურად ჯერ არ არის ცნობილი, კონკრეტულად, ვინ მიიღებს მონაწილეობას მაჟორიტარულ არჩევნებში (შეგახსენებთ, რომ შუალედური არჩევნები საქართველოს რამდენიმე რაიონში უნდა გაიმართოს. მათ შორის - ბათუმში, ქობულეთში, წყალტუბოში, ისანსა და ქედაში).

როგორც კულუარებში ამბობენ, ყველაზე დაძაბულად მაჟორიტარული ორთაბრძოლები ბათუმსა და ისანში წარიმართება. უკვე სახელდებიან ის მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებიც ამ ორ საარჩევნო ოლქში გაერთიანებული ოპოზიციის რჩეულებად მოგვევლინებიან.

ეს, პირველ რიგში, ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორი გიორგი მასალკინი და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ლიდერი თინათინ ხიდაშელი იქნებიან. ამასთან, ორივე "რესპუბლიკელების" კადრია, რომელთაც, ჩვენი ინფორმაციით, "კონსერვატიული პარტია" მხარს აქტიურად დაუჭერს. არ არის გამორიცხული, მათ გვერდით დადგნენ "ახალი მემარჯვენეებიც", თუმცა ეს ვარიანტი მხოლოდ განხილვის სტადიაშია და "ახლები" ოფიციალურად არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. თანაც, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სხვაგან "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" მხარს მათ კანდიდატებს დაუჭერენ. ეს კი ხელს არ აძლევს "კონსერვატიულ პარტიას", რადგან ფრაქციის შესაქმნელად, მათთვის, ისევე, როგორც "რესპუბლიკელებისათვის", თითოეული მანდატი ჰაერივით აუცილებელია.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ევრაზჰოლდინგმა" ქართულ აქტივებზე უარი განაცხადა

"ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხეჰესების" კასკადი, ჭერჭერობით, უპატრონოდ რჩება

მაია ურუშაძე

გუშინ, პრივატიზაციის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული გარიგება "კრახით" დასრულდა. გარიგებაზე უარი თავად რუსულმა კომპანიამ "ევრაზჰოლდინგმა" თქვა და ისიც დასძინა, რომ ქართული მხარე ამას, თურმე, "სრული გაგებით მოეკიდა". "ევრაზჰოლდინგს" არც ის დავიწყნია, რომ ქართულმა მხარემ თავისი ვალდებულებები პირნათლად შეასრულა და კომპანიას "მაქსიმალურად უწყობდა ხელს პროექტის განხორციელებაში". ამის შესახებ ოფიციალური განცხადება კომპანიამ საკუთარ ინტერნეტ-საიტზე გამოკიდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

პირველი განაჩენი

თბილისის მერმა დანაპირების შესრულება დაიწყო

ერთი თვის წინ, თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ 2000-2003 წლებში უკანონოდ გასხვისებულ 350 ათას ჰექტარ მიწის ნაკვეთებს კვლავ თბილისის მუნიციპალიტეტს დაუბრუნებდა. დანაპირების შესრულება ქალაქის მერმა ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის მეორე შესახვევის №17-ში მდებარე "საქნავთობგეოფიზიკის" ტერიტორიის დაბრუნებით დაიწყო. მერის გუშინდელი გადაწყვეტილებით, პრემიერ შერაძის 2002 წლის 17 სექტემბრის №534 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი. სავარაუდოდ, მომავალში ხმაურის მიზეზი წყნეთში მდებარე კოტეჯების საკითხი გახდება.

თამარ დვალი

2005 წლის 25 მაისს თბილისის მერმა განსახილველად მიიღო თბილისის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციისა და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის კავშირის ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივარი ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის მეორე შესახვევის №17-ში მდებარე "საქნავთობგეოფიზიკის" ლაბორატორიული კორპუსის არაკანონიერ გასხვისებას ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საგანგებო ბრიფინგი მოიწვია და თავისი გადაწყვეტილება საზოგადოებას გააცნო, რასაც "საქნავთობგეოფიზიკის" ხელმძღვანელობის უკმაყოფილება მოჰყვა.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. "საქნავთობგეოფიზიკის" შენობა იყო სახელმწიფო საკუთრება, და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არანაირი უფლება არ ჰქონდა, მოეხდინა მისი საბინაო ფონდში ჩარიცხვა. ეს არ იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება, ეს იყო სახელმწიფო საკუთრება. აქედან გამომდინარე, თბილისის მერია იყო არაუფლებამოსილი პირი, როდესაც განკარგავდა ამ შენობას. თავის დროზე ეს შენობა 171 ათას დოლარად იქნა შეფასებული. მისი გასხვისება მოხდა ისე, რომ სახელმწიფოს კაპიკი არ მიუღია," - განაცხადა თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. მისივე განმარტებით, თუკი ვინმე მისი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩება, სრული უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. რაც შეეხება თბილისის მაშინდელი პრემიერისა და სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ამის შესახებ, მისი თქმით, პროკურატურა იმსჯელებს.

მერის ახალმა გადაწყვეტილებამ "საქნავთობგეოფიზიკის" ყოფილი თანამშრომლების უკმაყოფილება გამოიწვია.

"თუკი მერიაში შეცდომა დაუშვეს, ჩვენ რა შუაში ვართ? მოვითხოვთ, შენობა დაგვიბრუნონ საკუთრებაში. მერის გადაწყვეტილება უკანონოა და მას აუცილებლად გავასაჩივრებთ. ჯემალ ამირანაშვილი, რომელიც კომუნისტების პერიოდშიც აქ მუშაობდა, ახლა ამ საკითხს ლობირებს," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ერთ-ერთმა მესაკუთრემ დარეჯან ღირსიაშვილმა. ამ შენობაში ბინა სულ 22 ოჯახს აქვს მიღებული, თუმცა ამჟამად იქ რამდენიმე დევნილი და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ოჯახები ცხოვრობენ.

თბილისის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის მთავარი სპეციალისტი ჯემალ ამირანაშვილი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მან შერაძის პრემიერობის დროინდელი უამრავი დარღვევა აღმოაჩინა, რომლის შესახებაც პირველად საკრებულოს თავმჯდომარეს ზაზა ბეგაშვილს შეატყობინა, თუმცა ბეგაშვილი ამ საკითხებით არ დაინტერესებულა.

"შერაძემ ბევრი დანაშაული ჩაიდინა და მის უკანონო ქმედებებს მომავალშიც გამოვავლენთ. ცოტა ხანში, წყნეთში არსებული დარღვევების შესახებ გავაკეთებთ განცხადებას. იქ ბევრი არასაცხოვრებელი ფართია საბინაო ფონდად გამოცხადებული. წყნეთში მდებარე 45 კოტეჯი მალე გახდება მსჯელობის საგანი. საქმეში ურევია "საქნავთობგეოფიზიკის" დირექტორი გურამ სანოძეც, რომელსაც ხუთ სულზე 126 კვადრატული მეტრის ბინა აქვს მიღებული. მან 171 ათასი დოლარის ქონება უკანონოდ მიითვისა," - განაცხადა ამირანაშვილმა.

"საქნავთობგეოფიზიკის" დირექტორი გურამ სანოძე შეეცადა, მერის განკარგულება პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის 120-ე განკარგულების საფუძველზე ბათილად გამოეცხადებინა, თუმცა მის ამ მოსაზრებას თბილისის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის უფროსი გიორგი ხაბაშვილი არ დაეთანხმა. სანოძე აპირებს, მერის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლაბორატორია მთლიანად გაიძარცვა. შენობაში დევნილები და სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობა შეიჭრა. ქალაქის მთავრობას ვთხოვეთ, შენობა ჩვენთვის გადმოეცა. მაშინდელი ვიცე-პრემიერი მეძმარიაშვილი შეგვპირდა, თუკი დევნილებს გამოვიყვანდით, შენობას მოგვცემდა. ვაკე-საბურთალოს რაიონული და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, ლაბორატორიაში უკანონოდ შეჭრილი ხალხის გამოსახლება მოვახერხეთ. ქალაქის მთავრობამ პირობა შეასრულა და პრემიერის განკარგულებით, შენობა საბინაო ფონდის სახით გადმოგვცა. შემდგომში კი, საკრებულოს მაშინდელმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა ბინის ორდერებიც მოგვცა," - აცხადებს გურამ სანოძე.

შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია). dato.gogichaishvili@aec.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე: 98-57-81

"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.

პირობები:

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58

პარლამენტი საკანონმდებლო "დავალიანებას" დროულად გაისტუმრებს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომები გასულ პარასკევს დასრულდა, თუმცა საკანონმდებლო ორგანო მუშაობას განაგრძობს: შვებულებაში გასვლამდე, დეპუტატებმა 50-ზე მეტი კანონპროექტი უნდა განიხილონ და დაამტკიცონ. ამის გაკეთებას ისინი 23-24 ივნისისთვის დაგეგმილ რიგგარეშე სხდომებზე აპირებენ.

ირაკლი ლეჟავა/ფოტოკორ.

ნიკო ლეკიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი იმდენად შეწუხდნენ ქვირაობით რესთაველის გადაკეტვით, რომ ეს თემა პარლამენტის ბიუროს მსჯელობის საგნად აქციეს.

ერთ-ერთი ყველაზე "საშარო" კანონპროექტი, რომელიც დეპუტატებს პლენარული სხდომებიდან "ვალად" გადმოჰყვათ, ბინის მფლობელებსა და მოსარგებლეებს ("ოტსტუპნიკებს") შორის სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას შეეხება. ეს დოკუმენტი ბიუროს გუშინდელ სხდომაზე პარლამენტარების ყურადღების ცენტრში მოექცა.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს, როგორც ჩანს, ამ საკითხის გარშემო გაჩაღებული კულუარული ომი მობეზრდა და კოლეგებს შესთავაზა, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანა დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნილიყო და "ოტსტუპნიკების" პრობლემა სასამართლოებისთვის "გადაელოცათ".

ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომლის თქმითაც, თუ "ოტსტუპნიკებთან" დაკავშირებულ საკითხებს სასამართლოები განსჯიან, ეს სრული კატასტროფა იქნება".

"რადგან რამდენიმე დეპუტატი გაბრაზდა და ერთმანეთში ვერ შეთანხმდა, არ შეიძლება, ამის გულისთვის უბრალო ხალხზე გადატყდეს ჯოხი. საკითხი ფრაქციის სხდომაზე გავიტანოთ და იქ გავარკვიოთ, ვის ამოძრავებს პირადი ინტერესები," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

სხვათა შორის, ბიუროს გუშინდელი სხდომის მიმდინარეობისას, "პირად ინტერესებზე" პირველად თავად ლევან ბეჟაშვილი ალაპარაკდა, თუმცა, მან გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ, როგორც ბინის მეპატრონეებს, ისე ბინით მოსარგებლეებს პარლამენტში თავისი ლობისტები ჰყავთ.

ლევან ბეჟაშვილისა და მისი კომიტეტის მისამართით საყვედურს მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილიც გამოთქვამს. ამ უკანასკნელის განცხადებით, "რეგულირების საფასურის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით არსებობდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხუთგვერდიანი უარყოფითი დასკვნა, რომელშიც საუბარი იყო დოკუმენტის ანტიკონსტიტუციურ ხასიათზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, კომიტეტის ხელმძღვანელობამ პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი დადებითი კუთხით წარმოადგინა, რამაც ბევრი პარლამენტარი შეცდომაში შეიყვანა.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის ბრალდებას ლევან ბეჟაშვილი გუშინ იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ გამოეხმაურა, რომ "ოტსტუპნიკების" საკითხზე მსჯელობის დასრულებისთანავე, მან ბიუროს სხდომა დატოვა, რაც ზოგიერთი დეპუტატის მიერ პროტესტის ერთ-ერთ ფორმად იქნა აღქმული.

როგორც კი საარჩევნო თემატიკაზე მიდგება საქმე, "ოტსტუპნიკების" პრობლემა უკანა პლანზე გადადის - რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილია "მემარჯვენე ოპოზიციის" საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევითობას ითვალისწინებს. როგორც ცნობილია, ხელისუფლება ამ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და მოითხოვს, რომ დედაქალაქის მერი საკრებულოს შემადგენლობიდან იყოს არჩეული. შესაბამისი კანონპროექტის ავტორი გიგა ბოკერია მივლინებაში იმყოფება და რიგგარეშე სხდომას ვერ დაესწრება, ამიტომ მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის რომელიმე წარმომადგენელი წარადგენს.

დავის საგანი ხდება შემოდგომისთვის დაგეგმილი შუალედური არჩევნებიც: პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა პავლე კუბლაშვილმა გუშინ საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ექვს საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი მაჟორიტარული არჩევნები, ოქტომბერ-ნოემბრის ნაცვლად, სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართება.

არჩევნების ვადების შეცვლას "მემარჯვენე ოპოზიცია" კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

"აგვისტოსა და სექტემბერში ქობულეთსა და ბათუმში გახურებული საკურორტო სეზონია და ამ დროს იქ საარჩევნო კამპანიის გამართვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია," - პროტესტს გამოთქვამს მამუკა კაციტაძე, ვისთვისაც აუხსნელი რჩება, თუ რა მოტივით "აჩქარებს" ხელისუფლება შუალედური არჩევნების ჩატარებას.

პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, დეპუტატებს სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემებიც აღელვებთ: ბიუროს სხდომაზე პარლამენტარები დიდხანს მსჯელობდნენ კვირას რუსთაველის გამზირზე ქალაქის მერიის მიერ ორგანიზებულ გასართობ ღონისძიებაზე.

"სახალხო სეირნობა კარგია, მაგრამ ხმაურიანი კონცერტები ქუჩაში ღამის ორ საათამდე არ უნდა გრძელდებოდეს. რუსთაველის გამზირზე მცხოვრებლებს კვირას მოსვენება არ ჰქონდათ. შეწუხებული მოსახლეობა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც სახლში პატარა ბავშვები ჰყავს, წარმოდგენილი მაქვს, კვირას რა დითირამბებს უძღვნიდა ხელისუფლებას," - აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც სულაც არ მალავს, რომ 19 ივნისს "დაზარალებულთა" შორის მისი ოჯახიც აღმოჩნდა.

"გამიცავლეთ ბინა!" - "ეხვეწებოდა" გუშინ კოლეგებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. ბიუროს სხდომაზე ასეთი ვარაუდიც გამოითქვა: "მემარჯვენე ოპოზიციამ" როკ-ჯგუფი სპეციალურად დააყენა მიხეილ მაჭავარიანის საცხოვრებელ სახლთან, რათა ვიცე-სპიკერს ძილი გაკრთომოდა.

"შეწყდეს სამხრეთ ოსეთში კრიმინალების თარეში"

ვირველი გვერდიდან

სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, ქართული, ოსური, ჩრდილოეთ ოსური და რუსული მხარეები 6 ივნისს ცხინვალიდან გაუჩინარებული ოთხი ქართველის საკითხს განიხილავენ.

სახელმწიფო მინისტრი არ გამორიცხავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრების პირველმა მოადგილეებმა ხელი მოაწერონ ერთობლივ დოკუმენტს ანტიკრიმინალური მომართულებით თანამშრომლობის შესახებ. ამასთან, გოგა ხაინდრავას თქმით, რუსეთი, რომელმაც თავის დროზე რეგიონში ვითარების დარეგულირების პასუხისმგებლობა აიღო, **"ვალდებულია დააფიქსიროს თავისი პოზიცია კონფლიქტის ზონაში შექმნილ კრიმინალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით."**

ამას გარდა, გოგა ხაინდრავა კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალებისგან მოითხოვს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

"თუ ეს არ მოხდება, მაშინ სამშვიდობო ძალები იძულებულნი იქნებიან, განაცხადონ თავიანთი სისუსტის და ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ," - ამბობს იგი.

შსკ-ს სხდომაზე ქართული მხარე, ასევე, დააყენებს რეგიონში დემილიტარიზაციის პროცესის დასრულების საკითხს.

რაც შეეხება მოსკოვში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების შედეგებს, პირველ ივლისს, გალში შედგება მორიგი შეხვედრა, სადაც საუბარი შეეხება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ხელი მოეწერება დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც დევნილთა ხელახალი გადათვლა მოხდება. მათი დაბრუნების პროცესის დაწყებას კი სახელმწიფო მინისტრი სექტემბერში ვარაუდობს.

"თუ ვითარება ასეთი ტემპითა და განწყობით გაგრძელდება, უკვე შემოდგომაზე, დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობა გვექნება, კონკრეტულ შედეგებზე ვისაუბროთ როგორც სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის, ისე ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების კუთხით," - აღიშნავს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და იმედს გამოთქვამს, რომ ეს პოზიტიური სვლა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებს ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებამდე მიიყვანს.

თბილისის ათი სკოლა ახალ სასწავლო წელს განახლებული დახვდება

მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 5 მილიონი დოლარით, სულ, თბილისის 20 სკოლის შეკეთებაა გათვალისწინებული. სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი, 10 სკოლის გამაგრება, აგვისტოს ბოლოს დასრულდება. საქართველოს სოციალური დაცვის ფონდი, რომელიც სკოლების გამაგრების პროგრამას ახორციელებს, პირველი ეტაპის ვადის გაგრძელებას ითხოვს, რათა გეგმით გაუთვალისწინებელი ორი სკოლის გარემონტებაც მოასწროს. დანარჩენი 10 სკოლა კი მეორე ეტაპზე შეკეთდება.

ნანა ქადაგიშვილი

მსოფლიო ბანკის 10 მილიონდოლარიან კრედიტზე, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სკოლებისა და საბავშვო ბაღების გამაგრებას უნდა მოხმარებოდა, საუბარი ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყეს და საგანმანათლებლო დაწესებულებების აღდგენის ორწლიანი პროგრამაც შეიქმნა. პროგრამის ფარგლებში თბილისის 128 სკოლისა და საბავშვო ბაღის მეოთხე და მესამე კატეგორიის ავარიული შენობები უნდა გამაგრებულიყო. მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გვპირდებოდა, რომ სამ წელიწადში დედაქალაქის კედლებდაბზარულ სკოლებს ვეღარ ვიცნობდით.

მას შემდეგ სკოლების შენობების მდგომარეობა, გარკვეულწილად, გაუმჯობესდა, მაგრამ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ჯერჯერობით, მხოლოდ 7 სკოლა გამაგრდა, რადგან თანხის გადმორიცხვა და ფორმალური მხარეების მოგვარება კარგახანს გაჭიანურდა. ამის გამო, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა საქმიანობა, ფაქტობრივად, 2004 წელს დაიწყო. თანაც, 10-ის ნაცვლად, 5 მილიონი დოლარით. 2003 წელს მსოფლიო ბანკმა თბილისის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაკეთებლად შეპირებული კრედიტი 5 მლნ. დოლარამდე შეამცირა. შესაბამისად, შესაკეთებელი დაწესებულებების რაოდენობამაც იკლო. მსოფლიო ბანკმა შენობების შერჩევის პრინციპიც თვითონ შემოგვთავაზა. პროგრამიდან საბავშვო ბაღები საერთოდ ამოიღეს, სკოლები კი ამოარჩიეს სამი ნიშნის მიხედვით - დატოვეს მხოლოდ ის შენობები, სადაც მერიას არანაირი სარემონტო სამუშაო არ ჩაუტარებია, რომელ სკოლაშიც ფართის 10 პროცენტზე ნაკლებია გაქირავებული და სადაც დატვირთვის კოეფიციენტი, სხვა სკოლებთან შედარებით, ნაკლებია. ამ კრიტერიუმებით, 128 საგანმანათლებლო დაწესებულების ნაცვლად, 20 განსაკუთრებით დაზიანებული სკოლა შეირჩა.

პირველ ეტაპზე, აგვიტოს ბოლომდე, 10 სკოლა გარემონტდება. აქედან შვიდის გამაგრება უკვე დასრულდა. დანარჩენი სამის გამაგრება კი დაგეგმილ ვადამდე მოესწრება. როგორც ფონდის ხელმძღვანელი კარლო ბარდაველიძე აცხადებს, 10 შენობის გასამაგრებლად გათვალისწინებული თანხა კიდევ ორი სკოლის აღდგენას ეყოფა. ამიტომ, იგი პირველი ეტაპის ვადის გაგრძელებას ითხოვს. მეორე ეტაპზე კი დანარჩენი 10 სკოლა გარემონტდება.

რაც შეეხება სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოს ხარისხს, სკოლების ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან. როგორც 165-ე სკოლის დირექტორი აცხადებს, სკოლის შენობა საფუძვლიანად გარემონტდა, საძირკველი გამაგრდა, შიდა სამუშაოებიც ჩატარდა: მეოთხე სართული, სველი წერტილები, სპორტდარბაზი და, ნაწილობრივ, პირველი სართული გარემონტდა.

მოკლედ

ევნევიჩი უარყოფს ცნობებს, თითქოს რუსული ბაზების ტექნიკას აფხაზეთის გავლით გაიყვანენ

რუსეთის სამშვიდობო ძალების სახმელეთო ჯარების მოადგილე, გენერალ-მაიორი ვალერი ევნევიჩი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მან განაცხადა, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების ტექნიკას აფხაზეთის ტერიტორის გავლით გაიყვანენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ევნევიჩი დაუკავშირდა სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავას და საკუთარი პოზიცია გააცნო. თუ რა მარშრუტით გავა რუსული ბაზების სამხედრო ტექნიკა და პირადი შემადგენლობა საქართველოდან, რეგულირდება რუსულ-ქართული ხელშეკრულებით და არა რომელიმე გენერლის პირადი მოსაზრებით, - აცხადებენ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაიწყო იმ პირთა განცხადებების მიღება, რომელთაც საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეობა ან წევრობა სურთ.

განცხადებების მიღება ექვს ივლისს დასრულდება. 12 ივლისამდე საარჩევნო ადმინისტრაციებში მუშაობის მსურველთა სიები ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდება. კონკურსი 27 ივლისამდე გასტანს. კონკურსანტებს გასაუბრების საფუძველზე შეარჩევენ. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დაარწმუნა აზერბაიჯანის ხელისუფლება, რომ სამხედრო ტექნიკის საქართველოდან სომხეთში გაყვანა არ შეცვლის ძალთა ბალანსს რეგიონში. ლავროვის თქმით, მთელი ტექნიკა მხოლოდ რუსეთის ბაზაზე განთავსდება და არ გადაეცემა სომხეთის შეიარაღებულ ძალებს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ მას სჯერა ლავროვის და აზერბაიჯანი საკუთარი არმიის გაძლიერებას რუსეთიდან შეძენილი ტექნიკის ხარჯზე აპირებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან სულ 99 რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა. 11 წლის განმავლობაში ორ მშვიდობისმყოფელს რუსეთის გმირის წოდება მიენიჭა, 27-მა ცისფერჩაფხუტიანმა კი მიიღო ორდენი მამაცობისთვის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების საგანგებო საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიას არაობიექტურობაში ადანაშაულებს. "ეუთოს მონიტორინგის ოფიცრები დასკვნაში მონიტორინგის რეალურ შედეგებს აყალბებენ," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. ამ მოტივით, 20 ივნისს ჩოჩიევმა კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს კულახმეტოვს წერილით მიმართა, სადაც ეუთოს მისიის კონფლიქტის ზონაში საქმიანობის შესწავლა და მისიის ხელმძღვანელის, ბულგარელი განჩო განჩევის გაწვევა მოითხოვა. ეუთოს მისიამ საპასუხო განცხადებით ჩოჩიევის ბრალდება უარყო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცესკო-მ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრები დაიწყო. 20 ივნისს ცესკო-ს წევრები "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს, ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილს, "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელ დირექტორ თამარ ჟვანიას, "სახალხო ფორუმის" წარმომადგენელს ირაკლი მელაშვილსა და "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერს ნანა კაკაბაძეს შეხვდა. ცესკო-ს თავმჯდომარის გია ქავთარაძის განცხადებით, პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრები საარჩევნო სისტემისადმი მათი დამოკიდებულებისა და პრობლემების გასაცნობად იმართება. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახებისთვის დახმარების მოთხოვნით, სამჩაბლოსა და აფხაზეთის ომების ვეტერანებმა ორშაბათს მთავრობის კანცელარიასთან და გმირთა მოედანზე მშვიდობიანი აქცია გამართეს. ვეტერანები ხელისუფლებას მათი ინტერესების იგნორირებაში ადანაშაულებენ და დაღუპულ მეომართა ოჯახებისთვის მატერიალურ დახმარებას ითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში კოდორის, ლენტეხისა და მესტიის რაიონების წარმომადგენლები პრესკონფერენციას გამართავენ და კოდორის ხეობაში ბატალიონ "მონადირის" გაუქმების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას განიხილავენ. როგორც ზემო სვანეთის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრი მირონ ფირცხელანი აცხადებს, კოდორის ბატალიონის გაუქმების შემდეგ, რუსი სამშვიდობოები მოსახლეობისაგან იარაღის ამოღებასა და ხეობაში შესვლას ცდილობენ, რათა შემდგომში მესტიის საზღვრამდე ტერიტორიის გაკონტროლება შეძლონ. მოსახლეობა ხელისუფლებისგან სასწრაფო ზომების მიღებას ითხოვს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

დავით უსუფაშვილი - "რესპუბლიკელების" ახალი ლიდერი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

წილის ირგვლივ გაკეთებული განცხადებები გახდა. **"მე ეჭვი მქონდა, მაგრამ უკვე ფაქტი სახეზეა, რომ ეს მთავრობა რევოლუციის დღეს საკუთარი თავისუფლებისთვის იბრძოდა და არა ამომრჩევლისთვის. რაც შეეხება პროკურატურაში ჩემ გამოძახებას, ესეც იმის ნათელი მაგალითია, რომ სასამართლო უწყება კვლავ დიქტატორულ რეჟიმშია, რაზეც გული მწყდება. თუ ვინმეს ბიწაძესთან უნდა დაპირისპირება, ამისთვის სხვა მეთოდები უნდა გამოიყენონ და არ უნდა გაწირონ უდანაშაულო ადამიანები,"** - განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.

დავით ბერძენიშვილი, ლაშა ნაცვლიშვილი და დავით უსუფაშვილი ლაგოდეხის საზოგადოებასთან შეხვედრაზე.

ზაქარია რუსაძის ფოტო

"რესპუბლიკელების" რაიონული ორგანიზაციის დაფუძნებას წინ უძღოდა ლაშა ნაცვლიშვილის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე. დარბაზში მყოფი აუდიტორია დეპუტატებისგან იმ საკითხებზე პასუხის გაცემას ითხოვდა, რომლებიც, როგორც ნაცვლიშვილმა განაცხადა, იმიტომ არ განუხილია, რომ იგი ავადმყოფობდა და სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

მაჟორიტარული არჩევნები - პირველი სერიოზული ტესტი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲐᲜ

ასე რომ, ყველა ნიშნის მიხედვით, "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ერთმანეთთან შეთანხმებულად იმოქმედებენ, რაც მმართველ "ნაციონალურ მოძრაობას" საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არის, რომ ეს ორი ოპოზიციური პარტია უკვე დღეს საკმაოდ ხმამაღლა აცხადებს, რომ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს ცესკო პარტიული ნიშნით აკომპლექტებს და **"მათ შემადგენლობაში სანდო ადამიანების შეყვანას გეგმავს, რაც არჩევნების გაყალბების მცდელობის სიგნალია."**

გიორგი მასალკინმა უკვე მიიღო მონაწილეობა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. იგი კენჭს ბათუმში იყრიდა და ორიდან ერთ საარჩევნო ოლქში გაიმარჯვა კიდეც.

მმართველი "ნაციონალური მოძრაობისათვის" სწორედ მათი საპირწონე კანდიდატების მოძებნა იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი, რადგან იგივე ბათუმში, არაოფიციალური ინფორმაციით, "რესპუბლიკელების" რეიტინგი სულ უფრო მატულობს.

დანამდვილებით არის ცნობილი, რომ "ნაციონალური მოძრაობა", ამ ეტაპზე, სავარაუდო კანდიდატურებს ჯერჯერობით არ განიხილავს. კანდიდატების შერჩევის პროცესი, სავარაუდოდ, ორიოდე კვირაში დაიწყება და ნებისმიერ შესაძლო კანდიდატს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტთან შეათანხმებენ. ამ ეტაპზე ერთი რამის თქმა უკვე შესაძლებელია: ბათუმსა და ისანში მმართველი "ნაცმოძრაობა" და მიხეილ სააკაშვილი გიორგი არველაძისა და დავით კირკიტაძის ფრთის არჩევანს მიანიჭებს უპირატესობას. ეს კი ნიშნავს, რომ ნინო ბურჯანაძის ფრთამ, შესაძლოა, არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატი წარმოადგინოს. თუმცა, თუკი ეს ვერსია გამართლდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დახმარება მხოლოდ არაფორმალური, არაა-ფიშირებული იქნება.

რაც შეეხება სხვა რაიონებს, ჯერჯერობით, პარტიები კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატების დასახელებისაგან თავს იკავებენ. არაოფიციალური ინფორმაციით, იქ ადგილობრივი კადრები იყრიან კენჭს - ძირითადად, რაიონების გამგებლები ან საკრებულოების თავმჯდომარეები.

იუბილე კარვებითურთ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲭᲐᲑᲐ ᲐᲜᲐᲜᲘᲫᲔ
ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ

მას ზუსტად ერთი წელია, "უმაღლესი საბჭოს" სახელით იცნობს საზოგადოება და ხალხმა იცის, რომ აჭარის საკანონმდებლო ორგანო ახლაც იმ მაღალ შენობაშია განთავსებული, რომლის წინ გავლაც ცამეტი წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ. ახლა დადიან და შედიან კიდეც, მაგრამ უკან არაფერი გამოაქვთ, ანუ გაუსაძლისი პირობების გამოსწორებას ხალხს გამახურდიას №8-შიც არავინ ჰპირდება.

რავოლუციის შემდეგ ჯერ დროებითი საბჭო შეიქმნა, რომლის წევრებიც პრეზიდენტის ბრძანებულებით დაინიშნნენ. კრიმინალურ მთავრობაზე გამარჯვების ეიფორიულმა სიტუაციამ გავლენა დროებით საბჭოზეც იქონია: იგი ნაჩქარევად და ნაწილობრივ შემთხვევითი გამვლელებითაც შეივსო, მაგრამ ხელფასები ერთ საბჭოში მყოფ "გამვლელებსაც" და რევოლუციის გმირებსაც ერთნაირი ჰქონდათ - 800 ლარი, თანხა რომლის სამი თვის დანაზოგით ავტომანქანების შეძენაც კი მოახერხეს დროებითი საბჭოს "მარჯვე" წევრებმა. მათ მცირე დროით არსებობის მიუხედავად, დიდი საქმეების გაკეთება შეძლეს: პროტექტორების შემოსულ ზარებს ოპერატიულად პასუხობდნენ და შეძლებისდაგვარად არც ერთ ახლობელსა თუ ნათესავს არ ტოვებდნენ დასაქმების იმედის გარეშე, ბევრი დაასაქმეს კიდეც, მაგრამ მათ მსგავსად აღმოჩნდა, რომ ისინიც დროებით დაუსაქმებიათ. ასე "იდროებითეს" 2004 წლის 20 ივნისამდე, მაგრამ ზოგიერთმა დროებითი საბჭოდან უმაღლეს საბჭოში გადაინაცვლა.

მხოლოდ ერთეულებმა (თამაზ დიასამიძემ, ელგუჯა მაკარაძემ) დროულად შეაფასეს აღნიშნული საბჭოს არაფრის მომცემი არსებობა და ჯერ კიდევ მის გაუქმებამდე განაცხადეს უარი საბჭოს წევრობაზე.

2004 წლის 20 ივნისს, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, საბჭოს დღევანდელი წევრები სხვადასხვაგვარად იხსენებენ და განსხვავებულადაც აფასებენ. ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა გამარჯვებული აჭარის" თავმჯდომარე კახაბერ მიქელაძე რევოლუციურ დამსახურებას და ამომრჩევლებს უმადლის უმაღლესი საბჭოს წევრობას. მას არც მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული ნათესაური კავშირი უქმნის დისკომფორტს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი ოპოზიციისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ნათესაურ კლანზე საუბრო თემის მყარ ნიადაგადაც არა ერთგზის გამომდგარა.

"20 ივნისის არჩევნებში ერთიანმა ნაცმოძრაობამ გაიმარჯვა და პირველი სესია 8 ივლისს ჩატარდა. ამის შემდეგ უმაღლეს საბჭოში ფრაქცია ერთიანი ნაცმოძრაობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსს ატარებს,"- ამბობს კახა მიქელაძე. ოპოზიციონერების აზრით კი აჭარის უმაღლესი საბჭო ისევ ძველი მოჰიკანებით დაკომპლექტდა. ოპოზიციური კურსის ერთგული მურმან დუმბაძე აცხადებს: "დღეს, აჭარის უმაღლეს საბჭოში არიან ლიდერები, მაგალითად ზურაბ მიქელაძე, აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე და ავთანდილ აბაშიძე, რომლებიც **"მოქალაქეთა კავშირის"** სიით მოდიოდნენ 2 ნოემბრის არჩევნებში, ანუ ისინი ხმას "ნაციონალურ მოძრაობას" ვერ მისცემდნენ. ვერც ეკა ხერხეულიძე მალავს, რომ იგი "აღორძინების ახალგაზრდული კავშირის" თბილისის შტაბის წევრი იყო. სააკაშვილი ამ ძალებს ეყრდნობა იმიტომ, რომ ისინი რეპუტაციაშელახულები არიან და შესაძლოა, ადვილადაც მართონ. სწორედ ამიტომაა უმაღლესი საბჭო უვარგისი. ეს საბჭო არაფრით განსხვავდება აბაშიძის უზენაესი საბჭოსაგან. მაგალითისთვის: აბაშიძისგან მემკვიდრეობით მიღებული ღია კენჭისყრით არჩევნებიც კმარა. ამ მეთოდით ჩვენ საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ მახარაძე ავირჩიეთ. ეს საბჭო იმდენად უსუსური და უუნაროა, რომ ვერც ერთი წევრი რომელიმე დარღვევაზე ხმის ამოღებასაც კი ვერ ბედავს. პრეცედენტად შეიძლება ვარშალომიძის კლანის წინააღმდეგ ეკა ხერხეულიძის გამოსვლა ჩაითვალოს, თუმცა ყველამ იცის, რომ ეს კობა ხაბაზისგან იყო ინიცირებული. მეტსაც გეტყვით, ეს იყო მთავრობისა და ხერხეულიძის გარიგება, რათა რეალური ოპონენტი დაჩრდილულიყო."**

მურმან დუმბაძე მთავრობის "ასლანისტებით" დაკომპლექტებაზეც საუბრობს: **"ზურაბ ბარამიძე, რომელიც აბაშიძის პერიოდში განსახლების მინისტრის მოადგილე იყო, დღესაც პოლიტიკის აქტიური სახეა. რა ხდება კონტროლის პალატაში? აქ თავმჯდომარე ანზორ ზოიძეა, რომელიც გაქანებული "ამღორძინებელი" და "მამალი სპიკერატიტი" იყო. თუმცა ყველაფერში დამნაშავე საქართველოს პრეზიდენტია, რომელმაც "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" პარტიის წევრებით არჩია ხელისუფლების დაკომპლექტება."**

იმ დროს, როცა უმაღლესი საბჭოს წევრები ერთმანეთს წარსულს ვერ პატიობენ და "ასლანისტების" გამორკვევით არიან დაკავებულნი, სესიებს იმ ვიწრო ოთახში ატარებენ, სადაც საქმეებს მუხლებზე ფურცლავენ, თუმცა აღნიშნული საქმეები ისევ მათი საპენსიო უზრუნველყოფით, ავტომანქანების შეძენითა და სხდომათა დარბაზის მშენებლობის საკითხებით შემოიფარგლება. უმაღლესი საბჭოს დაფინანსება 127 ათასი ლარით გაიზარდა, რომელიც ალბათ სხდომათა დარბაზის ასაშენებლადაც ეყოფათ და ხელფასებსაც საგრძნობლად გაიზრდიან, ან კიდევ თანხას იმ ვოიაჟებში მოიხმარენ, რომელიც უფრო ნაცმოძრაობის გენერალური შტაბის უფროსის გიორგი არველაძის მიერ გამოძახებას ჰგავდა და არა ნებით ჩასვლას. **"რაც შეეხება თბილისში უმაღლესი საბჭოს წევრების ჩასვლას, ეს სპეცრეისები ძალიან ძვირი დაჯდა. მაშინ როცა აქაურები იქ გატეხილ სკამებზე ისხდნენ და ელოდებოდნენ გიორგი არველაძის თითის დაქნევას, დავით ბაციკაძე და ხათუნა სამნიძე ნაცმოძრაობის რიგებს ტოვებდნენ,"**-აცხადებს მურმან დუმბაძე, თუმცა უმაღლესი საბჭოს მუშაობით ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის უკმაყოფილებაზე მარტო ოპოზიცია არ საუბრობდა.

"კარგია, როცა ცენტრალური ხელისუფლების ეშელონები ასე ხშირად ხვდება რეგიონის ხელმძღვანელობას, რადგან მათთან შეხვედრისას სხვადასხვა საკითხებს გავნიხილავთ, ყველა დეპუტატმა საკუთარი ხარჯები გაიღო საამისოდ," - განაცხადა კახა მიქელაძემ, თუმცა რა საკითხების გადაწყვეტას მიეძღვნა მათი თბილისური ვოიაჟი, ვერ დაკონკრეტდა, რადგან შედეგი არ ჩანს.

იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელიც თავზესაყრელია და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ყოველი ბათუმელისათვის, მართალია უმაღლესი საბჭო ვერ შეძლებს, მაგრამ მას საკანონმდებლო ფუნქციის პარალელურად მთავრობასა და ხალხს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულებაც უჭირს, თუმცა ნაცმოძრაობის თავმჯდომარე იმ საკითხებზე საუბრობს, რომლებიც თურმე მათი შუამავლობით გადაწყდა. **"ნებისმიერ ხელისუფლებას ბათუმის განაშენიანების ბრტყელ-ბრტყელი გეგმები ჰქონდა შემუშავებული, დაიწყებდნენ ბულვარიდან და სამთავრობო შენობებით შემოიფარგლებოდნენ. დღეს კი სარემონტო სამუშაოები ქალაქის ყველა ქუჩაზეა დაწყებული, არ არის გამოყოფილი პრესტიჟული უბნები. მაგალითად ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე ფილაქნები დაიგო, ასევე მთისძირის გზაც შერემონტდა და თან ისე, ჯერ რომ არ ღირსებიათ. ეს არის ის გეგმა, რომლითაც ქალაქი უნდა განთავისუფლდეს იმ სატრანზიტო მოძრაობისაგან, რომელიც ქალაქისთვის შეუფერებელია,"** - აღნიშნავს კახა მიქელაძე და გზების მშენებლობა თუ საკანალიზაციო სისტემების წესრიგში მოყვანა პრიორიტეტულ საკითხებად მიაჩნია. უმუშევრობასა და სოციალურ პრობლემებს ის ასე აფასებს: **"დღეს შეიძლება არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა უხდებოდეს ხელისუფლებას, მაგრამ საზოგადოება მალე დაინახავს, რას ვთესავთ. თუ ეს არ გავაკეთეთ, ყოველთვის მაჩანჩალა სახელმწიფო ვიქნებით გაბერილი სახელმწიფო ადმინისტრაციით, რაც მნიშვნელოვნად შემცირდა და ამის ხარჯზე ხელფასები გაიზარდა."**

77 ნორმატიული აქტი, ბათუმისათვის დედაქალაქის სტატუსის გაუქმება და მოგვიანებით მიღებული რეგლამენტი - აი ის, რისი მკვეთრად გამოყოფაც შეიძლება უმაღლესი საბჭოს მუშაობისაგან. **"ერთადერთი საქმე, რაც უმაღლესმა საბჭომ გააკეთა, ჩოლოქზე საზღვრის გაუქმება,"** - ასე აფასებს საბჭოს ერთი წლის ნამოღვაწარს რესპუბლიკელი მურმან დუმბაძე.

ერთი წლის წინ გამოთქმული მოსაზრება, რომ აჭარის სტატუსიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭო უფუნქციო იქნებოდა, იმედია, არ გამართლდება და არც ცენტრალურ ხელისუფლებაზე აბსოლუტურად დამოკიდებულ აჭარის მთავრობას მივიღებთ.

ხალხმა კი მაინც იცის, რომ აჭარის საკანონმდებლო ორგანო ახლაც იმ მაღალ შენობაშია განთავსებული, რომლის წინ გავლაც ცამეტი წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ. ახლა დადიან და შედიან კიდეც, და იმედია იმით გამოვლენ, რის გამოსატანადაც შედიან. არ ვიცით, საიუბილეო ბანკეტზე ვის მიიწვევენ და რამოდენა ტორტს გააკეთებენ, მაგრამ დაუპატიჟებელ სტუმრებს (ლეიბორისტი დავით რობაქიძე, რამდენიმე გულშემატკივრით) კარვები უმაღლესი საბჭოს წინ უკვე გაშლილი აქვთ.

თბილისში ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა გაიმართება

21-22 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა. იგი მინისტრების მოადგილეების დონეზე ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ბრიუსელიდან სპეციალურად ჩამოსული, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მისიათა წარმომადგენლები და საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა ელჩები და ევროკომისიის წარმომადგენლები.

შეხვედრაზე ევროკომისიის წინაშე პირველად განიხილავენ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის საქართველოს პრიორიტეტებს. საუბარი იქნება, ასევე, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხებზე საქართველოს საზღვრის უსაფრთხოების სფეროში, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და სხვ. 25 აპრილს ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოსთან სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის კონსულტაციების დაწყების თაობაზე. მოლაპარაკებები ევროპულ მხარესთან ზაფხულის განმავლობაში დაიწყება და წლის ბოლომდე სამოქმედო გეგმის მიღებით დასრულდება. სამოქმედო გეგმა სამწლიან პერიოდს მოიცავს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია ევროკავშირის გაფართოებით გამოწვეული დადებითი შედეგების მეზობელი ქვეყნებისთვის გაზიარება. სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს გამყოფი ხაზის თავიდან აცილებას გაფართოებულ ევროკავშირსა და მეზობელ რეგიონებს შორის და მათთან მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც თითოეული წევრის შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს დაეფუძნება. **მედიანიუსი**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად 2005 წლის 8 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე "დაფარვითი ინვენტარიზაცია ქ. თბილისის დაცვით ზონებში (სახელმწიფო დაცვის, განაშენიანების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონები)" გამარჯვებულია შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი," რომელთანაც 2005 წლის 10 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება თანხაზე: 145 502 ლარი და 40 თეთრი.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს პაატა ლეიშვილი უხელმძღვანელებს

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს ახალი თავმჯდომარე, პაატა ლეიშვილი უხელმძღვანელებს.

მისი დანიშვნის შესახებ განცხადება ორშაბათს, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გაკეთდა.

ლეიშვილის კანდიდატურა პარლამენტის აპარატის უფროსმა გორა მარტინენკომ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს წარუდგინა, რომელმაც ლეიშვილის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა.

როგორც ბიუროს სხდომაზე ითქვა, პაატა ლეიშვილი გამოცდილი ფინანსისტია და წლების განმავლობაში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში მუშაობდა.

კანონის თანახმად, საბიუჯეტო ოფისის, როგორც საპარლამენტო სტრუქტურის, ხელმძღვანელს პარლამენტის თავმჯდომარე აპარატის უფროსის წარდგინებით ნიშნავს.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის პოსტი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მისი ხელმძღვანელი რომან გოცირიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდა.

პრაიმ-ნიუსი

ბათუმი-ტრაპზონი-ბათუმის რეისი დაინიშნა

კომეტა, რომელიც ბათუმი-ტრაპზონი-ბათუმის რეისს 3 თვის მანძილზე კვირაში სამჯერ შეასრულებს, ტურისტებს არა მხოლოდ კომფორტით, არამედ მგზავრობის ღირებულების სიიაფითაც ასიამოვნებს.

პროექტი ტურისტებისათვის 72-საათიან უფასო ვიზებს და პროექტით გათვალისწინებულ სასტუმროებზე ფასდაკლებას ითვალისწინებს.

ხელშეკრულებას ამ რეისის შესახებ ხელი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა ლევან ვარშალომიძემ და ტრაპზონის გუბერნატორმა მოაწერეს.

"ეს რეისი კიდევ უფრო გაამყარებს ჩვენს შორის არსებულ კულტურულ და სოციალურ ურთიერთობებს. მომავალ კვირას ჩვენ ბათუმის მონახულებასაც ვგეგმავთ," - განაცხადა ტრაპზონის გუბერნატორმა. კომეტა პირველ რეისს 24 ივნისს შეასრულებს.

მედიანიუსი

"დიდი ზესტაფონის" რეაბილიტაცია დასრულდა

ქვესადგურ "დიდ ზესტაფონზე" სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, დასავლეთის და აღმოსავლეთ ელექტროსისტემების დამაკავშირებელი ქვესადგურის რეაბილიტაციის სისტემის საიმედოობა ამაღლდა, რამაც მოსალოდნელი ავარიების რიცხვის შემცირება უნდა გამოიწვიოს.

როგორც "სახელმწიფო ელექ-

მედიანიუსი

"ევრაზჰოლდინგმა" ქართულ აქტივებზე უარი განაცხადა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

შეგახსენებთ, რომ "ევრაზჰოლდინგმა" "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესების" კასკადის შესყიდვისთვის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში 2005 წლის 19 იანვარს გაიმარჯვა. საქართველოს მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულების შესაბამისად, კომპანიას 132 მილიონი დოლარი მაისის ბოლომდე უნდა გადაეხადა.

მიუხედავად ამისა, როგორც გაირკვა, კომპანიას დღემდე მხოლოდ 20 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი. დაიბრუნა თუ არა უკვე (და თუ დაიბრუნა, როდის) "ევრაზჰოლდინგმა" თანხა, რომელიც საპრივატიზებო მარათონში მონაწილეობის წინ საგარანტიო ანგარიშზე წინასწარ დადო, ჯერჯერობით უცნობია.

რა მოხდა? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ოფიციალურ პირებთან საუბარი, ჯერჯერობით, არ მოხერხდა. თავად "ევრაზჰოლდინგი" კი საკუთარი საპრივატიზებო პოლიტიკის ცვლილებას თავისი ექსპერტების რეკომენდაციით ხსნის. თურმე, საქართველოს მთავრობასთან საპრივატიზებო შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, კომპანიის ექსპერტებმა "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" ეკონომიკურ მიმზიდველობას რამდენიმეთვიანი ექსპერტიზა ჩაუტარეს და დაასკვნეს, რომ ეს საწარმოები არარენტაბელური და წამგებიანია. **"საბოლოოდ, ჩვენი ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ აქტივებში კომპანიის კაპიტალის ინვესტირება არ ღირდა,"** - წერია "ევრაზჰოლდინგის" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ქართული მხარე ცდილობს, მომხდარის გამო წარმოშობილი კითხვები "რიკოშეტით" აისხლიტოს და ყურადღებას მხოლოდ მოსალოდნელ საბიუჯეტო დეფიციტზე ამახვილებს: "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" საფასური - "ევრაზჰოლდინგის" მიერ ჯერ კიდევ 19 იანვარს გაფორმებული შეთანხმების თანახმად გადასახდელი 132 მილიონი დოლარი წლევანდელ ბიუჯეტში უკვე გაწერილია.

"ევრაზჰოლდინგის" უარი ბიუჯეტის გარღვევას ნამდვილად არ გამოიწვევს და არც სეკვესტრია მოსალოდნელი, - აცხადებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ პაპავა, - **მაგრამ, პირველ რიგში, უნდა დადგეს ეკონომიკური რეფორმების საკითხში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხი. რაც მოხდა, ეს ელემენტარული "ჟულიკობაა" და სხვა არაფერი. არ ვიცი, რუსები მოატყუეს თუ არა, მაგრამ, ერთ რამეს გეტყვით - ეკონომიკის მინისტრობისას დავრწმუნდი, რომ ორივე სა-წარმო არარენტაბელურია და რომელიმე სერიოზული ინვესტორი მას არ იყიდდა."**

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის თქმით კი, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებს დაევალათ, შეხვდნენ ფინანსთა, ეკონომიკის და სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს და გაარკვიონ, რა მოხდა. გარდა ამისა, სპიკერი მოითხოვს, დროულად გაირკვეს, თუ როგორ აპირებს მთავრობა იმ თანხის კონვენსირებას, რომელიც ბიუჯეტში უკვე გაწერილი იყო.

ცოტა რამ გარიგების ისტორიიდან: "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების სურვილი თავიდან, ოფიციალურად ხუთმა კომპანიამ - უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუ-



ბენდუქიძის "შუბლზე კოცნამ" "ევრაზჰოლდინგი" ვერ მოხიბლა.

REUTERS

ჩმას სიძის, პინჩუკის კუთვნილმა უკრაინულმა "ინტერპაიპმა", ჩეხურმა "მორავია-ჯორჯიამ", ყაზახურმა "კაზ-ხრომიმ", რუსულმა "ევრაზჰოლდინგმა" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეპატრონე ავსტრიულმა "დეკომეტალ-ფერომ" გამოთქვეს.

თუმცა, საპრივატიზებო დოღს ჩეხური და ყაზახური კომპანიები თავიდანვე გამოეთიშნენ და ფინიშამდე მხოლოდ სამმა კონკურენტმა მიაღწია. ამ დროს სატენდერო კომისიის წევრი, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე ჟურნალისტებთან საუბარში ამბობდა: "შუბლზე ვაკოცებ ყველას, ვინც მეტს გადაიხდის..." და ამ გზით ცდილობდა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ მთავრობას მხოლოდ ამ ობიექტების ძვირად გაყიდვა სურს და სხვა არაფერი.

რამდენიმე დღეში კი ცნობილი გახდა ახალი გარიგების შესახებ. კერძოდ, "ინტერპაიპს" "ბლოკი შეუკრეს" - "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები რუსულმა კომპანია "ევრაზია ჰოლდინგმა" და ს/ს "ფეროს" ქართველმა აქციონერებმა ერთად, 132 მილიონ დოლარად შეისყიდეს. "უახლოეს ხანებში, აღნიშნული ორი კომპანიისგან შეიქმნება ჰოლდინგი, რომელსაც "ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხეჰესი" საკუთრებაში გადაეცემა," - აცხადებდა ხელისუფლება.

მალე "ევრაზჰოლდინგთან" მემორანდუმიც გაფორმდა, სადაც ჩაიწერა, რომ "ევრაზჰოლდინგი" და ზესტაფონის "ფეროს" აქციონერები ერთობლივ კომპანია "ნიუ კო"-ს დააფუძნებდნენ. ამ კომპანიაში ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 70,8 პროცენტი და "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები უნდა ჩადებულიყო. "ევრაზჰოლდინგსა" და "დეკომეტალს" მთლიან პაკეტში 132 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადათ, საიდანაც 125 მილიონი დოლარი მიმდინარე წლის ივლისამდე უნდა დაფარულიყო, ხოლო დანარჩენი 7 მილიონი დოლარი - 2006 წლის 1 მარტამდე.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში, "ევრაზჰოლდინგმა" საკუთარი ინტერესი რუსთავის მეტალურგიული კომპანიის მიმართაც დააფიქსირა.

ახლა მთავრობაში აცხადებენ, რომ "ევრაზჰოლდინგის" გადაწყვეტილება ვითარებას მთლიანად ცვლის და "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხეჰესებს" თავიდან "გატენდერება" ელის.

"დეკომეტალის" წარმომადგენლები "პარტნიორის" გადაწყვეტილებას კომენტარს, ჯერჯერობით, არ უკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, მათი დუმილი მიუთითებს, რომ "ევრაზჰოლდინგის" მიერ გუშინ გაჟღერებული გადაწყვეტილება ამ კომპანიის მიერ ერთპიროვნულად მიღებული არ ყოფილა.

ნებართვების და ლიცენზიების რაოდენობა 156-მდე მცირდება

თუმცა, ყველა იურიდიული ნიუანსი მხოლოდ შემოდგომისთვის მოგვარდება

საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიას ამთავრებს, თუმცა მომავალ კვირას საგანგებო სესიის მოწვევა მაინც გახდება საჭირო. ამ სესიის ერთ-ერთი განსახილველი საკითხი კი უკვე ყბადაღებული ლიცენზირების კანონპროექტია, რომელიც პარლამენტარებმა უკვე მესამე მოსმენით უნდა მიიღონ. ასე რომ, სულ მალე საქართველოში უკვე ძალაში შევა კანონპროექტი, რომელიც ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის არსებული 909-დან 156-მდე შემცირებას ითვალისწინებს.

თამარ ხორბალაძე

თუმცა, "პატარა უხერხულობა" ამ საკითხში ერთი კვირის თავზეც დარჩება - საქმე ისაა, რომ აღნიშნული კანონპროექტი მოითხოვს ცვლილებებს ძალიან ბევრ მოქმედ კანონში, რომელიც "დაჩქარებული ტემპებით" მომუშავე მთავრობამ, რა გასაკვირია და, საგაზაფხულო სესიისთვის ვერ მოამზადა. ამიტომ, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს, რომ წლევანდელი საშემოდგომო სესიისთვის, ანუ სექტემბერ-ოქტომბრისთვის ეს ცვლილებები მომზადებული და ამ საკითხთან დაკავშირებით "ყველა იურიდიული ნიუანსი" მოგვარებული იქნება.

და მაინც - რაზე შეჯერდა საბოლოოდ მთავრობა და პარლამენტი და რომელ სფეროებს ეხება მთავრობის მიერ გაღებული "თავისუფლება"?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებართვების და ლიცენზიების რაოდენობა 156-მდე მცირდება, რაც, თავად ექსპერტების განცხადებითაც, საკმაოდ სერიოზული პროგრესია.

ლიცენზიების რაოდენობის შემცირებასთან ერთად, კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ე.წ. "ერთი სარკმლის" პრინციპის დანერგვას, რაც იმას გულისხმობს, რომ ბიზნესმენს აღარ მოუწევს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოში სიარული და საჭირო დოკუმენტების შეგროვება. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში საჭირო დოკუმენტების მოპოვების მთელი ტვირთი, ბიზნესმენების ნაცვლად, სახელმწიფოს დააწვება. ცხადია, აქ შესაძლოა, თავი იჩინოს ბიუროკრატიული აპარატის არაეფექტურობამ და მოუქნელობამ, რაც სახელმწიფოს მიერ ვადების გაწელვაში შეიძლება გამოიხატოს. კანონპროექტში ეს შემთხვევა გათვალისწინებულია და კიდევ ერთი სიახლე, რომელიც მასშია ჩადებული, ე.წ. "დუმილი თანხმობის ნიშანია" პრინციპია. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფო სტრუქტურის მიერ კანონით დადგენილ ვადებში ლიცენზიის ან ნებართვის არგაცემა, მიზეზების განმარტების გარეშე, ჩაითვლება როგორც ლიცენზიის გაცემა.

პარლამენტში ლიცენზირების შესახებ კანონპროექტის დასაკანონებლად ემზადებიან.

ლევან ვარშალომიძე ფრთხილი

ცხადია, ამ პრინციპს სახელმწიფო მოხელეთა ნაწილის წინააღმდეგობა შეხვდა. სტანდარტიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიცენზიების განყოფილების უფროსის ზაზა კოპლატაძის თქმით, ეს პრინციპი, შესაძლოა, ხელსაყრელი იყოს ბიზნესმენებისთვის, მაგრამ მომხმარებელთა წინააღმდეგ იქნება მიმართული. კოპლატაძის განცხადებით, საჭიროა განმცხადებელთა "სწორად შემოწმება", რათა სათანადოდ დადგინდეს, მათი ბიზნესი ან პროდუქცია მომხმარებლისთვის საზიანოა თუ არა. თუმცა, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მეწარმის "გათავისუფლების" მოტივაციამ გაიმარჯვა.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს სფეროები, სადაც სიტუაცია ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველია. მაგალითად, იგივე სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების საკითხი, რაზეც ჩვენ გასულ კვირას უკვე ვწერდით - იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში ამ საქმიანობის ლიცენზირება ისევ გათვალისწინებულია, ცხადია, რომ ახალ კანონში ლიცენზირების შესახებ მისი გაუთვალისწინებლობა სიტუაციას ჯერ კიდევ არ ცვლის. ეს საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოდგომამდე, ანუ - ახალი საკანონმდებლო ცვლილებების დამტკიცებამდე, ვერ მოგვარდება. სამაგიეროდ, იქ, სადაც ლიცენზიის არსებობას ორგანული კანონი არ არეგულირებდა, ლიცენზიების გაცემა უკვე დღეს არის შეჩერებული - რადგან ახალ კანონს, დამტკიცების ვადიდან გამომდინარე, მის წინ დამტკიცებულებზე უპირატესი მოქმედების ძალა გააჩნია.

ნავთობის ფასებს ვერავინ იმორჩილებს

"ალ-ქაიდამ" ამერიკასთან ბრძოლის ეფექტური გზა გამონახა

გუშინ ნავთობის ფასმა მორიგი ისტორიული რეკორდი დაამყარა და ბარელზე 60-დოლარიან ნიშნულს მიუახლოვდა.

დიანა ჩაჩუა

ნავთობის მსოფლიო ფასებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწიეს. ერთ ღამეში ბარელი Light Sweet-ის ბრენდის ნავთობის ფასმა მორიგი ფსიქოლოგიური მაჩვენებელი - 59 დოლარი გადალახა და ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა 60-დოლარიან ნიშნულს. ამ ფონზე Brent-ის მარკის ერთი ბარელი ნავთობის ფასმაც აიწია და 58,50 დოლარს მიაღწია.

წინა რეკორდი ნავთობის ფასებმა წელს, 4 აპრილს დაამყარეს. მაშინ ნიუ-იორკში, ერთი ბარელი Light-ის მარკის ნავთობში 58,28 დოლარს იხდიდნენ. გასული კვირის განმავლობაში ნავთობის ფასმა 9,2 პროცენტით მოიმატა. გასულ წელთან შედარებით კი, ნედლეულის ფასი 52 პროცენტით გაძვირდა.

ნავთობის ფასის ზრდის მიზეზებად სხვადასხვა მოვლენები სახელდება. რიგი ექსპერტების აზრით, ნავთობის ფასის ზრდა ნიგერიიდან წამოსული განცხადებებით არის განპირობებული, რომელიც ნავთობის მიწოდების შემცირებით იმუქრება.

გასათვალისწინებელია, რომ ნიგერია ნავთობის მერვე მსოფლიო ექსპორტიორია, მისი ნავთობის მოხმარებლები კი - აშშ და ევროკავშირის ქვეყნებია. "ალ-ქაიდამ" ამერიკასთან საბრძოლველად, პლაცდარმის სახით, სწორედ ნიგერია აირჩია, - მიიჩნევენ ამერიკული სპეცსამსახურები. იმის გამო, რომ ადგილობრივი ექსტრემისტი მუსულმანები ტერაქტებით იმუქრებოდნენ, 17 ივნისს ლაგოსაში (ნიგერია) აშშ-ს, გერმანიის და დიდი ბრიტანეთის საკონსულოებიც კი დაიხურა.

მსოფლიო ბაზარზე ნიგერიიდან ნავთობის მოწოდების შემცირების მუქარამ გავლენა ნავთობპროდუქტების ბაზარზეც მოახდინა. გუშინ დილიდან, ბენზინისა და მაზუთის ფასმა 1 პროცენტით მოიმატა. თუმცა, ამ შემთხვევაში, გარიგების ფასები ჯერ კიდევ ჩამოუვარდება აბსოლუტურ რეკორდს. კერძოდ, ბენზინის ფასები თავის რეკორდულ მაჩვენებელს 8 პროცენტით, ხოლო მაზუთის ფასები - 2 პროცენტით ჩამორჩება.

გუშინ, უცხოურ პრესაში მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდასთან დაკავშირებით გავრცელებული მეორე მიზეზი ასე გამოიყურება: ბაზრის მონაწილეებს მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ნედლეულის დეფიციტის შიში აქვთ. მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ, რომელიც 26 განვითარებად სახელმწიფოს კონსულტაციებს უწევს, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ნავთობის მსოფლიო მოხმარების ზრდის პროგნოზი გააკეთა. მათი გაანგარიშებით, წლის ბოლოს მსოფლიოში ნედლეულის მოხმარების მოცულობა დღე-ღამეში 86,4 მილიონ ბარელს მიაღწევს, რაც სააგენტოს წინა პროგნოზს 200 ათასი ბარელით აღემატება.

ფასების ზრდის მიზეზების საკუთარი ვერსია გააჩნია ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციას (ოპეკ): აშშ-ში ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების სიმცირე, ჩინური ეკონომიკის აქტიური განვითარება, მსოფლიოში გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ForEx-ის ბაზარზე ამერიკული დოლარის შესუსტება და საზაფხულო შვებულებების განმავლობაში ბენზინზე ამერიკელი მძღოლების მზარდი მოთხოვნილება.

კიდევ ერთი პრობლემა - გასულ კვირას ამერიკის მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყნის ნავთობის რეზერვები 1,8 მილიონი ბარელით შემცირდა.

ნავთობის ფასების ასეთ სწრაფი ზრდა იმაზე მეტყველებს, რომ ოპეკს ნავთობის ფასის რეგულირების სადავეები ხელიდან გაექცა. გასულ კვირას ოპეკმა დღე-ღამეში ნავთობის მოპოვების მოცულობა 500 ათასი ბარელიდან 28 მილიონ ბარელამდე გაზარდა. სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ოპეკის პრეზიდენტმა და ქუვეითის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ახმად-ალ-საბახმა ნავთობის მოპოვების გაზრდის შესახებ მორიგი გადაწყვეტილება მიიღოს.

ექსპორტიორთა კარტელი ნავთობის ფასის შემცირებას ცდილობს. თუმცა, როგორც ჩანს, უშედეგოდ. ინვესტორებმა ოპეკის ძალისხმევა საკუთარი ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ კარტელის მხრიდან მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდება, უკვე დიდი ხანია, დღე-ღამეში 28 მილიონ ბარელს აღემატება. თვით ოპეკის პრეზიდენტის განცხადებით, მათი ოფიციალური კვოტები მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვასღა ატარებს. ექსპორტიორთა კარტელის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასებზე კონტროლი სრულიად დაკარგულია.

ინვესტორებს რუსეთში ნავთობის მოპოვების შემცირებაც აღელვებთ. მაისში რუსეთში ნავთობის მოპოვება 2,1 პროცენტით გაიზარდა, თუმცა შემდეგ კლება დაიწყო. დასავლელი ექსპერტები ამ ფაქტს "იუკოსის" ისტორიას უკავშირებენ.

მორიგი ისტორიული რეკორდის დამყარების შემდეგ ნავთობის ფასმა ზრდა, შესაძლოა, ტექნიკური ფაქტორების გამო განაგრძოს, - მიიჩნევს ტექნიკური ანალიზის ბიუროს StockCharts.com-ის ხელმძღვანელი ჯონ მერფი. ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ფასები ბარელზე 70 დოლარს მიაღწევს. **"ალბათობა იმისა, რომ ერთი ბარელი ნავთობის ფასი 70 დოლარს მიაღწევს, 70-80 პროცენტს შეადგენს. ეჭვი არ არის, რომ ფასები ზრდას ისევ გააგრძელებს,"** - აცხადებს მერფი.

ზოგი ექსპერტი, ჯონ მერფის პროგნოზისგან განსხვავებით, შედარებით თავშეკავებულ შეფასებას აკეთებს. **"იმისთვის, რომ ნედლეულის ფასმა 60-დოლარიანი ზღვარი გადალახოს, კატალიზატორია საჭირო. ეს შეიძლება იყოს გრიგალი, აშშ-ში ნავთობის კომერციული მარაგების მკვეთრი შემცირება, ან გეოპოლიტიკური ძვრები,"** - აღნიშნავს კორპორაცია "Wachovia"-ს ეკონომისტი ჯეისონ შენკერი.

"გუანტანამო უნდა გასუფთავდეს"

ბილ კლინტონი კუბაზე მდებარე საპყრობილის გაუქმებას ითხოვს

აშშ-ს ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მოუწოდა თეთრ სახლს, რომ "გუანტანამო გასუფთავდეს" და ციხეები, სადაც ტერორისტულ აქტებში ბრალდებულები სასჯელს იხდიან, დაიხუროს. **"დროა, დაიხუროს გუანტანამოს საპყრობილე და შეიცვალოს ტერორისტულ აქტებში ბრალდებულთა დასჯის მეთოდები",** - განაცხადა ბილ კლინტონმა.

გუანტანამოს ციხეებში მოსაწესრიგებელია არა მარტო პატიმრებთან მოპყრობის ეთიკური საკითხები, არამედ, ზოგადად - არსებობსა; აგრეთვე, ორი მთავარი პრაქტიკული პრობლემაც, - აღნიშნა აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა გაზეთ "ფაინენშლ თაიმს"-თან საუბარში.

გუანტანამოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა შეურაცხყოფის ფაქტები რეპუტაციას ულახავენ ამერიკის და, ასევე, დიდი ბრიტანეთის ჯარებს მთელ მსოფლიოში, რაც საფრთხეში აგდებს სამხედრო პირებს. ამ სახის შეურაცხყოფამ შეიძლება იმ დონემდეც კი მიიყვანოს პატიმარი, რომ ადვილად აღიაროს ისეთი დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. **"მსოფლიო ლიდერებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკელ სამხედრო პირთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოქალაქეთა შეურაცხმყოფელი მეთოდების გამოყენებას",** - აღნიშნა ბილ კლინტონმა.

რაც შეეხება ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილთა წინასწარი პატიმრობის ვადას, ეს, ისევე, როგორც ბილ კლინტონის მმართველობის პერიოდში, კანონით ახლაც არ არის დადგენილი. ამიტომ, ტერორისტულ აქტებში 500 ეჭვმიტანილი, უკვე 3 წელია, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

ექსპრეზიდენტი ჯიმი კარტერი და დემოკრატი სენატორი დიკ დარბენიც აკრიტიკებენ "კარგად დაცულ" იზოლატორებს. დღევანდელ ეჭვმიტანილთა დაკითხვის ამერიკულ სისტემას ისინი ადარებენ ჰიტლერისა და სტალინის მიერ გამოყენებულ მეთოდებს.

ანტიიაპონური განწყობა სამხრეთ კორეაშიც იზრდება

სამხრეთ კორეაში იაპონიის პრემიერ-მინისტრის კოიძუმის ჩასვლას გამოსვლებით შეხვდნენ. 50-მდე მანიფესტანტმა სეულში იაპონიის საელჩოს წინ საგანგებოდ დაწვა იაპონიის დროშები.

"იაპონიაში მილიტარისტული რეჟიმის აღდგენაში პრემიერ-მინისტრ კოიძუმის ვადანაშაულებთ, რაც აზიაში ახალ კონფლიქტებს გამოიწვევს", - განაცხადა მანიფესტაციის ერთ ერთმა ორგანიზატორმა.

იაპონიის პრემიერ-მინისტრისა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტის, რო მუ ჰენის შეხვედრისას საუბარი, ძირითადად, მეზობელ სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ურთიერთობებს შეეხებოდა. რო მუ ჰე ნის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კოიძუმი უკვე მეექვსედ ჩადის სამხრეთ კორეაში.

აზიის ამ, ერთ დროს მტრულად განწყობილ, ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად მიმდინარე სამიტზე 2005 წელი "მეგობრობის წლად" გამოაცხადეს. თუმცა, მას შემდეგ, რაც იაპონიამ 2005 წლის მარტში თავისი სუვერენიტეტი გამოაცხადა დოკდოს (სამხრეთ კორეა) კუნძულებზე, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კვლავ დაიძაბა.

სამხრეთ კორეაში, რომელიც იაპონიის კოლონიას წარმოადგენდა 1910-1945 წწ, ისევე უარყოფითად შეხვდნენ იაპონიის მიერ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს ახალ გამოცემას, როგორც ჩინეთში. მასში შეტანილი ცვლილებებით შემსუბუქებულია იაპონიის იმპერიის მიერ მეზობელი ქვეყნებისთვის მიყენებული ზიანი. ეს ფაქტი ჩინეთმაც და სამხრეთ კორეამაც იაპონიის მიერ "ისტორიის შეცვლის" მცდელობად შეაფასეს. პრემიერ-მინისტრმა კოიძუმიმ და სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა შეხვედრაზე ამ "ისტორიულ" საკითხზეც ისაუბრეს.

ორმხრივი ურთიერთობების გარდა, იაპონიის მთავრობის მეთაურის ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ განიარაღებაზე კონსულტაციები. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განიხილეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებების წარმოების საკითხი ატომური იარაღის დამზადების შესახებ.

ისლამ კარიმოვის რეჟიმი - საფრთხე ცენტრალურ აზიაში აშშ-ს ინტერესებისთვის

ჰირველი გვერდიდან

განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა გასულ ოთხშაბათს ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე. თუმცა, მაკკორმაკმა უარი თქვა რაიმე დეტალის გამხელაზე და ჟურნალისტებს ურჩია, ყველა კითხვით პენტაგონისთვის მიემართათ. მანამდე პენტაგონის პრესმდივანმა ბრაიან უიტმენმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამერიკულმა სამხედრო ავიაციამ შეაჩერა დავალებების შესრულება უზბეკეთის ცაში, რაც უზბეკეთის ხელისუფლების მიერ შეზღუდვების დაწესებით არის გამოწვეული. მანაც, ისევე, როგორც საგარეო უწყების წარმომადგენელმა, უარი განაცხადა, კომენტარი გაეკეთებინა პენტაგონის გადაწყვეტილებაზე.

ექსპერტთა აზრით, ამერიკული ძალების გაყვანა შუააზიური ქვეყნიდან კიდევ ერთხელ ადასტურებს ვაშინგტონსა და ტაშკენტს შორის ურთიერთობების სერიოზულ ცვლილებაზე. ისეთი პროგნოზებიც კი კეთდება, რომ ვაშინგტონი კარიმოვის რეჟიმის შეცვლას შეეცდება.

სამხედრო თანამშრომლობაზე უარის გარდა, თეთრი სახლის გაღიზიანებას სხვა ფაქტებიც აძლიერებს. მაგალითად, უზბეკეთმა, რომელიც ნატო-ს პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენდა, უკანასკნელ შეხვედრაზე ბრიუსელში, სადაც თავდაცვის მინისტრები მონაწილეობდნენ, თავისი წარმომადგენლის გაგზავნაზე უარი განაცხადა. ბუნებრივია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პასუხი ცალსახა იყო - იგი გადახედავს თავის ურთიერთობებს ტაშკენტთან. **"ბაზები ძალიან სასარგებლო იყო სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ახლა უზბეკეთთან ურთიერთობებს გადავხედავთ.**

უზბეკეთის პრეზიდენტი აშშ-ს ინტერესებს დაუპირისპირდა.

თუ პრობლემები წარმოიქმნა, ალტერნატივასაც მოვძებნით," - განაცხადა მაშინ ნატო-ს წარმომადგენელმა.

მიმომხილველთა უმეტესობა აშშ-სა და უზბეკეთის ხელისუფლებას შორის დაპირისპირების წარმოშობას ქალაქ ანდიჟანში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს უკავშირებს. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად ვაშინგტონი, თითქმის, სრულად იზიარებდა კარიმოვის შეფასებებს ფერგანას ველზე მომხდართან დაკავშირებით, მაგრამ მოგვიანებით საკმაოდ მტკიცე პოზიცია დაიკავა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად კარიმოვს საერთაშორისო გამოძიების ჩატარება მოსთხოვა. საგულისხმოა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობების გაცივება სწორედ ანდიჟანის მოვლენების შემდგომ პერიოდს ემთხვევა.

თუმცა, ეს ცვლილება ერთბაშად არ მომხდარა. უზბეკეთის მიმართ კრიტიკის მატებასთან ერთად კარიმოვის ხელისუფლება სულ უფრო "შორდებოდა" ყოფილ მოკავშირეს - უფრო მეტიც, ტაშკენტის პოზიციები აშშ-ს აშკარა მოწინააღმდეგეებისას უახლოვდებოდა. კარიმოვის ბოლო ნაბიჯებს არ შეიძლება არ გაეღიზიენებინა აშშ-სა და ნატო-ს ხელმძღვანელობა. მაგალითად, მზადდება ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტი, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა პირადად უწოდა "ევროპის უკანასკნელი დიქტატორი". კარიმოვს, ასევე, სურს, შეხვდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ჰუ ძინტაოს - მოგეხსენებათ, ჩინეთიც არ შედის დემოკრატიის (ანუ ამერიკის - რედ.) მეგობართა სიაში.

ამას დაერთო კარიმოვის ინიციატივაც "შანხაის ექვსეულის" რეფორმირების შესახებ. უზბეკეთის პრეზიდენტის წინადადებით, ეს ორგანიზაცია საბაჟო-ეკონომიკურ კავშირად უნდა გარდაიქმნას, რომელშიც არ არის გამორიცხული, ირანიც ჩაერთოს. ირანთან მჭიდრო ურთიერთობა კი ერთი-ორად გაზრდის დაძაბულობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტაშკენტმა სერიოზული დარტყმა მიაყენა აშშ-სა და მთლიანად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებს ცენტრალურ აზიაში.

ახლა ჯერი თეთრ სახლზეა. თუმცა, საეჭვოა, აშშ-მ რადიკალური ნაბიჯები გადადგას "არადემოკრატი", მაგრამ ჯერ კიდევ საჭირო "მოკავშირე" კარიმოვის წინააღმდეგ. ვაშინგტონისთვისაც კარგად ცნობილია, რომ პოსტსაბჭოური ნომენკლატურის შემცვლელად უზბეკეთში, შესაძლოა, ისლამისტები მოგვევლინონ.

აკაევი ბრალდებებს უარყოფს

ყირგიზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა უარყო ბრალდება, თითქოს ბიშკეკში პარასკევს მომხდარ არეულობებში მისი და მისი ოჯახის წევრების ხელი ერია. შეგახსენებთ, პარასკევს ასობით დემონსტრანტი შეიჭრა მთავრობის შენობაში.

აკაევმა, რომელმაც წელს, 24 მარტს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შემდეგ რუსეთში ემიგრირება ამჯობინა, ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას უსაფუძვლოდ აბრალებენ არეულობის ორგანიზატორების ხელშეწყობას. აკაევის ეს განცხადება მოჰყვა ყირგიზეთის ვიცე-პრემიერ დანიარ უსენოვის მიერ გამოთქმულ ბრალდებას, რომ ბიშკეში დემონსტრაციის მონაწილეები აკაევის მომხრეები იყვნენ.

თავად დემონსტრანტების განმარტებით, ისინი ემხრობიან ურმატ ბარიკტაბასოვს - ბიზნესმენს, რომელსაც უარი უთხრეს ყირგიზეთში 10 ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის კანდიდატად რეგისტრაციაზე. ოფიციალური პირები რეგისტრაციაზე უარის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ბარიკტაბასოვი ყაზახეთის მოქალაქეა. ყირგიზეთის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ბარიკტაბასოვის დაპატიმრებას აპირებს.

რადიო თავისუფლება

სპეცოპერაცია ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში, აჩხოი-მარტანის რაიონულ ცენტრში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს 22 წლის მოვსარ ბეკსულტანოვი, რომელიც ტერორიზმსა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობაშია ეჭვმიტანილი. ოპერატიული მონაცემებით, ბეკსულტანოვის უშუალო ხელმძღვანელი საველე მეთაური დოკუ უმაროვია.

დაკავებულმა სამართალდამცავებს ჩააბარა 3 ერთეული "შმელის" ტიპის ნაღმტყორცნი, ორი ავტომატი, 500 გრამი პლასტიდი და ორი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა.

მედიანიუსი

ბორის ბერეზოვსკის პრიორიტეტები უკრაინაშია

დიდ ბრიტანეთში ლტოლვილის სტატუსით მცხოვრები რუსი ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი მის მიერ კონტროლირებად მედია-ჰოლდინგში ცვლილებებს გეგმავს - კერძოდ, ის ყიდის პოპულარულ "ნეზავისიმაია გაზეთას", ცოტა ხნის წინ კი საგამომცემლო სახლ "კომერსანტის" ხელმძღვანელობა თანამდებობიდან გაათავისუფლა და ახალ გენერალურ დირექტორად ანდრეი ვასილიევი დაინიშნა.

ვასილიევი მოსკოვიდან კიევში გადადის, სადაც გაზეთ "კომერსანტ-უკრაინას" მთავარ რედაქტორობას შეითავსებს. **"პროექტი "კომერსანტ-უკრაინა" დღეს ჩემთვის პირველხარისხოვანია. გაზეთი ყოველდღიური იქნება და კვირაში ხუთჯერ გამოვა. უკრაინული პროექტები ჩემთვის პრიორიტეტულია,"** - განაცხადა ბორის ბერეზოვსკიმ ბიბი-სი-სთან ინტერვიუში.

მედიანიუსი

ეუთო სისხლისღვრის გამოძიებას ითხოვს

ნანა ნასყიდაშვილი

13 მაისს უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის გამოძიებას ეუთო კვლავ ითხოვს. ადრე ამ მოწოდებით გაერო, აშშ და დიდი ბრიტანეთიც გამოვიდა. საერთაშორისო ორგანიზაციები პრეზიდენტ კარიმოვს რეფორმებისა და საჯაროობისკენ მოუწოდებენ. "დიქტატორი" კი მომხდართან დაკავშირებით ახსნა-განმარტებებს იძლევა და ყველაფერში რადიკალურ ისლამისტებს ადანაშაულებს.

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრი რუპელმა მაისში ანდიჟანში მომხდარი ტრაგედიის გამოძიების ჩატარების საკითხი კვლავ დააყენა. ეუთო-მ უზბეკეთიდან ყირგიზეთში დევნილი ორმოცდაოთხი ადამიანის დაკითხვის შემდეგ ანდიჟანში მომხდარი მოვლენების შესახებ ოქმი შეადგინა. **"იმის გამო, რომ ანდიჟანში საერთაშორისო გამოძიება არ ტარდება და ეუთო-ს თანამშრომლებისთვის ქალაქში შესვლა აკრძალულია, ჩვენ 13 მაისს მომხდარი ამბების სრული სურათი არ მოგვეპოვება,"** - აღნიშნა რუპელმა.

ეუთო-მ აღნიშნული ოქმი ტრაგედიიდან 40 დღის შემდეგ წარმოადგინა. მასში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ანდიჟანში მიმდინარე მოვლენების დეტალური აღწერის პარალელურად, უზბეკეთის ხელისუფლების იურიდიულ გამოცდილებასა და მომხდარი ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს აანალიზებს. ეუთო არეულობის დაწყების საბაბად ანდიჟანში დარღვევებით მიმდინარე მეწარმეთა სასამართლო პროცესს მიიჩნევს. 13 მაისს კი არეულობა სისხლისღვრაში გადაიზარდა. სამთავრობო ჯარები მთელი დღის განმავლობაში ხოცავდნენ უიარაღო, მშვიდობიან მოსახლეობას. ოქმის ავტორთა აზრით, უშიშროების ძალები დემონსტრანტთა შორის დაწყებულ ჭყლეტას ყურადღებას არ აქცევდნენ, ხოლო ვინც შეტაკების ადგილის დატოვებას ცდილობდა, ამის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ.

თუმცა, ეუთო-ს მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ ცეცხლის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გახსნა ხელისუფლების ბრძანების საფუძველზე მოხდა, არ არსებობს. ეუთო-ს დაღუპულთა ზუსტი რაოდენობის დასახელებაც არ შეუძლია. მაგრამ, მისი მონაცემებით, 13 მაისს მომხდარი სისხლისღვრის შედეგად სამასიდან ხუთას ადამიანამდე დაიღუპა. ეს მონაცემები ოთხჯერ აღემატება უზბეკეთის ხელისუფლების ოფიციალურ მონაცემებს გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ.

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ ანდიჟანში მომხდარი ტრაგედიის გამოძიების საკითხი კვლავ დააყენა.

ცენტრალური აზიის სტაბილურობის საკითხი ყაზახეთში ინვესტიციების თემაზე მიმდინარე უმსხვილეს კონფერენციაზე გაჩნდა. აღნიშნული კონფერენციის ორგანიზატორთა შორის საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ორგანიზაცია "აზიური საზოგადოება" იყო, რომლის შტაბ-ბინაც ნიუ იორკშია განლაგებული. "აზიური საზოგადოების" თავმჯდომარის, გაერო-ში აშშ-ს ყოფილი ელჩის, რიჩარდ ჰოლბრუკის განცხადებით, ცენტრალურ აზიაში ახლახან განვითარებული პოლიტიკური მოვლენები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს: **"კარიმოვი რეპრესიულ, დიქტატორულ რეჟიმს უდგას სათავეში და ახლა თავისი ასეთი მმართველობის შედეგებს იმკის. დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში ოპოზიციამ, მოსაღოდნელია, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან დაამყაროს კავშირი; შესაძლებელია ლიბერალური, დემოკრატიული ძალების ისლამურ ექსტრემისტებთან დროებითი გაერთიანებაც. მსგავსი რამ ირანში მოხდა, სადაც 1978 წელს შაჰი ჩამოაგდეს. თუმცა, ირანულ რევოლუციას შედეგად არა დემოკრატია, არამედ მოლების თეოლოგიური დიქტატურა მოჰყვა. კარიმოვი დიქტატორია და სწორედ ამიტომ, მის წინააღმდეგ სხვადასხვა ტიპის ხალხი ერთიანდება. ფაქტია, რომ ტაშკენტსა და მთლიანად უზბეკეთში მდგომარეობა ყოველდღე უარესდება. სამაგალითოდ ის ფაქტიც კმარა, რომ, ინფორმირების მხრივ, ქვეყანაში მდგომარეობა შემზარავია. ჟურნალისტები თავიანთ საქმიანობაში შეზღუდულნი არიან".**

ანდიჟანში ხელისუფლების შეიარაღებული ძალები მას შემდეგ შევიდნენ, რაც დემონსტრანტებმა შტურმით ციხე აიღეს და 23 პატიმარი, რომელთაც ექსტრემისტებთან კავშირი ედებოდათ ბრალად, გაათავისუფლეს. შტურმით სხვა პატიმრებმაც ისარგებლეს და ციხეს თავი დააღწიეს. სააგენტო "იტარ-ტას"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შტურმის დროს ციხიდან 500-მდე ადამიანი გაიქცა. 400-მდე გაქცეული პატიმარი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მალევე ნებაყოფლობით დაბრუნდა.

უზბეკეთის ხელისუფლების განცხადებით, მომხდარ სისხლისღვრაზე პასუხისმგებლობა ისლამურ რადიკალებს ეკისრებათ. კარიმოვის თქმით, აღნიშნული შეიარაღებული არეულობა ანდიჟანში რადიკალური ისლამისტების მიერ მოეწყო, რომლებმაც მძევლები აიყვანეს და ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობა დაიკავეს. **"მათი მიზანი კონსტიტუციური წყობის დამხობა და მუსულმანურ-შარიათური მმართველობის დამყარებაა,"** - ამტკიცებს უზბეკეთის პრეზიდენტი კარიმოვი ჟურნალისტებთან საუბარში.

უზბეკეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ცენტრალური აზიის ყველაზე დასახლებული რესპუბლიკაა. მისი მოსახლეობა 26 მილიონ ადამიანს შეადგენს. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ანუ 1991 წლიდან, ქვეყანას ისლამ კარიმოვი მართავს. უზბეკეთში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები; ხშირია წამების ფაქტებიც. 2004 წელს ტაშკენტში ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები გაიმართა. ხალხის ნებისმიერი მღელვარების მიზეზად ქვეყნის ხელისუფლება რადიკალურ ისლამისტებს ასახელებს.

ორი სიტყვით

ერაყი. ექვსი მანქანა აფეთქდა გუშინ ერაყის სხვადასხვა რეგიონში, რასაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არბილში პოლიციელთა წვრთნების მიმდინარეობისას კამიკაძემ ერთი მანქანა ააფეთქა, ასობით ადამიანი დაიჭრა და 12 დაიღუპა. გუშინვე კიდევ ხუთი ადამიანი დაიღუპა ბაღდადში დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად. აღსანიშნავია, რომ აფეთქებათა რიცხვმა მთელი ქვეყნის მასშტაბით იმატა, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ახალმა უსაფრთხოების ძალებმა ამერიკელი სამხედროების დახმარებით რამდენიმე მსხვილი ოპერაცია განახორციელეს ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ ტერაქტები გახშირდა ქურთულ რაიონებში, განსაკუთრებით - პოლიციელთა წინააღმდეგ. **24 საათი**

■ ■ ■

ინდოეთი. აუტანელი სიცხისაგან ინდოეთში უკვე 400-მდე ადამიანი დაიღუპა. ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატების ზოგიერთ რეგიონში უკვე +510 დაფიქსირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია მილიონობით უსახლკარო ინდოელი. ამას ემატება შეფერხებები ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდებაში. ინდოეთის ხელისუფლებამ, სიცხის გამო, სასკოლო არდადეგები ერთი კვირით გააგრძელა. **მედიანიუსი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განცხადება

2005 წლის 4 მაისს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ჩატარდა ღია ტენდერი კვების პროდუქტების შესაძენად.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები ქვემოთ ჩამოთვლილ ფირმებთან:

ი.მ. "ე. ბითხანოვი"

ი.მ. "დ. კოპალიანი"

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სატენდერო კომისია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროექტი
საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფცია

ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე დასაქმების სფეროს მხრიდან სწრაფი და ადექვატური რეაგირების აუცილებლობა, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აყენებს მოსახლეობის პროფესიული მომზადების საკითხებს. საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია მათი უგულვებელყოფის შედეგები, დაკარგული სამუშაო ადგილების სახით. მხოლოდ ორი მაგალითი: რამდენიმე წლის წინ, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე საქართველოს მოქალაქეების მიერ ვერ იქნა დაკავებული ელექტროშემდუღებელთა და სამშენებლო მანქანების ოპერატორთა 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილი. ეს სამუშაო ადგილები ერთ-ერთი მეზობელი სახლმწიფოს მოქალაქეებმა დაიკავეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინმჟამინდელმა მთავრობამ არ იზრუნა ქართველ შემდუღებელთა გადამზადებაზე. მეორე: საერთაშორისო ექსპერტთა მონაცემებით, კახეთში მოქმედ ყურძნის გადამამუშავებელ ერთობლივ საწარმოებში, 90-ან წლებში დაიკარგა 550-მდე ღვინის ტექნოლოგისა და 1800-მდე კვალიფიცირებული მუშახელის დასაქმების შესაძლებლობა. მიზეზი ისევ ბანალური: უცხოური ფირმები იყენებდნენ ისეთ აღჭურვილობასა და ტექნოლოგიებს, რომლებსაც ქართველი სპეციალისტები არ იცნობენ და ვერ იყენებენ.

საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ საზოგადოებისათვის გაგვეზიარებინა მთავარი მოსაზრებები, რომლებმაც განაპირობეს წინამდებარე პროფესიული განათლების კონცეფციის პროექტის შინაარსი, მათ შორის უმთავრესი - პროფესიული განათლების ერთიანობისა და უწყვეტობის პრინციპი, რის შესაძლებლობასაც ე.წ. ***სწავლება მთელი ცხოვრების განმავლობაში*** ქმნის.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ადამიანების უმეტესობა მხოლოდ ერთხელ ირჩევდა პროფესიას და ემსახურებოდას მას საპენსიო ასაკის მიღწევამდე. დღეს, გლობალური გამოწვევები განუწყვეტლივ ცვლიან მოთხოვნილებებს პროფესიებისა და კვალიფიკაციების მიმართ. განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებს მუდმივად უწევთ შრომის ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შეფასება და ახალი პროფესიული ცოდნის ათვისება, ახლად გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებისათვის.

სწავლება მთელი ცხოვრების განმავლობაში, განათლებას განიხილავს როგორც სტრატეგიას, რომელიც ადამიანებს ეხმარება სწორად დაგეგმონ და წარმართონ საკუთარი ჩამოყალიბების, მომწიფების და, სამწუხაროდ, დაბერების პროცესები იმ დინამიურ და ცვალებად გარემოცვაში, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების პრინციპის გამოყენება პროფესიულ განათლებაში, შესაძლებელს ხდის შევქმნათ მოსწავლეთა ყველა კატეგორიებისა და ყველა სამიზნე ჯგუფებისათვის განკუთვნილი პროგრამები, დავამყაროთ მათ შორის კავშირები შინაარსისა და დონის მიხედვით. მაგალითად, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების ე.წ. კრედიტული სისტემა, რომლის გამოყენებასაც ეს პრინციპი აუცილებლად მიიჩნევს, ხელს შეუწყობს უმაღლესებში სწავლის გაგრძელების პირობების და შესაძლებლობების მკაფიო და გამჭვირვალე განსაზღვრას.

ახალი პროფესიული განათლება შინაარსით და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს მთელი ქართული საზოგადოების მოთხოვნილებებს, მოსწავლეებისა და დამსაქმებლების მოლოდინებს, იყოს ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილი. მისი დაუფლების შედეგად, ყველა კურსდამთავრებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ცოდნით.

პროფესიული განათლება კვალიფიკაციათა ორ ჯგუფს უნდა ემსახურებოდეს: სახელობოს (კვალიფიცირებული მუშახელი) და უმაღლესს (სპეციალისტები). რაც შეეხება შუალედურ, ე.წ. საშუალო-პროფესიულ მომზადებას, კონცეფციის თანახმად მისი შინაარსი ან უნდა შეივსოს უმაღლესი განათლების მოთხოვნათა ნიშნულამდე, ან პირიქით, გამარტივდეს, გაფართოვდეს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკით და გადავიდეს სახელობო სწავლების კატეგორიაში. ნათქვამის რეალიზებისათვის, კონცეფცია ითვალისწინებს ე.წ. ***საუნივერსიტეტო კოლეჯების*** შექმნას, დღევანდელი ტექნიკუმების ნაწილის ბაზაზე. ამ ინსტიტუციებს, რომელთა შერჩევა აკრედიტაციის პროცესის მეშვეობით მოხდება, უკვე უმაღლესი სასწავლებლების სტატუსი ექნებათ და მათში იწარმოებს უმაღლესი განათლების ახალი საკვალიფიკაციო დონის შესაბამისი სწავლება ***უმაღლესი პროფესიული დიპლომის*** მისაღებად.

რასაკვირველია, უმაღლესი პროფესიული განათლების პრობლემატიკასთან ერთად, კონცეფცია კვალიფიცირებული მუშახელის მომზადების საკითხებსაც განიხილავს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ვითარება პროფესიული განათლების ამ სექტორში უბრალოდ კატასტროფულია! ამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პროფსასწავლებლების რაოდენობა 2,6-ჯერ, მოსწავლეთა მიღება კი - 7,5-ჯერაა შემცირებული, სასწავლო პროგრამები მოძველებული და მოუქნელია, მათი უმეტესობა ორიენტირებულია მსხვილ საწარმოთა ინტერესებზე, რომლებიც ან საერთოდ აღარ არსებობენ, ან ვეღარ ასაქმებენ კურსდამთავრებულებს. სავალალოა პროფსასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. ეს გასაგებიცაა: სახელმწიფომ ხომ უკანასკნელი ინვესტირება მათში თითქმის 20 წლის უკან, 1986 წელს მოახდინა.

პროფესიული განათლების ბიუჯეტი მეტად მწირი რჩება, მისი ოდენობა არ აღემატება განათლებაზე მთლიანად გამოყოფილი სახსრების 2,5-3%-ს, რის გამოც იგი მხოლოდ თანამშრომლების ხელფასების გაცემას ყოფნის. ამასთანავე, ეს მცირე თანხებიც არარაციონალურად იხარჯება, ვინაიდან მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი კლების გამო, პროფსასწავლებლის ერთ მასწავლებელზე დღეს მხოლოდ 4-5 მოსწავლე მოდის! დღეს საქართველოს მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლესებში 18-ჯერ მეტი სტუდენტია, ვიდრე მოსწავლე პროფესიულ სასწავლებლებში! პროფსასწავლებლებში სწავლას განაგრძობს საბაზო სკოლის (9 კლასი) კურსდამთავრებულთა მხოლოდ 3,6%, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ესტონეთში 30%, ფინეთში 60%, გერმანიაში კი 70%-ა.

პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებისათვის აუცილებელია მრავალმხრივი და მიზანმიმართული საქმიანობა, რაზეც ასევე არის საუბარი კონცეფციაში. უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას ***ახალი სასწავლო პროგრამები,*** რომელთა შინაარსი უფრო მეტად დაუახლოვდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მაღალკვალიფიციური მუშახელის დასაქმების ახალ მიმართულებებს შორის დღეს სახელდებიან: მონაცემთა სისტემატიზება და ვებ-დიზაინი, პროგრამირება და ინფორმაციის დამუშავება, ავტომატიზებული სასაწყობო მურნეობის მართვა და ა.შ. ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ზრდასრულთა გადამზადების ისეთი პროგრამები როგორებიცაა: უძრავი ქონების სპეციალისტი, საერთაშორისო გადაზიდვების ოპერატორი, ტურიზმის ორგანიზატორი და სხვ. რასაკვირველია, პროფესიული სწავლება საკუთარ კურსდამთავრებულებს მცირე ბიზნესში თვითდასაქმებისათვისაც უნდა ამზადებდეს. შესაბამისი პროგრამების მაგალითებია: "ბიზნესის ორგანიზაცია", "ფერმერული მეწარმეობა", და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშემწყობი "ხალხური რეწვა და მეწარმეობა".

მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ზოგადი და უმაღლესი განათლების რეფორმირების სტრატეგია და დაიწყო მისი ასახვა პრაქტიკაში, დღის წესრიგში თანმიმდევრულად დადგა განათლების სისტემის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - პროფესიული განათლების რეფორმა. ბუნებრივია, ვიწყებთ კონცეფციით, რომელიც შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა განათლებისა და მეცნიერების საამინისტროს სტარტეგიისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ბ-ნი არჩილ სამადაშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის, ზრდასრულთა სწავლების ასოციაციისა და დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენლები. პროექტის ფართო განხილვის შემდეგ საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს მას, როგორც სახელმძღვანელო დაკუმენტს. კონცეფციის კვალდაკვალ, დაიწყება მუშაობა კანონპროექტზე "პროფესიული განათლების შესახებ", რასაც თავის მხრივ, მოყვება დარგის განვითარების პრაქტიკული პროგრამების განხორციელება.

ველით პროფესიონალების, პოლიტიკოსებისა და, მთლიანად, ფართო საზოგადოების გამოხმაურებას. Kონცეფციას აგრეთვე შეგიძლიათ გაეცნოთ სამინისტროს ვებ-საიტზე:

www. mes.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ალექსანდრე ლომაია.

შესავალი

პროფესიული განათლება წარმოადგენს საქართველოს განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე გადასვლის პირობებში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ერთიანი სტრატეგიის პრინციპებს ემყარება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, სახელმწიფომ შეძლო პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებების პოტენციალის ნაწილობრივ შენარჩუნება, მათი საქმიანობის მიმართულებებისა და ფუნქციების გარკვეული კორექტირება, ამ სისტემის რეფორმირების სტრატეგიის განსაზღვრა ქვეყნის განვითარების ეტაპების მიხედვით. დღეს, იცვლება სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. ახალი ხედვის თანახმად, აუცილებელია პროფესიული განათლების ორიენტირება შრომის ბაზარზე, ახალი პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებენ დამსაქმებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას. უნდა გაიზარდოს პროფესიული სასწავლებლების დამოუკიდებლობის ხარისხი და გაფართოვდეს მათი ფუნქციები, განმტკიცდეს ურთიერთობა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დასაქმების სამსახურებთან და დამსაქმებლებთან.

ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული შესაძლებლობები, ნაწილობრივ, უკვე შექმნილია 1998 წლის დეკემბერში მიღებული საქართველოს კანონით "დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ". თუმცა, შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ახალი კანონის მიღება, რომელიც მოხსნის ძველი კანონით განპირობებულ მთელ რიგ წინააღმდეგობებს.

წინამდებარე კონცეფცია ეფუძნება, ევროკავშირის ტერიტორიაზე, კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების მობილობის ამაღლების ლისაბონის კონვენციით აღიარებულ პრინციპებს. ამ პრინციპების განხორციელება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მსმენელებს, კურსდამთავრებულებსა და პედაგოგებს ევროპის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილების, სწავლისა და დასაქმების საშუალებას მისცემს. აღნიშნულ პროცესებს, ბუნებრივია, სოციალური მნიშვნელობაც ენიჭება. კონცეფციით, პროფესიული განათლება მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ადამიანის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის საფუძვლადაც, ვინაიდან, ამ პროცესში მოქალაქის აქტიური მონაწილეობა წარმოუდგენელია წარმატებული პროფესიული კარიერის გარეშე.

კონცეფციის მიხედვით, საქართველოში უნდა შეიქმნას პროფესიული განათლების ერთიანი სივრცე, სადაც იმოქმედებს გამჭოლი პროფესიული განათლების სისტემა სხვადასხვა დონის პროფესიული სწავლების ურთიერთდაკავშირებული პროგრამებით. ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების თითოეული ადამიანისათვის ხელმისაწვდომობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს საკუთრების სხვადასხვა ფორმის პროფესიულ სასწავლო დაწესებულებათა შექმნას, ექსპერიმენტულ სწავლებას, ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების განვითარებას, შექმნის მისი აღიარების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა, ლიცენზირება და აკრედიტაცია. ამასთან, კონცეფცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი ორგანიზება არ მიეკუთვნება მხოლოდ ერთი, თუნდაც სამთავრობო უწყების კომპეტენციას. პროფესიული განათლება არის სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, მშობლების, მოსწავლეების, პედაგოგებისა და მთელი საზოგადოების მუდმივი ურთიერთქმედების საგანი.

პრობლემა

დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფო დაქვემდებარების 76 დაწყებითი, 4 უწყებრივი და 130 კერძო პროფესიული სასწავლო დაწესებულება. ამ სასწავლებლებში სწავლობს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის საერთო რიცხვის მხოლოდ 3,6%. სახელმწიფო საშუალო პროფესიული სასწავლო დაწესებულებების, ე.წ. ტექნიკუმების რაოდენობა შეადგენს 87-ს, ხოლო კერძო - 223-ს.

საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ბევრად აღემატება მასზე მოთხოვნას. ამასთან, სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის არსებობს ხარისხობრივი დისპროპორცია: ჭარბობს მოთხოვნა კვალიფიციურ მუშა ხელზე და ძირითადად, მიეწოდება უმაღლესი განათლების მქონე კადრები.

ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, დაქირავებით დასაქმებულთა დიდი ნაწილი (40-42%) მუშაობს "პრინციპულად სხვა პროფესიით", სრულიად სხვა სფეროში და ასრულებს მისი პროფესიული განათლებით მიღებული კვალიფიკაციისაგან სრულიად განსხვავებულ სამუშაოს (IPM, "შრომის ბაზრის კვლევა "საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2002).

საქართველოში არ არსებობს ადამიანური რესურსების განვითარების ერთიანი სისტემა, დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პროცესების მართვის მექანიზმი. ნელი ტემპით ვითარდება სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტები და მათი ურთიერთობის პრაქტიკა.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის არაადეკვატურობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ეროვნული ეკონომიკის კვალიფიციური კადრებით შევსებაში მისი უფუნქციობა, დაბალი პრესტიჟი საზოგადოებაში და სხვა თანამედროვე გამოწვევები, გვკარნახობენ ამ სისტემის რეფორმირებისა და მოდერნიზების აუცილებლობას. ამასთან, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სტრატეგიული მიზნის გათვალისწინებით, აუცილებელია, პროფესიული განათლების ახალი პოლიტიკა დაფუძნებულ იქნას 2000 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული მემორანდუმის - "სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში" პრინციპებზე.

საკითხის მოკლე ისტორია

პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად, უკვე მე-19 საუკუნეში, ქართველი განმანათლებლების მესვეურობით, საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სკოლებს. შემდგომ ეტაპზე, მსხვილი საწარმოების გაჩენასთან ერთად, საქართველოში შეიქმნა პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, რომელთა ბაზაზე დღესაც მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საბჭოთა პერიოდში, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ერთიანი საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და ახერხებდა სოციალისტური ეკონომიკის მომარაგებას კვალიფიციური კადრებით. დღეს არსებული სისტემა პირდაპირი მემკვიდრეა საბჭოთა სისტემისა, რის გამოც, იგი არ არის თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური.

პროფესიული განათლების მიზნები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია:

1. მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
2. ეკონომიკის უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრებით:
   ა) დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;
   ბ) ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაცია, საკუთარი ბიზნესის შექმნისა და თვითდასაქმების გზით.

კონცეფცია ხაზს უსვამს თითოეული ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პროფესიულ თვითდამკვიდრებაში პროფესიული განათლებისა და მომზადების აუცილებლობას. ამასთანავე, ითვალისწინებს იმ სოციალური ჯგუფების საჭიროებებს, რომელთაც, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი ჯგუფებია:

1. დევნილები,
2. ე. წ. ქუჩის ბავშვები და სხვა კატეგორიის რისკ-ჯგუფები, მათი სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის მიზნით;
3. უნარშეზღუდული პირები, მათი დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებისა და სოციალიზაციის მიზნით;
4. ხანგრძლივად უმუშევრები, განსაკუთრებით მათი ის ნაწილი, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება შრომის ბაზრის ახალ მოთხოვნებს;
5. სოციალურად გაუცხოებული პირები, მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური კორექციისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის თვალსაზრისით;
6. პატიმრები, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ადაპტაციის მიზნით;
7. იმიგრანტები, სამშობლოში მათი პროფესიული ადაპტაციის მიზნით.

კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასაქმებული ადამიანების პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაახლებას, პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე, წარმოების კულტურისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პირობას.

კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ქალთა პროფესიულ განათლებაზე, როგორც მათი დამოუკიდებლობისა და სოციალური პრესტიჟის ამაღლების საშუალებაზე.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფოს ამოცანებია:

საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება სწავლების უწყვეტობის, მრავალსაფეხურიანობის, მრავალფეროვნების პრინციპებზე დაყრდნობით;
პროფესიული განათლების გარდაქმნა ღია, დინამიკურად განვითარებად, სახელმწიფო-საზოგადოებრივ სისტემად;
- საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება და ინტეგრაცია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან;
პროფესიული განათლების ორიენტირება ადგილობრივ (რეგიონულ) მოთხოვნებზე; პროფესიული განათლების ქსელის ოპტიმიზაცია რეგიონული განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ახალი ტიპის პროფესიული სასწავლო დაწესებულების შექმნა უმაღლესი პროფესიული განათლების არაакადემიური პროგრამების რეალიზაციის მიზნით;
უწყვეტ პროფესიულ განათლებაში სასწავლო კრედიტების დაგროვებისა და გადატანის სისტემის დანერგვა;
- მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების ახალი პრაქტიკის გავრცელება ამ პროფესიების ევოლუციური განვითარების საფუძველზე, პროფესიული პედაგოგიკისა და ანდრაგოგიკის მიღწევების გამოყენებით;
პროფესიული სტანდარტებისა და თითოეულ პროფესიაში საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე, სათანადო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სასწავლო პროგრამების განვითარება;
- ახალი ტიპის პროფესიული სასწავლო დაწესებულების - პროფესიული მომზადების ცენტრების შექმნა, რომლებიც კომპლექსურად გადაწყვეტენ პროფესიული განათლების ისეთ ამოცანებს, როგორიცაა ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა პროფესიული განათლება და მომზადება-გადამზადება.

საქართველოში პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლები:

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილობის ამაღლების ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლებია:

1. მიმზიდველობა, რაც გულისხმობს ყველა ასაკის ადამიანის დაინტერესებასა და მოზიდვას პროფესიული განათლების მისაღებად;
2. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ამით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
3. სასწავლებლების ტიპებისა და მომზადების მიმართუ-

გაგრძლება A7 გვერდზე

პროექტი

საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

A6 გვერდიდან

ლებების, სასწავლო გეგმების მრავალფეროვნება;

4. მისაწვდომობა, რამაც უნდა შექმნას მთელი სიცოცხლის განმავლობაში თითოეული ადამიანის პროფესიული ზრდის შესაძლებლობა;

5. ეფექტიანობა და მაღალი ხარისხი, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციების შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევასა და მომზადებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

6. მემკვიდრეობითობა, რაც გულისხმობს ტრადიციებზე დაფუძნებასა და შეწყმას თანამედროვე მოთხოვნებთან.

საქართველოს ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე და პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემა

საქართველოს ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის სუბიექტებს და მისით დაინტერესებულ მხარეებს. ესენი არიან: მოსწავლეები, სტუდენტები და მსმენელები, პედაგოგ-ინსტრუქტორები და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები, სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლები, დამსაქმებლები და მათი გაერთიანებები, პროფესიული კავშირები, პროფესიული ასოციაციები, დასაქმების სამსახურები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სამსახურები და სხვა.

პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემის საფუძველშია ქვემოთ მოყვანილი წინადადება, რომელიც ეყრდნობა UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ, 1997 წელს მიღებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციას (International Standard Classification of Education, ISCED-97). აღნიშნული წინადადება პროფესიული განათლების სამ დონეს განასხვავებს: დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს, რომლებიც პროფესიათა ორი ჯგუფის - *სახელობოსა* და *სპეციალისტთა*, კვლავწარმოებას უზრუნველყოფენ. იგი განიხილავს თითოეული მათგანის მიზანს, დანიშნულებას, ხანგრძლივობას, მოთხოვნებსა და მიმართებას სწავლების სხვა საფეხურებთან. პროფესიული განათლების სხვადასხვა დონეებს შორის კავშირის დასამყარებლად, შემოთავაზებულია კრედიტების ჩათვლის ევროპული სისტემის (European Credit Transfer System, ECTS) გამოყენება.

პირველი ორი დონის (დაწყებითი და საშუალო) პროფესიული განათლების პროგრამები აიგება სავალდებულო 9-წლიანი სკოლის ბაზაზე, ანუ პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ცხრაწლიანი სავალდებულო საბაზო განათლების დასრულების საფუძველზე. ამის შემდეგ, მოსწავლის წინაშე ორი ალტერნატივა დგება (იხ. ნახაზი). პირველია ერთი, ან ორწლიანი მომზადების გავლა პროფესიული სწავლების ცენტრში, დაწყებითი, ან საშუალო პროფესიული განათლების მიღების მიზნით. კურსდამთავრებულს მიეცემა *სახელმწიფო პროფესიული სერტიფიკატი*, რომელიც ადასტურებს მის მიერ შეძენილ სახელობო კვალიფიკაციას.

დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები, არსებითად, პროფესიების ერთი და იგივე, ე.წ. სახელობო ჯგუფისთვის მოსამზადებელ პროგრამებს წარმოადგენენ. მათ შორის განსხვავება, ძირითადად, სწავლების ხანგრძლივობით იქნება განპირობებული. თავის მხრივ, სწავლების პერიოდი დამოკიდებულია მისაღწევ (სასურველ) საკვალიფიკაციო დონეზე და/ან პროფესიის ათვისების სირთულეზე. ამ ტიპის პროგრამებით მომზადება იწარმოებს *პროფესიული სწავლების ცენტრებში*, რომლებიც იმუშავებენ უწყვეტი პროფესიული განათლების რეალიზების პრინციპით და პროფესიული მომზადების ისეთ ფორმებსაც უზრუნველყოფენ, როგორებიცაა ზრდასრულთა სწავლება, პროფესიული გადამზადება, კვალიფიკაციის სრულყოფა და ა.შ. გარდა ამისა, აღნიშნული ცენტრების ბაზაზე, მომზადების პრაქტიკულ ნაწილს გაივლიან საშუალო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებიც მოინდომებენ სრული საშუალო განათლების კურსის შეთავსებას პროფესიული კვალიფიკაციის მიღებასთან.

ხაზგასასმელია, რომ გარკვეული პროფესიის დაუფლება შესაძლებელია სრული ზოგადი განათლების მიღების პარალელურად, ე.ი. საშუალო სკოლაში სწავლასთან შეთავსებით. ამის საფუძველია ის, რომ სრული საშუალო განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის არჩევით ნაწილში, ერთ-ერთ ალტერნატივად შევა პროფესიული მომზადებაც.

დავსძენთ, რომ პროფესიული სწავლების პირველი ორი საფეხურის კურსდამთავრებული, რომელიც მარტო პროფესიულ სერტიფიკატს ფლობს, ვერ განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, თუ კი არ შეივსებს ზოგადი მომზადების დონეს სრული საშუალო განათლების ნიშნულამდე.

პროფესიული განათლების მესამე, უმაღლეს დონეზე, ხდება სპეციალისტთა პროფესიული ჯგუფის შესაბამისი პროგრამებით მომზადება. ისინი სრული საშუალო განათლების საფუძველზე აიგება და მათზე სწავლის უფლება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს აქვთ.

ეს დონე სამსაფეხურიანია. მის მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურებს წინამდებარე წინადადებაში არ განვიხილავთ. პირველ საფეხურზე იწარმოებს სპეციალისტების მომზადება *ეროვნული პროფესიული დიპლომის* ან *ბაკალავრის აკადემიური ხარისხის* მინიჭებით. პროფესიული დიპლომისათვის სწავლების მიზანია პროფესიონალ-პრაქტიკოსის მომზადება და მისი "სწრაფი" გაყვანა შრომის ბაზარზე. ამიტომ, შესაბამისი პროგრამების ხანგრძლივობა შედარებით მცირე იქნება (ორი-სამი წელი) და ისინი თეორიული და ზოგადსაგანმანათლებლო საკითხების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმის გაცნობას გაითვალისწინებენ. ეს, ე.წ. "ტრანსფერული" პროგრამები, მეთოდურად და შინაარსობრივად, კავშირში იქნებიან შესაბამის საბაკალავრო პროგრამებთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, სურვილის შემთხვევაში, გადავიდნენ ერთი ტიპის პროგრამიდან მეორეზე. კერძოდ, ECTS-ის რეკომენდაციის შესაბამისად, 2 წლიანი ტრანსფერული პროგრამის წარმატებული დასრულება კურსდამთავრებულისთვის 120 კრედიტის მინიჭებით აღინიშნება. ეს მას საშუალებას მისცემს, შემდგომში, 4-წლიანი ბაკალავრიატის მე-3 კურსიდან განაგრძოს სწავლა.

ეროვნული პროფესიული დიპლომის მფლობელი პირდაპირ ვერ განაგრძობს სწავლას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში. ამის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ბაკალავრებს, რომელთა მომზადების პროგრამები შესაბამისი საგნების თეორიული საფუძვლების გაფართოებულ სწავლებას ითვალისწინებენ. ბუნებრივია, რომ ასეთი პროგრამების ხანგრძლივობაც მეტია - 4 წელი და ისინი 240 ECTS კრედიტის მინიჭებით სრულდებიან. მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად, დიპლომირებულმა სპეციალისტმა უნდა გაიაროს დამატებითი აკადემიური პროგრამა და დააგროვოს 120 კრედიტი ბაკალავრის ხარისხის მიმნიჭებელ უმაღლეს სასწავლებელში (უნივერსიტეტში).

ხაზგასასმელია, რომ შრომის ბაზარზე, ერთი და იგივე მიმართულების როგორც ბაკალავრის, ისე დიპლომირებული სპეციალისტის „ფასი" ერთნაირია, ვინაიდან მათი სწავლების პროგრამების სპეციალურ-პროფესიული ნაწილი, პრაქტიკულად, იდენტურია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბაკალავრი, პირველი საფეხურის დასრულებისთანავე, მზად იქნება მაგისტრატურაში კვლევითი ხასიათის პროგრამებით სწავლისათვის, ან ისეთი პროფესიების დაუფლებისათვის, რომლებიც სტუდენტისაგან აკადემიური ცოდნის მაღალ დონეს მოითხოვენ. ეს შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამის სასწავლო პროგრამებში სამეცნიერო-თეორიული საფუძვლების გაღრმავებული შესწავლით.



ჩვენი წინადადების რეალიზების ერთ-ერთი წინაპირობაა, აკრედიტაციის მექანიზმის მეშვეობით, არსებული საშუალო-პროფესიული სასწავლებლების (ტექნიკუმების) დიფერენცირება მატერიალურ-რესურსული და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო პოტენციალის მიხედვით. ის სასწავლებლები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სათანადო აკრედიტაციას, *საუნივერსიტეტო კოლეჯებად* გარდაიქმნებიან. შესაძლებელია მათი ნაწილის ორგანიზაციული დაკავშირება უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებთან და ერთობლივი პროგრამების შექმნა. ძირითადად, სწორედ კოლეჯები უზრუნველყოფენ *დიპლომირებული სპეციალისტების* მოსამზადებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებას. დღევანდელი საშუალო პროფესიული სასწავლებლების მეორე, შედარებით სუსტი ნაწილი, დაწყებით პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად, შევა პროფესიული სწავლების ცენტრების შემადგენლობაში.

მთელი ცხოვრების განმავლობაში პროფესიული განათლების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, კონცეფცია განიხილავს პროფესიული სწავლების შემდეგ ფორმებსაც:

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები, რომელთა მიზანია, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი შეუწყონ გარკვეული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაში, ან არსებულის გაღრმავებაში, რაც პროფესიულ კარიერაში მისი წინსვლის საფუძვლად უნდა იქცეს. პროგრამების ხანგრძლივობა, როგორც წესი, ნახევარ წელზე ნაკლები იქნება. ასეთი პროგრამების რეალიზებისათვის უნდა არსებობდეს სწავლების სხვადასხვა ფორმები (დაუსწრებელი და დისტანციური სწავლება, საღამოს კურსები და ა.შ.). პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს შესაბამის კვალიფიკაციას. ასეთი პროგრამები განხორციელდება პროფესიული კოლეჯებში, პროფესიული განათლების ცენტრებში, უნივერსიტეტებში, საწარმოებში და ა.შ

ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები ემსახურება შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზნებს. მათი განხორციელება ნაკარნახევია როგორც დღევანდელი რეალობით, აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ამ პროგრამების არსებობა, ტექნიკური პროგრესის გამო, მომავალშიც აუცილებელი იქნება. ეს მოკლევადიანი (მაქსიმუმ ნახევარწლიანი) პროგრამები დაეხმარება ზრდასრულ (18 წელზე უფროს) მოქალაქეებს შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასა და ახალ პირობებთან შეგუებაში. ასეთი პროგრამების რეალიზება, უპირველესად, პროფესიული განათლების ცენტრებში მოხდება. პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდეგ მსმენელს მიენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დადასტურებული იქნება პროფესიული სერტიფიკატით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზაცია

უწყვეტი პროფესიული განათლების კონცეფციის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებების ქსელის ოპტიმიზაცია.** ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია **მოსამზადებელი კვალიფიკაციების** სისტემის გადასინჯვა, რაც ითვალისწინებს შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების, ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების კლასიფიკატორების საფუძველზე, პროფესიული განათლების საფეხურების შესაბამისად მოსამზადებელი პროფესიების ნუსხის შემუშავებას, პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურის განვითარებასა და ახალ პროფესიულ მიმართულებებზე, სპეციალობებსა და პროფესიებზე წარმოქმნილ მოთხოვნებზე მობილური რეაგირების მექანიზმების შექმნას.

კონცეფციის მიხედვით, იკვეთება კვალიფიკაციათა ორი ჯგუფი:

1. პროფესიული კვალიფიკაციები, რომელთა დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ ფორმალური განათლების პირობებში და რომელთა მინიჭებაც მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და სათანადო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში ხდება;

2. კვალიფიკაციები, რომელთა დაუფლება შესაძლებელია არაფორმალურ გარემოში, რაიმე სასწავლო პროგრამის გავლის გარეშეც და რომელთა შესაბამისი კვალიფიკაცია მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებული ჩაბარების საფუძველზე მიენიჭება.

შესაბამისად, პირველი სახის კვალიფიკაციების მისაღებად სწავლება ლიცენზირებასა და სათანადო პროგრამულ აკრედიტაციას მოითხოვს. M

პროფესიულ სტანდარტებში ასახული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ფორმულირების შემდგომი ეტაპია **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების** შემუშავება. ეს საქმიანობა, ევროპის განათლების ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე, დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროში ნაწილობრივ უკვე შესრულებულია. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, ანუ სავალდებულო შრომითი მოთხოვნები თითოეულ პროფესიაში. Aსაქმიანობას მისი დადგენის მიმართულებით წარმართავენ დამსაქმებლები, სტატისტიკის, შრომისა და დასაქმების სახელმწიფო სამსახურები. საგანმანათლებლო სტანდარტების სფერო განათლებისა და მეცნიერების, დამსაქმებლების, შრომისა და დასაქმების სამსახურების ერთობლივ კომპეტენციას მიეკუთვნება.

ხაზგასასმელია, რომ ყოველივე ზემოთქმული მოითხოვს პროფესიული ატესტაციის სისტემის ჩამოყალიბებას, პროფესიული ასოციაციების შექმნისა და მათი მეშვეობით, პროფესიულ-საკვალიფიკაციო სტრუქტურის განვითარებას.

მეწარმეობის ასახვა პროფესიულ განათლებაში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პიროვნული თვითდამკვიდრებისა და საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესია პროფესიული განათლების შერწყმა სამეწარმეო განათლებასთან. პროფესიულმა სწავლებამ თავის "მომხმარებელს" უნდა შესთავაზოს არა მხოლოდ დაქირავებული შრომისათვის საჭირო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ, მისცეს მას საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობაც. ფაქტობრივად, ეს არის ახალი მიმართულება პროფესიულ განათლებაში, რომლის საფუძველია განათლებასა და ბიზნესს შორის საქმიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება, სამეწარმეო კულტურის დანერგვა სასწავლო დაწესებულების როგორც სამრეწველო, ასევე პედაგოგიურ საქმიანობაში. კარგი შედეგის მომცემი იქნება სწავლების პროცესში მოსწავლის მუშაობა ისეთ ბიზნეს-პროექტებზე, რომლის დანიშნულება სასწავლო-საწარმოო საქმიანობის კომერციალიზაცია იქნება.

უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების კიდევ ერთი პირობაა **პროფესიული ორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბება.** ამ საკითხის აქტუალობა არა ერთი ფაქტორით არის განპირობებული. ესენია: საქართველოს მოსახლეობის უპირატესი ორიენტაცია უმაღლეს აკადემიურ განათლებაზე და, შესაბამისად, სახელობო განათლების დაბალი იმიჯი საზოგადოებაში, პროფესიული სასწავლო დაწესებულებების არაადეკვატურობა ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებისადმი, ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე და სხვა. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მე-8, მე-9 კლასისა და სრული საშუალო განათლების საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის სისტემის ამოქმედება პროფესიული განათლების მომხმარებელი ყველა იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც ზრდასრულთა სწავლების ფარგლებში მოიაზრებიან.

საზოგადოებრივი თანამშრომლობა პროფესიულ განათლებაში და პასუხისმგებლობის გადანაწილება

პროფესიულ განათლებაში საზოგადოებრივი თანამშრომლობა ეფუძნება სახელმწიფოს, დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და მუდმივ სოციალურ დიალოგს.Mამ საკითხზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ დამსაქმებლებსა და სასწავლო ორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობების უქონლობა წარმოშობს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ წინაღობას საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებისას.

წინამდებარე კონცეფცია ითვალისწინებს:

საზოგადოებრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას;

- სახელმწიფო და რეგიონულ დონეებზე პროფესიულ განათლებაში საზოგადოებრივი თანამშრომლობის მოდელის შექმნას;

პროფესიულ განათლებაში სოციალური დაკვეთის ასახვის საკვანძო მექანიზმის შექმნას სახელმწიფო და რეგიონულ დონეებზე, ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების გათვალისწინებით;

- პროფესიულ განათლებაში დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინების სისტემის ჩამოყალიბებას.

პროფესიული განათლების მართვა

პროფესიული განათლების ახალი სისტემა მოითხოვს მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნას, რომლის ძირითადი პრინციპებია:

- ფუნქციების გადანაწილება სახელმწიფო, რეგიონულ დონეებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის;

სასწავლებლებთან სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- მართვის რეგიონული მოდელის შექმნა;

სახელმწიფო და რეგიონულ დონეებზე პროფესიული განათლების შესაძლებლობების ჩართვა საინვესტიციო პროექტებში;

- რეგიონული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას პროფესიული განათლების სფეროში ინვესტირების გათვალისწინება და სხვა.

ცალკე ყურადღებას მოითხოვს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების პროფესიული განათლების საკითხები, კერძოდ, სწავლების ენის პრობლემა. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ("კოპენჰაგენის დოკუმენტის" 34-ე მუხლი, "ჰააგის რეკომენდაციები" 1996 და ა.შ.) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებაა ისწავლონ მშობლიური ენა, ან ისწავლონ მშობლიურ ენაზე. ამასთან, ხაზგასმულია, რომ ეს უფლება სრულად ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებას გააჩნია სათანადო რესურსები და მოსახლეობის აღნიშნული კატეგორია საკმარისად დაუფლებულია სახელმწიფო ენას. ვინაიდან საქართველოში ასეთი პირობები ჯერ არ არის შექმნილი, მიგვაჩნია, რომ პროფგანათლების პროგრამების რეალიზება ეროვნული უმცირესობების ენაზე ნაადრევია და დღეს, ასეთი პროგრამების არსებობა მხოლოდ კურსდამთავრებულთა გაუცხოებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ზემოთხსენებულ უფლებებს, მათი შესრულება უნდა მოხდეს სახელმწიფო ენაზე შეთავაზებულ სასწავლო პროგრამებში ენის შემსწავლელი დამატებითი კურსის შეტანის მეშვეობით.

დაკავებულთა შორის მხოლოდ ორია საქართველოს მოქალაქე

ბარსელონაში დაკავებულ ქართველთაგან საქართველოს მოქალაქე მხოლოდ ორი აღმოჩნდა; შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება პასუხისმგებლობას მხოლოდ ორ მათგანზე კისრულობს და, გამომდინარე იქიდან, რომ დაკავებულთაგან უმეტესობა სხვადასხვა ქვეყნის - რუსეთის, უკრაინის, ხორვატიის - მოქალაქეები არიან, ოფიციალურ დონეზე იმის განცხადებაც გახდა შესაძლებელი, რომ ესპანეთში ჩატარებული სპეცოპერაცია არ ყოფილა ქართველების წინააღმდეგ მიმართული. აღსანიშნავია, რომ ამ სხვადასხვა ქვეყნის დაკავებულ მოქალაქეთა ეთნიკური წარმომავლობა ოფიციალურ დონეზე არ კონკრეტდება, ჩვენი ინფორმაციით კი, ყველა მათგანი ქართველია.

ესპანელმა სამართალდამცველებმა გუშინ გაათავისუფლეს ორი ქართველი არასრულწლოვანი - საქართველოში კარგად ცნობილი, ამჟამად ბარსელონაში მცხოვრები ტარიელ ონიანის 12 წლის ქალიშვილი და ამჟამად ესპანელი სამართალდამცველების ხელში მყოფი ერთ-ერთი დაკავებულის 7 წლის შვილი. რა მიზეზით იყო გამოწვეული ბავშვების დაკავება, ესპანელი სამართალდამცველები არ აკონკრეტებენ. სამაგიეროდ, ბარსელონიდან მადრიდში უკვე გადაიყვანეს 16 დაკავებული, რომელთაგან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის განცხადებით, საქართველოს მოქალაქე მხოლოდ ორია. დანარჩენები სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის - რუსეთის, უკრაინის, ხორვატიის მოქალაქეები არიან. შესაბამისად, კახა სიხარულიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესპანეთის პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიება არ არის ქართველების წინააღმდეგ მიმართული აქცია. გუშინ კახა სიხარულიძეს არ დაუკონკრეტებია იმ დაკავებულთა ეთნიკური წარმომავლობა, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ არიან. ჩვენი ინფორმაციით კი, 16-ვე დაკავებული ქართველია. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სხვა ქვეყნის, კერძოდ, საბერძნეთის მოქალაქის სტატუსით სარგებლობს თავად ტარიელ ონიანიც, რომლის დაკავებაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შაბათს ესპანელმა სამართლადამცველებმა უშედეგოდ სცადეს.

სასამართლო პროცესზე, რომელიც მადრიდში გუშინ ჩატარდა, დაკავებულთა პატიმრობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. სავარაუდოდ, სასამართლოს ესწრებოდა ესპანეთში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელი. დანამდვილებით კი მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ესპანეთში საქართველოს ელჩიცა და კონსულიც მადრიდში ჩავიდნენ.

სიხარულიძის განმარტებით, შაბათს ჩატარებული სპეცოპერაცია, ესპანეთის უმაღლესი სასამართლოს სანქციით, ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ქვედანაყოფისა და საემიგრაციო პოლიციის მიერ განხორციელდა და, დაკავებების გარდა, ოპერაციის დროს ამოღებულ იქნა საბუღალტრო დოკუმენტაცია, გაიყინა 700-ზე მეტი საბანკო ანგარიში. მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, რომ, გარდა ოფიციალურ პირებთან ურთიერთობისა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სერიოზული კონტაქტები აქვს დაკავებულთა ადვოკატებთან. მათი თქმით, დაკავებულები კარგ პირობებში იმყოფებიან.

24 საათი

მოკლედ

გატაცებული ქართველის ახლობლები რუს სამშვიდობოებს გამტაცებლებთან კავშირში ადანაშაულებენ

აფხაზების მიერ გატაცებული კიდევ ერთი ქართველის ბესიკ კეკუტიძის ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა გუშინ ენგურის ხიდზე საპროტესტო აქცია გამართეს, რის გამოც, ხიდი რამდენიმე საათით გადაკეტილი იყო.

"ხელისუფლებამ გაატაროს შესაბამისი ზომები მძევლის გასათავისუფლებლად", - ასეთი გახლდათ აქციის მონაწილეთა მოთხოვნა. მათი განმარტებებით, ბესიკ კეკუტიძე ერთი კვირის წინ გაიტაცეს. მისი ოჯახის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ ის აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჰყავთ.

ცოცხალია თუ მკვდარი, ამის შესახებ არავინ არაფერს გვეუბნება, არაფერი ვიცით გატაცებულის შესახებ, გარდა იმისა, რომ მას სასტიკად სცემეს", - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

გატაცებულის ახლობლები რუს სამშვიდობოებს გამტაცებლებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ. საუბარია, კონკრეტულად, 310-ე საგუშაგოს ჯარისკაცებზე. როგორც ირკვევა, ბესიკ კეკუტიძე სწორედ ამ საგუშაგოზე გააჩერეს რუსმა სამშვიდობოებმა, იქიდან კი აფხაზებმა გაიტაცეს. **24 საათი**

მოსამართლის თანაშემწის გამოცდა 57-მა იურისტმა ჩააბარა

სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლის თანაშემწის გამოცდები ჩატარდა. 63 პრეტენდენტიდან გამოცდები 57-მა წარმატებით ჩააბარა. გამოცდა ტესტური სახით ჩატარდა, შედეგებიც კომპიუტერის საშუალებით შემოწმდა.

სამოსამართლო სწავლების ცენტრი კომერციული დაწესებულებაა. იგი გამოცდაში გამარჯვებულებს დასაქმებით არ უზრუნველყოფს. სამოსამართლო სწავლების ცენტრის კონსულტანტის ქეთი ქვრივიშვილის განცხადებით, მათ, ვინც წარმატებით ჩააბარა გამოცდა, გადაეცემათ სერთიფიკატი, რომელთაც საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ საქალაქო სასამართლოს კონკურსში.

სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო პროცესი 3 თვეს მოიცავს და 400 ლარი ღირს. პროგრამის შემადგენლობაში იურიდიული ლიტერატურის ყველა დისციპლინა შედის. ქეთი ქვრივიშვილის ინფორმაციით, სასწავლო პროცესში უპირატესობა პრაქტიკულ სამუშაოებს ენიჭებათ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სასწავლო პროცესში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებიც მონაწილეობენ.

სამოსამართლო სწავლების ცენტრში სექტემბერში ახალი ნაკადის მიღება იგეგმება. **მედიანიუსი**

ეჭვმიტანილის მიერ მითვისებული თანხის რაოდენობას არ აკონკრეტებენ

ფინანსურმა პოლიციამ ენერგოზედამხედველობის დეპარტამენტის ზესტაფონის ფილიალის ხელმძღვანელი თანხების მითვისებაში ამხილა.

ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ ენერგოზედამხედველობისა და ხარისხის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ზესტაფონის ფილიალის უფროსი გია ონიანი თანხების მითვისებაში ამხილა.

ფინანსური პოლიციის განმარტებით, ელექტროქსელში ჩართვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სხვადასხვა თანხა ღირს, ჩართვის ღირებულება კი ობიექტის სიდიდეზეა დამოკიდებული. "ონიანმა 12 სხვადასხვა ობიექტზე გასცა ასეთი ნებართვა, მიღებული თანხები კი, შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვის ნაცვლად, მიითვისა", - ასეთია პოლიციის ინფორმაცია.

ფინანსურ პოლიციაში მითვისებული თანხების რაოდენობას არ აკონკრეტებენ. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

სემინარი "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" შესასწავლად

არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის გუშინ ქუთაისში "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" შესასწავლად ორდღიანი ტრეინინგ-სემინარი დაიწყო.

ტრეინინგ-სემინარის ორგანიზატორები არიან ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია". როგორც ევროსაბჭოს საინფორმაციო ბიუროში აცხადებენ, სემინარზე ექსპერტები იაშა ჭელიძე და ბესიკ ბოხაშვილი მონაწილეებს გააცნობენ"ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" შინაარსს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტრუქტურას და მუშაობის წესს. **პრაიმ-ნიუსი**

მოძრაობის წესების დარღვევის 2363 ფაქტი გამოვლინდა

1-დან 17 ივნისამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პირადმა შემადგენლობამ ქვეყნის საავტომობილო გზებზე გამოავლინა მოძრაობის წესების დარღვევის 2363 ფაქტი, მათ შორის, ავტომანქანის მართვის არაფხიზელ მდგომარეობაში - 87, გადაჭარბებული სიჩქარით - 153, გასწრების წესების დარღვევით - 203, გზაჯვარედინზე გავლის წესების დარღვევით - 30, ავარიული სიტუაციის შექმნა - 58, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის ხაზის მოთხოვნათა დაუცველობა - 341, ტექნიკურად გაუმართავი - 49, არდამორჩილება - 1, ტექნიკური დათვალიერების გარეშე - 639, სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე - 74, მართვის მოწმობის გარეშე - 105, სხვა დარღვევები - 623.

ამავე პერიოდში ერთობლივად ქურდობის ფაქტზე დაკავებულია 6 პირი, ავტომანქანის გატაცების ფაქტზე დაკავებულია ოთხი პირი, ქონების განზრახ განადგურების ფაქტზე - 3, ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე - 2 პირი, ამოღებულია 51,2 გრამი ოპიუმი. **მედიანიუსი**

"ევროსაბჭომ პოზიტიური შეფასება გააკეთა"

აცხადებს ევროსაბჭოდან ახლახან დაბრუნებული საქართველოს ვიცე-პრემიერი და იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, რომელმაც, როგორც საქართველოს სამართლებრივი ცხოვრების წამყვანი სტრუქტურის ხელმძღვანელმა, ევროსაბჭოს დეტალური ანგარიში ჩააბარა.

"საქართველოში ევროპული პენიტენციური სისტემა მაინც აშენდება," - ამბობს იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი შეხვდა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისს, ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს, სამართლებრივი დეპარტამენტის გენერალურ დირექტორს, ვენეციის კომისიის ხელმძღვანელობას და პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორატს. **"ყველა შეხვედრაზე, მიმართულების მიხედვით, განიხილებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესები, სამართლებრივი ცვლილებები. ძირითადი აქცენტი გაკეთდა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების მდგომარეობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე. ვფიქრობ, რომ შეხვედრები და შეფასებები ძალზე მნიშვნელოვანი იყო. საერთოდ, ვიზიტმა ძალზე პოზიტიურად ჩაიარა. ევროსაბჭოში განსაკუთრებული შეკითხვები არ გასჩენიათ, რადგან ზუსტად ფლობდნენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასთან დაკავშირებით. პროცესებზე, რომლებიც მათი დაფინანსებით მიმდინარეობს, შენიშვნები არ ჰქონიათ და ისინი დადებითად შეაფასეს",** - აცხადებს საქართველოს ვიცე-პრემიერი კოტე კემულარია.

რაც შეეხება ევროსაბჭოს კრიტიკულ შენიშვნებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისსა და კოტე კემულარიას შორის შედგა შეთანხმება: ევროსაბჭოში საქართველოს მოქალაქეებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შესული ყველა საკითხი, ყველა პრობლემა გადმოეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ყველა პრობლემის შესახებ მოამზადებს შესაბამის ობიექტურ დასკვნებს. მსაგვსი პრეცედენტი კოტე კემულარიას ევროსაბჭოში ვიზიტამდე უკვე მოხდა. ტერი დევისმა გადმოაგზავნა კითხვარი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, კონკრეტულად, ძალადობისა და წამების მიმართულებით. ევროსაბჭოს კითხვარში ჩამოთვლილი ყველა კონკრეტული ფაქტი იუსტიციის სამინისტრომ მოიკვლია და გაკეთდა ანგარიში, რომელიც კოტე კემულარიამ ევროსაბჭოს ჩააბარა. **"ამ გზით ევროსაბჭოს ექნება საშუალება, ობიექტურად იმსჯელოს ყველა ფაქტზე. თუ აქამდე საუბარი იყო, რომ სახელმწიფო არ რეაგირებდა სხვადასხვა ფაქტზე, მომავალში ეს პრობლემა აღარ იარსებებს,** - აცხადებს კოტე კემულარია, - **ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულია და, გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ადამიანის უფლებების დაცვაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ. ჩვენ აქეთ მივდივართ. ამის დასტურია ის, რომ პროკურატურაში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით იმუშავებს. ამ მხრივ, სიახლეა იუსტიციის სამინისტროშიც, ამ სფეროს კურირებას გაუწევს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე".**

ევროსაბჭო განსაკუთრებით საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმითაა დაინტერესებული და ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი რეფორმის ჯგუფის ხელმძღვანელისგან კოტე კემულარიასგან მათ დეტალური ინფორმაცია მიიღეს. **"ევროსაბჭოს გასაკუთრებით სასამართლო რეფორმა აინტერესებს. მათ მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაზე, რომელზე მუშაობაც მუშა ჯგუფმა უკვე დაასრულა და რომლის მიხედვითაც, ჩამოყალიბდა სასამართლოს მოდელი. დადებითად შეფასდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნის საკითხი, პროკურატურასა და პოლიციაში მიმდინარე რეფორმები, ის სერიოზული შედეგები, რომელიც სახეზეა. ფაქტია, პოლიციაში ძალადობა მაქსიმალურად შემცირდა და საზოგადოება ამ სტრუქტურას შიშით აღარ უყურებს; ფაქტია ისიც, რომ ძალზე მაღალია პატრულის რეიტინგი. პოლიციას ჩამოშორდა სხვადასხვა დამატება და მივიღეთ 21-ე საუკუნის შესაბამისი ორგანო",** - ასეთია იუსტიციის მინისტრის ანგარიშის ის ფრაგმენტი, რომელიც ევროსაბჭომ მოისმინა.

ევროსაბჭოში მოისმინეს იუსტიციის მინისტრის "ყველაზე დიდი თავისტკივილის", პენიტენციური სისტემაში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია. **"ევროსაბჭოში ადამიანის უფლებების დაცვაზე მსჯელობისას იმსჯელებენ იმაზეც, როგორ ვექცევით დაპატიმრებულ ადამიანებს. ამ სფეროში არსებული პრობლემები ძალზე გვაწუხებს. მადლობლები ვართ მონიტორინგის საბჭოსი, მათ მიერ მოკვლეული ფაქტები გვეხმარება ნათლად დავინახოთ პრობლემები, რომელიც ამ სისტემაშია. მალე ამოქმედდება ქუთაისისა და რუსთავის ევროსტანდარტების შესაბამისი საპყრობილეები. მიმდინარე მშენებლობები ევროსაბჭოსა და დასავლეთის სხვა ექსპერტებმა ნახეს და მათი დასკვნები პოზიტიურია. მართალია, ეს არ არის შვება, მაგრამ ნელნელა ჩვენ მივდივართ ევროპული მოდელისკენ",** - ამბობს კოტე კემულარია. იგი აცხადებს, რომ ქართული პენიტენციური სისტემის ევროპულ სტანდარტებზე გადასაყვანად სერიოზული ფინანსებია საჭირო - 120 მილიონი ლარი, იმისთვის, რათა სისტემა გაიმართოს. დღევანდელი ბიუჯეტით - 27 მილიონი ლარით კი, არსებული პრობლემების მოგვარება შეუძლებელია. **"ამიტომაც სერიოზულად ვმუშაობთ დონორების მოზიდვაზე და მივაღწიეთ კიდეც, რომ რამდენიმე ქვეყნის ხელისუფლებამ სოლიდური დახმარება გაგვიწია",** - ამბობს იუსტიციის მინისტრი. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ძნელი იქნება, **"საქართველოში ევროპული პენიტენციური სისტემა მაინც აშენდება."**

ევროსაბჭომ მოიწონა საქართველოს მიერ რესტავრაციული მართლმსაჯულებისკენ აღებული გეზი - ალტერნატიული პატიმრობის, პრობაციის თაობაზე შექმნილი პროექტები; რევოლუციური საპროცესო კოდექსი; სამოქალაქო რეესტრისა და საჯარო რეესტრის რეფორმა.

"იუსტიციის სამინისტროს მძიმე, მაგრამ საპასუხისმგებლო საქმიანობის შესახებ ასეთი მოხსენება ჩაიბარა ევროსაბჭომ და მათი შეფასება დადებითი იყო. სამომავლოდ ევროსაბჭოსთან მჭიდრო კონტაქტები გვექნება და სისტემატურად მივაწვდით ანალიტიკურ მასალას მიმდინარე პროცესებზე", - ასეთია საქართველოს ვიცე-პრემიერის კოტე კემულარიას მიერ ევროსაბჭოში ვიზიტის თაობაზე გაკეთებული ანგარიში.

დაბოლოს, შემოდგომისთვის იუსტიციის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს სიახლეს შესთავაზებს - ახალ პასპორტებს, ახალი სიმბოლიკით და ძველი ფასით. გარდა ამისა, პლასტიკური ბარათებით შეიცვლება პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიც.

24 საათი

მსოფლიო ბანკი სასამართლო სისტემებს აკრიტიკებს

საქართველოში ჩატარებული სასამართლო რეფორმა, რომელიც ყოველთვის იმსახურებდა უცხოელ ექსპერტთა მოწონებას და რომელშიც ამჟამად კვლავაც შედის კორექტივები, რეფორმის დონორი ორგანიზაციების ექსპერტთა კრიტიკის საგანი გახდა. ექსპერტთა აზრით, ქართული სასამართლო სისტემა, ისევე როგორც, თითქმის, ყველა პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნისა, მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს. მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში მოწყობილ ვიდეო-კონფერენციაზე ქართველ ჟურნალისტებს, პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების კოლეგებთან ერთად საშუალება მიეცათ, შეკითხვები დაესვათ მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის ავტორებისთვის, რომელთა ანალიტიკური ნაშრომი რამდენიმე რეგიონის სასამართლო სისტემების შესახებ ახლახან გამოქვეყნდა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უმეტესობას დიდი ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სასამართლო სისტემა, უზრუნველყოს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და მოსამართლეთა ანგარიშვალდებულება, - ასეთი დასკვნა გააკეთეს მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა: ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის დირექტორმა ჩარლზ გრეიმ და მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფო სექტორის მართვის უფროსმა სპეციალისტმა დევიდ ბერნშტეინმა, რომელიც, კარგა ხანია, თანამშრომლობს ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნების მთავრობებთან სახელმწიფო მართვისა და სამართლებრივი რეფორმის პროექტების განხორციელების სფეროში.

სწორედ მათ მიერ არის შედგენილი მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიში სახელწოდებით "სასამართლო სისტემა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში: წარსულის შეფასება და მომავლის პერსპექტივები". ანგარიშში გაანალიზებულია გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში სამართლებრივი ინსტიტუტების გარდაქმნის პროცესი 1990 წლიდან დღემდე. აღსანიშნავია, რომ ანგარიშის ავტორები ანალიზის გაკეთებისას დაეყრდნენ მოცემულ რეგიონებში მოქალაქეთა იურისტთა და საწარმოთა ხელმძღვანელების სოციალური გამოკითხვების შედეგებს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი წინსვლისა, მოცემულ რეგიონებში სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ საჭიროებს სრულყოფას.

ჩერილ გრეის აზრით, იმ ქვეყნებში, რომლებიც კვლევის საგანს წარმოადგენდნენ, **"სასამართლო რეფორმა საკმაოდ ჩამორჩება საბაზრო ეკონომიკის განვითარებისკენ მიმართულ რეფორმებს, რომლებიც ამ ქვეყნებში სწრაფად მიიწევს წინ. სამწუხაროდ, სასამართლო რეფორმისა და გაძლიერების მხრივ, გაცილებით ნაკლები პროგრესი შეიმჩნევა, ვიდრე პოლიტიკისა თუ ინსტიტუციონალური რეფორმების ნებისმიერ სხვა სფეროში".**

ექსპერტების განმარტებით, იმ ქვეყნებში, სადაც კვლევა ჩატარდა, სასამართლო რეფორმის განხორციელებისას ყველა თავისებურ სიძნელეებს აწყდება, მაგრამ გამოიკვეთა საერთო პრობლემებიც - მაგალითად, გამჭვირვალობის დეფიციტი, რაც, ექსპერტთა აზრით, საქართველოში მეტ-ნაკლებად მოგვარებულია; ასევე, ანგარიშის ავტორები მიიჩნევენ, რომ სასამართლოების ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოს ეფექტური მუშაობისთვის, ჩვენში მეტ-ნაკლებად მიღწეულია, რადგანაც კვლავაც მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული მცირეპროცენტიანი კრედიტის - 13,4 მილიონი დოლარის დახმარებით მოხერხდა სასამართლოს შენობების გარემონტება და აღჭურვა. მიუხედავად რიგი მიღწევებისა, ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში, ისევე როგორც აზერბაიჯანში, მოლდოვასა და უკრაინაში, საბაზრო ეკონომიკის სფეროში უფრო მეტი რეფორმებია განხორციელებული, სასამართლო სისტემა კი სუსტია.

"კანონის უზენაესობის დამკვიდრებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის და ბევრი გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნის ლიდერი აცნობიერებს კიდეც, რამდენად პრიორიტეტულია ქვეყანაში ეფექტური, კვალიფიციური და საიმედო სამართლებრივი და სასამართლო სისტემის არსებობა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ანგარიშში მოცემული ანალიზი და რჩევები გარდამავალ ქვეყნებს წინსვლაში დაეხმარება", - აცხადებს ჩერილ გრეი.

24 საათი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩაიგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქეროსანში არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ასევე თბილისში მეტროს ძველთა რამოთველთ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ამბეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაზისუბნის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ჩლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: Off ობილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

გიჟები და დიზაინერები თავისუფლები არიან

B2

პრობლემა მეორე - ახალი ქართველობა

B4

R-კლასის „მერსედეს-ბენცი„ - უმაღლესი კლასის ტურიზმისათვის

B6

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

სოფიო თოდუა

როცა დიმიტრი შევარდნაძე 1920 წელს ამ გალერეას აარსებდა, ზუსტად იცოდა, რა როლსაც შეასრულებდა იგი ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. იქიდან მოყოლებული, ყველა მხატვარი - ძალიან ნიჭიერი თუ უბრალოდ ნიჭიერი, მოკრძალებული თუ ყოჩაღი, ცნობილი თუ ვიწრო წრეში აღიარებული - აქ გამოფენას პატივად მიიჩნევს. არ მოსწონთ განათება, აღიზიანებთ ინტერიერი, ნერვებს უშლით ექსტერიერი ...და ყველა ცდილობს, ერთხელ მაინც გამოიფინოს სწორედ ამ სივრცეში. დღეს აქაურობა დაკეტილია. მიზეზი: კაპიტალური რემონტი პლუს განსხვავებული ხედვა, ახალი მენეჯმენტი და მდედრობითი სქესის გენერალური დირექტორი. ქეთევან კორძახიას პირველი თხოვნა ასეთია: ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ ფამილარული "ცისფერი გალერეა" - ეს "სურათების ეროვნული გალერეაა". დანარჩენს, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, თხოვნა არ ეთქმის, სხვა დანარჩენი პროგრამა მინიმუმის პუნქტებად ჩამოწერილი საკითხებია. რაც შეეხება პროგრამა მაქსიმუმს, ალბათ ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მოსწონთ კატალოგი, მოსწონთ ჟურნალი, მოსწონთ ქვეყანა და... აქ გამართული გამოფენები მნიშვნელოვანი მომენტია ქართველი თუ უცხოელი მხატვრების ბიოგრაფიაში.

ქეთევან კორძახია

- ოფიციალურად ჩვენ ასე გვქვია: სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება "სურათების ეროვნული გალერეა". სხვათა შორის, "ცისფერ გალერეად" რომ მოგვიხსენიებენ, ეს ბოლოდროინდელი მოვლენაა. როგორც კი ფასადი სხვა ფერად გადაიღებება, უფრო სწორად, პირვანდელი სახე დაუბრუნდება (ეს კი აუცილებლად მოხდება), ისევ ძველებურად დაგვიძახებენ. ამას წინათ ერთმა უცხოელმა მკითხა, თქვენ რა, ჰომოსექსუალისტების გალერეა გაქვთო? მაგრამ ახლა სახელის გადარქმევა არ არის მთავარი. საკითხავია, რამდენად გამართულად იმუშავებს სურათების ეროვნული გალერეა და შეასრულებს თუ არა იმ ფუნქციას, რასაც მას სახელმწიფო სტატუსი ანიჭებს. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ერთადერთი საგამოფენო სივრცეა, რომელიც თავიდანვე გალერეად აშენდა.

- მაგრამ ბევრი მხატვარი მიიჩნევს, რომ აქ ძალიან დიდი სივრცეა და ნახატი იკარგება...

- ამაშია სწორედ საქმე. მგონი, აქამდე არც არავის უფიქრია იმაზე, რომ ეს სივრცე მობილური გახადა. ჩვენთან განათება ზემოდანაა. ეს კარგია იმ შემთხვევაში, როცა სინათლის ნაკლებობა შეიმჩნევა. მაგრამ ხშირად ექსპოზიცია, განსაკუთრებით ფერწერული ნამუშევრების წარმოდგენისას, სხვაგვარ განათებას მოითხოვს. თუ საჭირო გახდა, საგამოფენო სივრცის მთლიანი ან ნაწილობრივი ჩაბნელებაც უნდა შეგვეძლოს. დღეს მსგავსი რამ გამორიცხულია. ამჟამად გალერეა დახურულია - ჩვენ კაპიტალური რეკონსტრუქციისთვის ვემზადებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც კი ბოლო წლებში თბილისში მოხდა (არეულობას ვგულისხმობ), ყველაფერმა სურათების ეროვნულ გალერეაზეა გადაიარა.

- სამწუხაროდ, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აუცილებლობაზე ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს იდეა ქაღალდზე რჩება. აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ სურათების ეროვნული გალერეა ჯერაც საოცნებო მუზეუმის ფუნქციას შეითავსებს?

- მე ამ საკითხს უფრო ფრთხილად მივუდგები, მით უფრო, რომ დღეს უკვე არსებობს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე მუზეუმს აერთიანებს. ალბათ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების ნამუშევართა ყველაზე დიდი ფონდი გააჩნია - დაახლოებით 15 ათასი ექსპონატი. მათი შევსება გუშინ არ დაწყებულა. წლების განმავლობაში კულტურის სამინისტრო, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით, ყიდულობდა ნამუშევრებს და ისინი ჩვენს ფონდებში ინახებოდა. კომუნისტების დროს ეს იყო ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც ოფიციალურად ჰქონდა ნამუშევრის შეძენის უფლება. არ დაგავიწყდეთ, იმ დროს ქართველი მხატვრები ნახატებს ვერ ყიდდნენ და ერთადერთი ინსტანცია, სადაც მათ შეეძლოთ თავიანთი ნამუშევრების გაყიდვა, სწორედ ეროვნული გალერეა იყო. ამდენად, გასაგებია, რატომაც ხდებოდა და ხდება კიდეც თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის იდენტიფიკაცია ჩვენს გალერეასთან.

- თავის დროზე თქვენ გალერეა TMS-თან თანამშრომლობდით, თანაც საკმაოდ ნაყოფიერად, დღეს კი სურათების ეროვნულ გალერეას ხელმძღვანელობთ. რა პრივილეგიები აქვს სახელმწიფო სტრუქტურას კერძოსთან შედარებით?

- ჩემთვის, როგორც ხელოვნებათმცოდნისათვის, როგორც გალერისტისა თუ კულტურის მენეჯერისთვის, ამაზე დიდი თანამდებობა არ არსებობს. ეს იყო ყველაზე იდეალური წინადადება, რაც კი ოდესმე ვინმეს შეეძლო შემოეთავაზებინა და მეც, ბუნებრივია, დავთანხმდი. გამოგიტყდებით, ადრე ამაზე არც მიმიცნებია. სახელმწიფო სტატუსი ბევრ რამეზე გიხსნის ხელს, რაც საბოლოო ჯამში საქმის სრულად კეთების შესაძლებლობას გაძლევს. ეს ნიშნავს, რომ შენ შეგიძლია ურთიერთობა გქონდეს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საგამოფენო სივრცეებთან ჰორიზონტალურ დონეზე. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ მსგავსი წინადადება ასე მაცდური არ იქნებოდა, მაგრამ დღეს, როცა გზები იხსნება და მეტად საჭირო კონტაქტები მყარდება, ამ შანსის ხელიდან გაშვება დაუშვებელია. თუ სურათების ეროვნული გალერეა შეძლებს ქართული ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტის სწორად გატარებას, ეს მომგებიანი იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ კერძო გალერეებისთვისაც. უპირველესად მხედველობაში მაქვს ფასწარმოქმნის მექანიზმის შემუშავება, რაც ამ ეტაპზე ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მარტივად რომ ვთქვათ: ამა თუ იმ ნამუშევრის მხატვრული ღირებულება კარგად შემუშავებული კრიტერიუმებით უნდა დგინდებოდეს და არა იმის მიხედვით, ვიღაცას მოსწონს ეს მხატვარი თუ არა.

- როგორც ვიცი, დღეს სახელმწიფოს ფონდების შევსების შესაძლებლობა არა აქვს. რამდენად აისახება ეს თქვენს მუშაობაზე?

- სამწუხაროდ, ახალი ნამუშევრების შესაძენად სახსრები არ გაგვაჩნია, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს გრანტების სისტემა, რაც, თავის მხრივ, ბევრი სიახლის დანერგვის საშუალებას გვაძლევს. კულტურის სამინისტროში ცხადდება კონკურსები ამა თუ იმ გამოფენის მოწყობაზე, სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციაზე და, ბოლოს, არსებობს თავისუფალი პროექტების პროგრამებიც. მართალია, გამარჯვებული პროექტები საკონკურსო წესით შეირჩევა, მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ დაფინანსების წყარო საერთოდ არ არსებობს. უბრალოდ, იცვლება დამოკიდებულება და მიდგომა. სახვითი ხელოვნების ხელშეწყობაზე ადრეც ზრუნავდნენ, გამოფენებიც ეწყობოდა, აუქციონებიც ტარდებოდა, მხატვრებსაც აჯილდოებდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი გეგმაზომიერად არ ხორციელდებოდა, ასე ვთქვათ, სპონტანური ხასიათი ჰქონდა.

- თითქმის ყოველთვის ნაცნობი სურათის მომსწრენი ვართ: ხალხმრავალი ვერნისაჟები, მეორე დღეს კი დაცარიელებული დარბაზები და სადღაც კუთხეში უხერხულად შეყუჟული ავტორები. რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?

- ასეთი გამოფენები, პირობას ვდებ, ჩვენთან აღარ იქნება. იმის თქმა არ მინდა, რომ ყველა გამოფენა უხარისხო იყო, პირიქით, დაარსების დღიდან აქ უამრავი კარგი ექსპოზიცია მოეწყო. საკითხი ასე უნდა დავსვათ: რადგან სახელმწიფო სტატუსი გვაქვს, მხოლოდ საუკეთესო გამოფენები უნდა მოვაწყოთ. საგამოფენო სივრცე კი არ უნდა ვმართოთ, არამედ უნდა ვმართოთ ერთდროულად დამოკიდებულება მხატვარს, მყიდველსა და კანონმდებლობას შორის.

- ზემოთ გალერეის სტატუსი ახსენეთ. კონკრეტულად რას გულისხმობდით?

- ძალიან მინდა, გალერეას ოფიციალურად ჰქონდეს ნამუშევრების გაყიდვის უფლება, ანუ ფასწარმოქმნაზე სწორედ სახელმწიფომ იზრუნოს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ ეროვნულმა გალერეამ საჭირო სტატუსი მოიპოვოს. ის ფაქტი, რომ შენ სახელმწიფო სტრუქტურა ხარ, სტატუსზე ისედაც აისახება, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აქაც უპირველესია ამა თუ იმ გამოფენის ხარისხი. როდესაც აქ მუშაობა შემომთავაზეს, განვაცხადე, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებოდი, თუ ჩემს წინადადებებს გაითვალისწინებდნენ. მე კი გარწმუნებთ, არანაირ კომპრომისზე წასვლას არ ვაპირებ. რას ვგულისხმობ? მაგალითად, აღარ მოეწყობა გრაფიკის ან ავანგარდის სექციის გამოფენა, მაგრამ აუცილებლად იხილავთ ქართული გრაფიკის, ქართული ავანგარდის, ქართული სცენოგრაფიის და ასე შემდეგ რეტროსპექტივებს. მოეწყობა მხოლოდ ისეთი ექსპოზიციები, რამაც ამ გამოფენაში მონაწილე მხატვარს გარკვეული ხარისხი უნდა მიანიჭოს, რომ შემდგომში, როცა იგივე ავტორი კერძო გალერეაში გამოიფინება, უკვე ჰქონდეს მოპოვებული გარკვეული რენომე. ისინი, ვინც ჩვენს გამოფენებში მიიღებენ მონაწილეობას, ისეთი მხატვრები უნდა იყვნენ, რომელთა ნამუშევრები კატალოგში სერგო ქობულაძის გვერდით მოხვდება და უხერხულობას არ გამოიწვევს. ჩემს კერძო სიმპათიებს დროებით გვერდზე გადავდებ. საქმეს სჭირდება კონცეპტუალური გამოფენის მოწყობა? კი ბატონო, მოვაწყობთ ასეთ გამოფენას. არაფრისმთქმელი ექსპოზიციები, - მოვიტანე, ჩამოვკიდე, წავიღე, - ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ. ყველა გამოფენა გარკვეული ლოგიკით იქნება დატვირთული. ახლა კონკრეტულად ლაპარაკი მიჭირს, რადგან ჩვენთან რეორგანიზაცია მიმდინარეობს, მაგრამ გალერეა თავიდან ბოლომდე ერთი კონცეფციით უნდა დაიტვირთოს - იქნება ეს ფასადი, ინტერიერი, ექსპოზიცია, ლოგო, პლაკატი თუ ბუკლეტი.

- მაგრამ თბილისის გარდა, რეგიონებშიც გაქვთ ფილიალები. იქ რა მდგომარეობაა?

- ჩვენ გვეკუთვნის საგამოფენო დარბაზები ტყიბულში, თერჯოლასა და ზესტაფონში. გამოგიტყდებით, რეგიონებზე დიდ ფსონს ჩამოვდივარ. იქაც შესაძლებელია სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, მით უფრო, რომ რეგიონების ჩართვა მთლიან საგამოფენო სივრცეში მარტო ჩვენი სახელმწიფოსთვის არ არის პრიორიტეტული, საერთაშორისო ორგანიზაციებიცა და ფონდებიც იგივეს გვირჩევენ.

- და როგორ წარმოგიდგენიათ, მაგალითად, საგამოფენო საქმიანობა თერჯოლაში?

- ძალიან კარგადაც წარმომიდგენია. ლუვრი ლუვრია, მაგრამ საფრანგეთის პროვინციებში არაჩვეულებრივი საგამოფენო სივრცეებია - გნებავთ კერძო და გნებავთ სახელმწიფო. რატომ არ უნდა ჰქონდეს იმერელ კაცს იმის შესაძლებლობა, რომ ზესტაფონში ჩავიდეს და თანამედროვე ხელოვნებით დატკბეს? აუცილებლად ყველა თბილისს უნდა მოაწყდეს? თუ გვინდა, რომ პროვინციები გამოცოცხლდეს, მაშინ იქ კულტურულ ცხოვრებაზეც უნდა ვიზრუნოთ. სხვათა შორის, საქართველოს რეგიონებში არაჩვეულებრივი ექსპონატებია დაცული.

- რეორგანიზაციაში კადრების შემცირებაც იგულისხმება?

- ამ მტკივნეულ საკითხს ვერც ჩვენ გავექცევით. ამჟამად გალერეაში 97 თანამშრომელია. ამ რაოდენობის კადრი არ გვჭირდება, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რატომ გვყავს ამდენი თანამშრომელი. სამწუხაროდ, აღარ არსებობს "მხატვრის სახლი" და მისი ფუნქციები გარკვეულწილად გალერეამ შეითავსა. სანამ იმედი გვქონდა, რომ "მხატვრის სახლი" აშენდებოდა, შტატების ეს რაოდენობა გამართლებული იყო. ღმერთმა ქნას და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს მოვესწროთ, მაგრამ ამ ეტაპზე შტატების შემცირება გარდაუვალია. დაუშვებელია, კვალიფიციურ თანამშრომელს ხელფასად 12 და 25 ლარი ეძლეოდეს. კადრები მხოლოდ იმიტომ არ მცირდება, რომ გამოთავისუფლებული ადგილების ხარჯზე დარჩენილებს ხელფასი მოემატოთ (თუმცა, ესეც ანგარიშგასაწევი ფაქტორია). მთავარი ისაა, რომ სისტემა იცვლება. რაც შეეხება ახალ თანამშრომლებს, მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალის მოყვანას ვაპირებ, დანარჩენები დარჩებიან. სხვათა შორის, ისინი თავისი საქმის კარგი სპეციალისტები არიან და მათ გარეშე მუშაობა გამიჭირდება. სუბორდინაცია ასეთია: მე ვარ გენერალური დირექტორი, ასევე არიან დირექტორები, განყოფილების გამგეები, უფროსი მცნიერ-თანამშრომლები და დამლაგებლები. აი, ეს მოდელი მართლაც შესაცვლელია.

- როცა კერძო გალერეაში მუშაობდით, იქიდან ალბათ უკეთ ჩანდა, რა იყო შესაცვლელი ეროვნულ გალერეაში. დღეს თუ ითვალისწინებთ მაშინდელ შეხედულებებს?

- ბოლო ოთხი წელია, TMS-ში აღარ ვმუშაობ. იქ ძალიან ბევრი ვისწავლე, მაგრამ მივხვდი, გალერეაში ჯდომა და იმის ლოდინი, რომ ციური მანანა მოგევლინება, წყლის ნაყვაა. არსებობს ხელოვნების მენეჯერთა კავკასიის ქსელი, სადაც მე ვარ ვიზუალური პროგრამების კოორდინატორი. ამ ქსელში ჩემი პარტნიორები არიან ის ადამიანები, რომლებთანაც საერთო ენის გამონახვა არ მიჭირს. იქ შეძენილმა გამოცდილებამ დამანახა, რა არის დღეს ქართული ხელოვნების უმთავრესი პრობლემა - ჩვენ მსოფლიო კულტურულ პროცესში ნაკლებად ვართ ჩაბმული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქართველი მხატვრის ნამუშევრები საზღვარგარეთ კარგად იყიდება, ეს მხატვრები, სამწუხაროდ, საქართველოს კონტექსტში არ მოიზარებიან. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ, ჩვენი გალერისტების მცდელობის მიუხედავად (ისინიც ისევე თავდადებუ-

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ავტომობილი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

კონცერტები

გუდიაშვილის ქუჩა
მუსიკის დღესასწაული 2005
ანსამბლი "ურმული"; როკ-ჯგუფი "ევა"; ანსამბლი "გიორგობა" და სხვები.
დას: 13:00 სთ.

თეატრები

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
პრემიერა
ფრიდრიხ შილერი
"მარიამ სტიუარტი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

პანტომიმის თეატრი
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დავით შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
"სიკვდილი ვენეციაში"
რეჟისორი: ლუკინო ვისკონტი
ფასი: 2 ლარი
დას: 18:00 სთ.

რუსთაველი
"მადაგასკარი"
ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე
დას: 13:30; 15:15; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 19:00; 22:00 სთ.

ამირანი
"ბეტმენი"
დას: 12:00; 15:00; 17:30; 20:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 22:00 სთ.

ახმეტელი
"მადაგასკარი"
ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე
დას: 11:00; 19:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 14:30 სთ.

"მეტი, ვიდრე სიყვარული"
დას: 17:00 სთ.

გამოფენები

ვერნისაჟი
70-იანი წლების ქართველ ავანგარდისტთა ნამუშევართა ჯგუფური გამოფენა
"რეპრესირებული ხელოვნება 17 წლის შემდეგ.
კოლაჟი, ობიექტი"

ბაიას გალერეა
ვალიდა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

უნივერსი
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა "ცისარტყელა"

ჰობი
"თავისუფალი თემა"
კონკურსში გამარჯვებულ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა

ქარვასლა
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

TMS
ალექსი ბერდიშევის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

შარდენი
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

რეწვის ფესტივალი "არტ-გენი"
ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბაზე
20-26 ივნისი

21 ივნისი
ქალაქური ფოლკლორი
დას: 20:00 სთ.

ბაკურ ბურდული; "აუტსაიდერი"
დას: 22:00 სთ.

გიჟები და დიზაინერები თავისუფლები არიან

თუ ვიყოჩაღებთ, მომავალ წელს ლაგერფელდი და გალიანო გვეწვევიან

ია ვეკუა

ამბობენ, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ისეთ მდგომარეობაშია, იქაურობა სულებმაც კი მიატოვესო. მიუხედავად ამისა, მაინც ქვეყნის მთავარი საკონცერტო სივრცის წოდებას ინარჩუნებს და იძულებითა თუ ინერციით კვლავაც მასპინძლობს სხვადასხვა სინჯის მქონე ადგილობრივ თუ სტუმრის სტატუსის მქონე ხელოვანებს. ვიდრე ფილარმონია თბილისის ჯაზ-ფესტივალს გაუღებს კარს, ქართული მოდის ჯერ აუკიაფებელ ვარსკვლავებს უმასპინძლებს. 24 ივნისს დარბაზის ფოიეში დიზაინერთა კონკურსის - "მოდა XXI საუკუნეს" ფინალი გაიმართება.

კონკურსის ფინალამდე მისაყვანად კვლავ სამოდელო სააგენტო "ამსა" გაისარჯა, რომელსაც ქალთა კლუბი "მეტეხი" შეუამხანაგდა, ხოლო ფინანსური მხარდაჭერით "კოკა კოლა" უზრუნველყოფს (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ "ამსას" ხელმძღვანელი სოფო ჭყონიაა). ეს სამეული კონკურსს მეხუთედ ატარებს, ამიტომ მათ მიმართ პრეტენზიები და პასუხისმგებლობის ხარისხის მოთხოვნა მეტწილად გაზრდილია. სოფო ჭყონია გვპირდება, რომ წლევანდელი კონკურსი გაცილებით მაღალი დონის იქნება, თუმცა, კონკურსის დონეს ისევ და ისევ მასში მონაწილე დიზაინერების გაქანება განსაზღვრავს და არა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების გამართულობა.

წელს კონკურსის სტუმრები და ჟიური 20 ქართველი დიზაინერის 5-5 ნამუშევარს იხილავს და შეაფასებს. მათი სახელები სამამულო მოდის თავგადაკლული მიმდევრებისთვისაც არაფრისმთქმელია, რადგან ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს ახლა დგამენ, ერთგვარი ჭოჭინის ფუნქციას კი სწორედ ეს კონკურსი ითავსებს. თავიდან მასში მონაწილეობის სურვილი 65 დამწყებმა მოდელიერმა გამოხატა. მკაცრი (რა თქმა უნდა, კომპეტენტურიც) ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე ეტაპზე 35 გადავიდა, ხოლო ფინალში მონაწილეობის პატივი მხოლოდ 15-ით ნაკლებმა მოიპოვა.

მათ საკმაოდ მარტივი დავალება აქვთ - უნდა ჰქონდეთ იდეა და მას ჯეროვნად შეასხან ხორცი. იდეა კი ნებისმიერი დასაშვებია: კლასიკური, რეტრო, ავანგარდული, სპორტული და წარმოუდგენლად არანორმალური. მასალა, ფერი, ნამუშევრის შესრულებისა და იდეის გამოხატვის გზა ასევე შეუზღუდავია. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ქართველი დიზაინერების დევიზია: "გიჟი თავისუფალია!" ყველას თეთრი ბილეთი აქვს დარიგებული და თავის ნებაზე არიან მიშვებული...

თუმცა, მოულოდნელად, სცენაზე მკაცრი ჟიურის (რომელიც კომპეტენტურიცაა) აჩრდილი გამოდის და კონკურსანტებს წესრიგისა და მობილიზაციისკენ მოუწოდებს. ამ მოწოდებას დიზაინერები აუცილებლად აჰყვებიან, რადგან გამარჯვებულს არცთუ სახუმარო პრიზები და სიურპრიზები ელის.

პირველ ადგილზე გასული დიზაინერი ერთი თვის განმავლობაში ლონდონის სენტ-მარტინის კოლეჯში საკუთარ ხელობას დახვეწს. კონკურსის სხვა საუკეთესო ოთხეული კი მომავალი წლის მაისში მოსკოვში, კონკურს "რუსკი სილუეტზე" გაემგზავრება (ეს უკანასკნელი თბილისის კონკურსის პარტნიორია). ამის პრეცედენტები წინა კონკურსის გამარჯვებულების შემთხვევაში უკვე მოხდა: ხატია ჩომახაშვილი დღემდე სტამბულში ოსტატდება, გიორგი ამირევჯიბი და ნინო ჭინჭარაული "რუსკი სილუეტს" სტუმრობდნენ, ხოლო ნინო ჩუბინიშვილმა პარიზი მოინახულა.

რაც შეეხება ჟიურის, იგი მეტნაკლებად წარმომადგენლობითი იქნება. მისი ექვსწევრიანი შემადგენლობა სოფო ჭყონიამ ამჯერად არ გაგვიმხილა, თუმცა, ის კი გვითხრა, რომ ჟიურის თავმჯდომარე "მეტეხის" პრეზიდენტი მარინა გუნია იქნება. გარდა ამისა, პარიზის დამწყები დიზაინერების კლუბიდან "ფეშენ გრუპ" ჩამოვა ფრანგი მოდელიერი კრისტოფ გულარმი. იგი ჟიურის წევრობის გარდა "მოდა XXI საუკუნეს" კონკურსგარეშე მონაწილეც იქნება ანუ საკუთარ კოლექციას წარმოადგენს. კონკურსის წინა დღეს მოდელებს შორის ჩატარდება კასტინგი, რომელიც გაარკვევს, ვის ერგება ფრანგი კუტურიეს კოსტიუმების პოდიუმზე დემონსტრირების პატივი.

ჩვენების ორგანიზატორი - სოფო ჭყონია.

ნანო ბასილაია. ფოტო

სხვათა შორის, კრისტოფ გულარმის სტუმრობა სხვა რამეშიც გამოგვადგება. ეს სწორედ ის ადამიანია, რომელმაც ევროპაში ჩვენი მოდის ამბავი უნდა წაიღოს და თუ ყველაფრით კმაყოფილი დარჩება, მომავალ წელს უფრო საპატიო სტუმრებს ჩამოგვიყვანს. გულარმი კარლ ლაგერფელდთან და პოლ გალიანოსთან მეგობრობაში ყოფილა შემჩნეული და ერთმანეთს თურმე შენობითაც მიმართავენ, ამიტომ გულარმის წელს კარგად უნდა დავხვდეთ, რომ მომავალში მსოფლიო მოდის გრანდები საკუთარი თვალით ვიხილოთ.

ასევე ჟიურიში გაწევრიანდება წარსულში "მის უკრაინას" ტიტულის მფლობელი, რომელიც ამჟამად საკუთარ სამოდელო სააგენტო "კარინს" ხელმძღვანელობს. საერთოდ, უკრაინელი მოდელების თემა ამ კონკურსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ვინაიდან "კარინი" კონკურსის მეგობარი სააგენტოა, საკუთარი მოდელები თბილისში ხალისით ჩამოჰყავს. სოფო ჭყონიამ ისიც აღნიშნა, რომ უკრაინელ (ანუ, ზოგადად, არაქართველ) მოდელებთან მუშაობა იმითაცაა სასიამოვნო, რომ მეტი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. ჭყონია იმას გულისხმობდა, რომ ჩვენების დღეს მორცხვად არ ჩაილაპარაკებენ, გუშინ ხაჭაპური მივირთვი და შარვალში ვეღარ ვეტევი ან ზედმეტად გულამოჭრილ კაბას ნუ ჩამაცმევ, ჩვენებაზე მთელი ჩემი სამეზობლო მოდისო.

საკონკურსოდ ფილარმონიის ფოიეს კოხტა დიზაინით გაალამაზებენ ანუ მის უნიათო კედლებს ფერ-უმარილის სქელი ფენით შენიღბავენ. ამ დარბაზზე არჩევანი იმ მარტივი მიზეზით შეაჩერეს, რომ სხვა შესაფერისი სივრცე თბილისში არ მოიძებნება, ხოლო გაუთავებელი წვიმების გამო ღია ცის ქვეშ ამ ღონისძიების ჩატარება მხოლოდ სეზონის გიჟებს თუ მოაფიქრდებოდათ. იმისთვის, რომ კონკურსს მხოლოდ შეჯიბრების ფორმა არ ჰქონდეს და სანახაობითაც გამოირჩეოდეს, ორგანიზატორებმა ფრანგი ქორეოგრაფი კევინ ოუქსი მოიწვიეს. სწორედ იგი მოხაზავს პოდიუმზე მოდელების სამოძრაო მარშრუტს, ზოგს კი სიარულის დახვეწაშიც დაეხმარება.

ფესტივალი, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ

ლელა მარგიანი

სამი დღის მანძილზე, 17-19 ივნისს, ხობის რაიონი მასპინძლობდა მეგრული სიმღერის მეორე საერთაშორისო ფესტივალს "სიმღერა სამეგრელოზე". ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ისე 14 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები. ფესტივალის გამართვას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ გამოეხმაურა, არამედ ხობის სტადიონზე გამართულ დასკვნით კონცერტს დაესწრო კიდეც. ქართული სიმღერის სამდღიანი ზეიმი ხობში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

ივნისის სამი მზიანი დღის განმავლობაში ხობის რაიონი ქართული ხალხური სიმღერით ტკბებოდა. ქალაქ ხობის ცენტრში, მთავარ მოედანზე, კულტურის სახლის წინ, სამი დღის მანძილზე ისმოდა არა მხოლოდ თანამედროვე მომღერლების მიერ შესრულებული მეგრული სიმღერები, არამედ ჟღერდა წარსულში ცნობილი ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატების, სახალხო მომღერლების მიერ შესრულებული მეგრული ჰანგები. ფესტივალის ორგანიზატორების მიზანიც სწორედ ეს იყო - შთამომავლობამ არ დავიწყოს ხალხური სიმღერების შემსრულებელთა, ლოტბართა, ჩამწერ-შემგროვებელთა, ქართული მუსიკის მოამაგეთა სახელები.

ფესტივალის ჩატარების იდეის ავტორისა და ორგანიზატორის, ხობის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ინფორმაციით, 2003 წელს ჩატარებულ პირველ ფესტივალთან შედარებით, გაფართოვდა მეორე ფესტივალის მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი და მონაწილეთა რაოდენობა.

"წელს უკვე ძალიან დიდი ინტერესია ფესტივალის მიმართ. იმდენი კოლექტივი იღებს მონაწილეობას, რომ ხობში მათ ვერ დავატევდით. ამიტომ წინასწარი კონცერტები ჩატარდა ზუგდიდში, ფოთსა და სენაკში. ფესტივალის ფარგლებში მომზადდება ფილმი. გამოიცა ფესტივალისადმი მიძღვნილი გაზეთები და ბროშურა. ხობში საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში უნიკალურ მოვლენას - "მეგრული სიმღერის" მუზეუმს. ათასი კვადრატული მეტრის ფართობის მუზეუმში ახალგაზრდობას საშუალება ექნება არა მხოლოდ გაეცნოს, არამედ დაინტერესების შემთხვევაში, შეისწავლოს ქართული ხალხური სიმღერის მარგალიტი - მეგრული სიმღერა," - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფესტივალის ორგანიზატორმა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "ხობის" პრეზიდენტმა გოდერძი ბუკიამ.

ფესტივალის ფარგლებში, მისივე პატრონაჟით, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში, რომელსაც ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს, გამოიცა მონოგრაფიების სამტომეული - "ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები". მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნები ეძღვნება ცნობილ ლოტბარებსა და შემსრულებლებს ძუკუ ლოლუას, კიწი გეგეჭკორს, პლატონ ფანცულაიას, კირილე პაჭკორიას, ელენე ჭუბაბრიას, ნოკო ხურციას და სხვებს. დაისტამბა სანოტო კრებულის ორი ტომი, რომლებშიც შესულია 300 მეგრული სიმღერა ქართულ-ლათინური ტრანსლიტერაციით.

ასევე დამზადდა მეგრული სიმღერების უძველესი ფონოჩანაწერები "ჰარირა" და "შევისწავლოთ ქართული ხალხური მუსიკა", კომპაქტდისკებით, გამოიცა ოთარ თაქთაქიშვილის ცნობილი სიუიტის "მეგრული სიმღერის" კომპაქტ-დისკი ზურაბ სოტკილავას, ვოკალურ ანსამბლ "რუსთავისა" და მოსკოვის კამერული ორკესტრის "ვრემენა გოდას" შესრულებით.

ფესტივალის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარემ ანზორ ერქომაიშვილმა აღნიშნა, რომ წლევანდელი ფესტივალისთვის გამოიცა ხუთი სანოტო კრებული, სასწავლო სიმღერების კრებული, რომელიც შედგება ოთხი კომპაქტ-დისკისგან, რომლებზეც ჩაწერილია სიმღერების ცალ-ცალი ხმები, გამოიცა სანოტო რვეულებიც. ასე რომ, დაინტერესებულ პირს, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში, საშუალება ექნება შეისწავლოს ნებისმიერი მეგრული სიმღერა. **"ფესტივალის მიზანია აღადგინოს ძველი, მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერები, ძველი ლოტბარებისა და მომღერლების სახელები. თუ ჩვენ მათ ხმას ხშირად გავაჟღერებთ, ამით მათ შემოქმედებას სიცოცხლეს გავუხანგრძლივებთ. მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოსები აღფრთოვანებული არიან ქართული ხალხური სიმღერით. ამან "აიძულა" იუნესკო, ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედევრად ეღიარებინა. ამიტომ ვისურვებდი, რომ, სამეგრელოს მსგავსად, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდეს ასეთი ფესტივალები. დარწმუნებული ვარ, ასეთი ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს გამთლიანებას",** - განაცხადა ბატონმა ანზორმა.

ფესტივალის საპატიო სტუმარი - ზურაბ სოტკილავა.

ფესტივალს, რომელიც მეგრული სიმღერის ნამდვილ ზეიმად იქცა, ხუთასამდე სტუმარი ესწრებოდა როგორც საქართველოს ყველა კუთხიდან, ისე ახლო თუ შორეული უცხოეთიდან.

მაგრამ ფესტივალის ორგანიზატორები და მასმედიის წარმომადგენლები განსაკუთრებული ინტერესით ველოდით მოსკოვიდან სპეცრეისით თვითმფრინავის ჩამოფრენას, რომელსაც სენაკის აეროპორტში უნდა ჩამოეყვანა ცნობილი სახეები: მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები ბატონი ზურაბ სოტკილავა და ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილი, თინეიჯერების კერპი ირაკლი ფირცხალავა და მოსკოვის კამერული ორკესტრი "ვრემენა გოდა" ვლადისლავ ბულახოვის ხელმძღვანელობით, რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერლები ნანა ბელქანია, თეიმურაზ და ელზა ბოჯგუები, ანსამბლი "სლავიანე" და ფესტივალის კოლორიტი - ბოშათა ანსამბლი "რომენი", რომელთაც, ფესტივალის სხვა მონაწილეთა მსგავსად, მეგრული სიმღერა შეასრულეს ბოშური ცეცხლოვანებით.

ფესტივალის ჩატარებით და მასში მონაწილეობით კმაყოფილი იყო "ნომერ პირველი მეგრელი" (როგორც მან საკუთარ თავს უწოდა) ბატონი ზურაბ სოტკილავა. მან აღნიშნა, რომ იგი პირველად ჩამოვიდა ამ ფესტივალზე, უხარია, რომ ამდენი ხალხია, რომ ძალიან კმაყოფილია სამეგრელოში სტუმრობით, მით უფრო, რომ მშობლიურ კუთხეში იმღერა მაყვალა ქასრაშვილთან ერთად.

ქალბატონ მაყვალა ქასრაშვილის თქმით, "ამ ფესტივალს აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ქართველმა ახალგაზრდებმა არ უნდა დაივიწყონ ქართული ფოლკლორი, კულტურა, ის უდიდესი სიმდიდრე, რაც ჩვენმა წინაპრებმა დღემდე მოიტანეს."

ხობის ფესტივალში მონაწილეობით კმაყოფილი იყო თითოეული მომღერალი და ფოლკლორული კოლექტივი.

ონის რაიონის ფოლკლორულ ანსამბლ "რაჭას" ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა ჯაფარიძე: "ჩვენ მეორედ ვმონაწილეობთ ხობის საერთაშორისო ფესტივალში. ის ჩვენი მაცოცხლებელი ელექსირია, რომელმაც აღმოგვაჩენინა ბევრი მივიწყებული ფოლკლორული მასალა. ჩვენი ანსამბლი 30 წლისაა, ბევრ ფესტივალში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთი მასშტაბის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ერთი კუთხის ფოლკლორს ეძღვნება, სხვა არ ვიცით. რაჭიდან ჩამოვიტანეთ რაჭული საფერხულო ცეკვა-სიმღერა "რაეო", "რაშოუდა", "ტაში, ბიჭო, გიორგუნა", და, რა თქმა უნდა, მომზადებული გვაქვს სავალდებულო - მეგრული სიმღერა "კუჩხი ბედინერი". აქაურმა მსმენელმა ძალიან კარგად მიიღო ჩვენი მეგრული სიმღერა, რომელიც, ჩვენი რაჭული ხასიათიდან გამომდინარე, არ იყო ადვილი შესასრულებელი", - გვითხრა ბატონმა შალვამ.

ბოშათა ანსამბლის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დიდი ხანია, იცნობს ქართულ სიმღერას. "ჩვენ ხშირად ვართ ხოლმე სტუმრად ზურაბ წერეთელთან, როდესაც მას საპატიო სტუმრები ჰყავს. სულ ცოტა ხნის წინათ სანდრასთვის, თქვენი პრეზიდენტის მეუღლისთვისაც ვიმღერეთ წერეთლის "სამხატვრო გალერეაში". სწორედ მაშინ დაიბადა იდეა, შეგვესწავლა მეგრული სიმღერა და გვემღერა ხობის ფესტივალზე. მართლაც, შევისწავლეთ ძალიან კარგი მეგრული სიმღერა, რომელიც თქვენმა ნანა ბელქანიამ დაწერა ჩვენთვის. ვფიქრობ, ეს იყო ფესტივალის ფურორი - ბოშების მიერ შესრულებული მეგრული სიმღერა".

ხალხური, საოპერო და პოპ-სიმღერების შემდეგ სამდღიანი ფესტივალი დასრულდა ჰიმნით, რომელიც ალექსანდრე ბასილაიამ სწორედ ამ ფესტივალისთვის დაწერა და რომელიც ფესტივალის დასასრულს, გალა-კონცერტზე შესრულდა.

ფესტივალის ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ მესამე ფესტივალი, რომელიც 2007 წელს ჩატარდება, კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. თუმცა, ხობელები აღნიშნავდნენ, რომ ეს დღეები მათ დიდხანს ემახსოვრებათ.

სტუმრად მრეწავებთან

ანუ მასტერკლასები ქართულად

ვერა ნეფარიძე

კუს ტბაზე საქართველოს ნამდვილი პატარა, ცოცხალი მოდელი შეიქმნა. მუსიკა, ცოცხალი ურთიერთობები იმ ადამიანებთან, ვინც ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამოიტანა ყველაფერი ის, რასაც ტრადიციულად ჩვენში რეწვის ნიმუშებს უწოდებენ, რითაც ცხოვრობს გლეხი რომელიმე კუთხის შორეულ სოფელში, რაიონში ან ოსტატი დედაქალაქში. რეწვა წლევანდელი "არტ-გენის" მთავარი თემაა. ფესტივალი ეთნოგრაფიულში გუშინ გაიხსნა და ერთი კვირის განმავლობაში დილიდან გვიან საღამომდე მისი კარი ღია იქნება ნებისმიერი მსურველისთვის.

"წლევანდელი ფესტივალის ძირითადი მიზანია იმ ხალხის წარმოჩენა, რომლებიც სამაგალითონი არიან თანასოფლელებისა თუ თანაქალაქელებისთვის, რადგან ისინი საკუთარი ხელითა და დაუღალავი შრომით გვინარჩუნებენ სოფელს, რომელიც ჩვენი ტრადიციების საფუძველი და საცავია. ერთი კვირის განმავლობაში ჩვენ შეგიქმნით ყველა პირობას, რათა მთელი დღე მშვიდად დაისვენოთ თქვენს ოჯახებთან ერთად", - როგორც ორგანიზატორების (არასამთავრობო ორგანიზაცია "თემის გადარჩენისა და განვითარების კავშირი") ამ სიტყვებიდანაც ჩანს, ფესტივალს ერთდროულად რამდენიმე მიზანი აქვს. რამდენად მოახერხებენ ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული რეწვის ოსტატების წარმოჩენას, "არტ-გენის" აუდიტორიაზეა (მის მრავალრიცხოვნებასა და ინტერესზე) დამოკიდებული; ხოლო ფესტივალის სტუმრებს რომ გარანტირებული აქვთ დასვენება მთელი დღის განმავლობაში, ეს ეთნოგრაფიული მუზეუმის სტუმრებმა გუშინვე გამოსცადეს.

ქალაქიდან გაუსვლელად, სუფთა ჰაერზე, ჯანსაღ გარემოში ივნისის ცხელი დღეების გასატარებლად თბილისში უკეთეს ადგილს ვერც წარმოიდგენ. მუზეუმში შესასვლელად ლარნახევარია საჭირო და მთელი დღის განმავლობაში "ეთნოგრაფიული" (როგორც ხშირად შემოკლებით ვუწოდებთ ეთნოგრაფიულ მუზეუმს) თქვენს განკარგულებაშია; დაღლას ვერც კი იგრძნობ, ისე შემოგელევა საათები სხვადასხვა ეზოში გაბნეული საგამოფენო კუთხის დათვალიერებისას და მათ ავტორებთან საუბრისას. მაგრამ არც განმარტოებაა პრობლემა, ორგანიზატორებმა ამაზეც იზრუნეს და ჰამაკებით გაუმასპინძლდნენ დამთვალიერებლებს.

მე თუ მკითხავთ, "არტ-გენის" მთელი ხიბლი ცოცხალ ურთიერთობებშია. ასე იყო შარშანაც და ასეა წელსაც. განსხვავება ის არის, რომ შარშან ფესტივალის ძირითადი მონაწილეები მუსიკოს-შემსრულებლები იყვნენ; არა პროფესიონალი მუსიკოსები, არამედ ისინი, ვინც სოფლებში ოჯახური სიმღერის ტრადიციას აგრძელებენ; წელს კი აქცენტი რეწვაზე გაკეთდა. რეწვა ეს მხოლოდ ცალკეული დარგების ერთობლიობა არაა; ესაა ქართველის ცხოვრების წესი და როდესაც ფესტივალის ცალკეულ სტუმრებს გაესაუბრებით, ამ ყველაფერში თავად დარწმუნდებით.

72 წლის მარო ბებო ახალციხის რაიონის სოფელი მუსმადან ჩამოვიდა. რაც თავი ახსოვს, ქსოვს. "მეექვსე კლასიდან ფარდაგების, ხალიჩების ქსოვა დავიწყე, წინდების ქსოვას აღარ ვკადრულობდი, რადგან ის მეორე კლასში ვისწავლე", - მარო ბებომ 90-იან წლებში 17 ქალს ასწავლა ხალიჩის ქსოვა; შვილიშვილის იმედი აქვს, რომ გააგრძელებს მის საქმეს. მზადაა, ფესტივალის სტუმრებსაც აუხსნას მარტივი: საამისოდ მას ადგილზე აქვს მასალა: ძაფები, სართავი (დაზგაზე არ მუშაობს) და ამბობს, რომ თუკი ექნებათ სურვილი, ფარდაგსა და ხალიჩაზე ორნამენტის ამოყვანასაც ასწავლის.

გიორგი გაბაშვილი აჭარლებს სტუმრობს.

ირაკლი ბასარია. ფოტო

ფესტივალზე მარო ბებოს გარდა სხვა მქსოველებიც არიან; საკუთარი ნაწარმი გამოფენილი აქვს საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილებასაც. ქსოვის პროცესს კი თავიდან ბოლომდე შეიძლება დაესწროთ მცხეთის 12 მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლურ გიმნაზიასთან არსებული ხალხური რეწვის სახელოსნოსთვის გამოყოფილ კუთხეში. ეს სახელოსნო ორი წელია არსებობს მცხეთაში მცხოვრები გერმანელების ოჯახში (ოჯახის დიასახლისი პაულა სახელოსნოს ერთ-ერთი წევრია); პროგრამა სამწლიანია (გერმანელი კერძო პირი აფინანსებს) და მისი მიზანია როგორც სწავლება, ისე გამოფენებში მონაწილეობა. "მანამდეც ვქსოვდით ცოტას, მაგრამ ბევრი ვისწავლეთ ნანული აზიკურისგან; ქსოვის ზოგიერთი სახეობა აქამდე არც კი ვიცოდი", - მეუბნება სახელოსნოს ერთ-ერთი ოსტატი, რომლის დაკვირვებითაც, ხელსაქმისადმი დაინტერესება ახალგაზრდებში ბოლო დროს გაზრდილია და ამას ერთგვარ მოდადაც მიიჩნევს.

ხელსაქმე, მოგეხსენებათ, მრავალგვარია და ფესტივალიც მეტნაკლებად ასახავს რეალურ სურათს. "არტ-გენის" მონაწილე ქალთა ოსტატობა მხოლოდ ქსოვით არ შემოიფარგლება. ოც წელიწადზე მეტია, დუშეთიდან მოწვეული ციალა დავითაშვილი-ბუჩუკური მამისგან ნასწავლ ხელობას - წნული ჭურჭლის დამზადებას აგრძელებს და, როგორც თავად ამბობს, ცდილობს, ეს ხელობა ხელოვნებამდე აიყვანოს. "მე თვითონ ხალხური სიმღერის სპეციალისტი ვარ, ეს კი უბრალოდ, გატაცებაა. ბევრს მოსწონს, ინტერესდება, მაგრამ არავის აღარ უნდა ხელსაქმე. თითქოს ნებისყოფა არ ჰყოფნით. ჩემი შვილიც აკეთებს, თუ მოინდომა. ვცდილობ, შვილიშვილებსაც გადავცე, აინტერესებთ, მაგრამ....", - მეუბნება ქალბატონი ციალა. ჩხოროწყუდან ჩამოსული დემურ ჯალაღონია 22 წელიწადია ხალხურ ინსტრუმენტებს აკეთებს. "დღემდე სულ 3 ათასი ცალი მაქვს გაკეთებული", - მეუბნება და ისიც აღნიშნავს, ბოლო დროს იმდენ შეკვეთას იღებს (მათ შორის, უცხოეთიდანაც), რომ თავისუფალი დრო აღარ რჩება. ბატონ დემურს თვალსაჩინოებისთვის წამოღებული აქვს საკრავები და დაინტერესებულებს იმასაც აჩვენებს, რა განსხვავებაა კლასიკურ და ხალხურ ფანდურებსა და ჩონგურებს შორის. მეგრული ოდის მეზობელ ეზოში სვანეთიდან მოწვეული ოსტატების ხის ნაკეთობებია გამოფენილი; მოპირდაპირე მხარეს საჩხერელებს ხის ნაკეთობები, ძირითადად ყოფითი ნივთები, ფარდაგები, მხატვრული ნაქარგობები აქვთ ჩამოტანილი...

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია; ეზოში ჩოხოსნებიც დადიან და გამოფენებს მუსიკალურ ფონს უქმნიან. ერთი კუთხე ქართულ სამზარეულოსაც დაუთმეს: მწვადი, შოთი პური, გუდის ყველი... საღამოს რვა საათიდან ფესტივალის მთავარი არენა "ეთნოგრაფიულის" სცენა ხდება. აქ 3-4 საათის განმავლობაში ჟღერს მუსიკა. ორი დღე (გუშინ და დღეს) ქალაქური ფოლკლორს ეთმობა. გუშინ კონცერტები გამართეს: ლეჟავების ოჯახურმა ჯგუფმა "დეციშმა", "პაპარაციმ", მედუდუკე ბავშვთა ანსამბლმა.

ფესტივალი ოფიციალურად არ გახსნილა; მოწვეული იყო თითქმის ყველა, "უმაღლესი ეშელონებიდან". თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, "არტ-გენის" პირველი დღე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა დაიფასა: "იდეის ჩასახვის დღიდან გულშემატკივარი ვარ. ჩემი აზრით, შარშანდელი ფესტივალი ძალიან წარმატებული იყო. ვგულისხმობ იმას, რომ ბევრი ხალხი მოვიდა. საინტერესოა, რომ წელს ფესტივალმა აქცენტი რეწვაზე გააკეთა. ბევრი საინტერესო ოსტატი ვნახე. მნიშვნელოვანია, რომ გაჩნდა საშუალება, იმას, რასაც ხალხი ქმნის, ფართო საზოგადოება გაეცნოს", - გვითხრა გიორგი გაბაშვილმა.

ჯაზ-ფესტივალი

რენდი ბრეკერი და "შინ"

საყვირი იბერო-კავკასიურ სტილში

"ისთერნ-პრომოუშენმა" ჯაზ-ფესტივალის მორიგი ტანდემიც დააწყვილა: უცხოეთში მოღვაწე ქართული ჯგუფი "შინ" და ამერიკელი მესაყვირე, კომპოზიტორი რენდი ბრეკერი. "შინის" ძალიან კარგი ერთობლივი პროექტი ანსამბლ "გეორგიკასთან" უკვე მოვისმინეთ თბილისში; იმედია, ამერიკელი მესაყვირისთვის საინტერესო იქნება იბერიულ-კავკასიური მუსიკალური მასალა, რომელიც ქართველმა მუსიკოსებმა პროექტზე სამუშაოდ გაუგზავნეს რენდი ბრეკერს.

რენდი ბრეკერი

რენდი ბრეკერს დიდი მუსიკალური გამოცდილების მქონე ჯაზმენად, ვირტუოზ მესაყვირედ და კომპოზიტორად მიიჩნევენ მუსიკალურ სამყაროში. ამ ამერიკელი მესაყვირის ინსტრუმენტის ხმა ყლერს ისეთი მუსიკოსების კონცერტებსა და ჩანაწერებზე, როგორებიც არიან: არტ ბლეიკი, ჯეიმს ტეილორი, ჩაკა ხანი, ჯორჯ ბენსონი, დევიდ სენბორნი, ჯაკო პასტორიუსი, ფრენკ ზაპა...

ბრეკერმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჯგუფების: Blood, Sweat & Tears-სა და "ილევენ ჰაუს ენდ დრიმზ" კარიერაში. უკანასკნელი რენდიმ ჩამოაყალიბა საკუთარ ძმასთან, მაიკლ ბრეკერთან და დრამერ ბილი კობემთან ერთად.

1973 წელს რენდი და მისი ძმა მაიკლი, რომელიც საქსოფონზე უკრავდა, ყველაზე აქტიურ მუსიკოსთა რიგებში აღმოჩნდნენ. მათზე დიდი მოთხოვნა იყო ნიუ იორკის ხმის ჩამწერ სტუდიებში. ალბათ ამიტომაც 1975 წელს ძმების მიერ ჩამოყალიბებულ ჯგუფს - "ბრეკერ ბრაზერსს" თავიდანვე უდიდესი გამოხმაურება ხვდა. ჯგუფმა სწრაფად მოიპოვა სახელი და გავლენა. "ბრეკერ ბრაზერსის" პირველი ალბომი ოთხჯერ იყო წარდგენილი "გრემიზე". ბრეკერებმა სულ ექვსი ალბომი გამოუშვეს, 1977-1981 წლებში ჯგუფის ნამუშევრებმა ყველაზე ავტორიტეტული მუსიკალური ჯილდოები დაიმსახურეს. 70-იანებში რენდი ბრეკერი აქტიურად თანამშრომლობდა "მინგუს დინასტისთან" და ბიგ-ბენდებთან.

1982 წელი ბრეკერის კარიერაში ხშირი მოგზაურობითა და ჯაკო პასტორიუსთან თანამშრომლობით აღინიშნა. ამავე წელს რენდი ბრეკერმა არაერთი სოლო პროექტითა და საგასტროლო მოღვაწეობით გამოიჩინა თავი.

რენდი ბრეკერი

1992 წელს ათწლიანი შესვენების შემდეგ ძმებმა ბრეკერებმა ახალ პროექტებზე Rreturn of the Brecker Brothers და Out of the Loop-ზე იმუშავეს და ორი "გრემი" დაიმსახურეს. ამას მოჰყვა საგასტროლო ტურნეები აშშ-სა და ევროპაში.

90-იანებში იწყება რენდი ბრეკერის გატაცება ბრაზილიური მუსიკით. შემდეგი "გრემი" ბრეკერმა 1998 წელს გამოსული ჩანაწერისთვის Into the Sun მიიღო ნომინაციაში - "საუკეთესო თანამედროვე ჯაზის შემსრულებელი".

ბოლო პერიოდის განმავლობაში რენდი ბრეკერმა სტუდიაში იმუშავა და კონცერტები გამართა. ამ ბენდებს შორის იყვნენ: "თრამფეთ სამით ბენდ" (შემდეგი მუსიკოსების შემადგენლობით: ჯონი ფადისი, ლიუ სოლაფი და ტერელ სტაფორდი); "ჯაზ თაიმზ სუპერ ბენდი" (ჯოი დეფრანჩესკო - ორგანი, დენის ჩეშბერსი - დასარტყამი ინსტრუმენტები, ბობი ბერგი - ტენორ საქსოფონი), ასევე "ბრეკერ ბრაზერს აკუსტიკ ბენდი". ამჟამად რენდის ხელშეკრულება ESC სტუდიასთან აქვს გაფორმებული. ამ ლეიბლით გამოცემულ პირველ კომპაქტს "ჰენგინ ინ დე სითი" ჰქვია. ალბომმა, რომელიც 2001 წელს გავიდა მსოფლიო ქსელში, კომერციული წარმატება მოიპოვა და კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

2003 წელს რენდი ბრეკერმა თავის ჯგუფთან ერთად გამოუშვა ახალი ჩანაწერი "34 ენ ლექს", სადაც გაიჟღერა დევიდ სენბორნმა, ფრედ უესლიმ, რონი კუბერმა. კომპაქტმა მოიპოვა "გრემი" ნომინაციაში - საუკეთესო თანამედროვე ჯაზის ალბომი.

დღეს რენდი ბრეკერი ბევრს მოგზაურობს. როგორც ხშირად ამბობენ მასზე, იგი სრულყოფილების მუდმივ ძიებაშია; შესაბამისად ავითარებს და მრავალფეროვანს ხდის საყვირზე შესრულების ტექნიკასა და მანერას.

"შინ"

ჯგუფის შემადგენლობა უცვლელია: ზაზა მიმინოშვილი (გიტარა), ზურა გაგნიძე (ბას-გიტარა, ვოკალი), მამუკა ღაღანიძე (ვოკალი, პერკუსია), რეი კაჩინსკი (დასარტყამი ინსტრუმენტები). "შინ" ამჟამადაც არაა შინ და მოღვაწეობას გერმანიაში აგრძელებს. ჯგუფმა წელს რიგით მეექვსე ალბომი - ManyTimer ჩაწერა (სტუდია: BBB Music). "კოკა კოლას ჯაზ-ფესტივალზე" მუსიკოსები 70-წუთიან მუსიკალურ პროგრამას წარმოადგენენ.

ერთი დღე ვენეციაში

ვენეციის ბიენალეს მეორე სახელი ასეთი აქვს - თანამედროვე ხელოვნების გრანდიოზული ზეიმი. და მართლაც ივნისიდან დაწყებული შემოდგომის ბოლომდე ეს ძველისძველი ქალაქი, ძველისძველი არქიტექტურითა და ტრადიციებით, ულტრათანამედროვეობის იმიჯს ირგებს ხოლმე და ახალი იდეების დამფასებლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ეპატიჟება.

წელს ასე გაგრძელდება 6 ნოემბრამდე. ვენეციაში ხელოვანები 71 ქვეყანას ჰყავს ოფიციალურ წარმომადგენლად გაგზავნილი. მათი ექსპონატებისა და ინსტალაციების განსათავსებლად კი დარბაზები მთელ ქალაქშია დაქირავებული. პავილიონები მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნებითაა სავსე. და, თითქოს, ესეც არ კმაროდეს, ბიენალეს ორგანიზატორებს ცალკე დარბაზში აქვთ გამოფენილი ის რჩეული ექსპონატები, რომლებიც თვითონ მოეწონათ.

დიდები, პატარები, უმნიშვნელოები, ნოვატორულები, არაფრისმთქმელები, გაპრანჭულები, მაგრები - გამოფენები ათასგვარ კატეგორიად იყოფა. მათი აღქმა და მათი ავ-კარგის დადგენა შორიდან, მხოლოდ სხვების მიერ გაკეთებული შეფასებებით რთულია. ამიტომაც გვეჩვენა ბლეიქ გოფნიკის "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული წერილი ყველაზე გასაგებად. მიმომხილველმა რედაქციას ვენეციიდან გაუგზავნა დღიური და საათობრივად, მოკლე და ლაკონური აბზაცებით აღწერა განცდა, რომელსაც ერთ დიდ შოუდ გადაკეთებული გონდოლებიანი ვენეცია ტოვებს ტურისტზე. აი, როგორია რამდენიმე საათი ვენეციურ ბიენალეზე.

8:45 - სასტუმროდან არსენალესკენ წყლის ტრამვაით მივდივარ. დიდი არხის გაღმა მდგარ პალაცას მზის სხივები ეთამაშება. ცაზე ღრუბლები დასრიალებენ სწრაფად. ალბათ, ამაზე მშვენიერი ადგილი დედამიწაზე არც არსებობს. რომელი ხელოვნება შეედრება მას?

9:02 - შესასვლელისკენ მივდივარ. ერთი ნაცნობი კოლექციონერი მხვდება. მეუბნება, რომ "ნიუ იორკერში" დაბეჭდილი ჩემი წერილი მოეწონა. კომპლიმენტი სასიამოვნოა, უბრალოდ, ის წერილი ჩემი ძმისაა. წინასწარ ვხვდები: როგორი კარგიც არ უნდა იყოს ბიენალე, მისი სოციალური შეხვედრების მხარე გულს გამიწყალებს.

9:11 - შევედი.

პირველი ოთახის არქიტექტურა მონუმენტური და დიდებულია: აგურის მასიური სვეტები და ქვით მოპირკეთებული იატაკი. შუასაუკუნეების ნამდვილი ინდუსტრიული მშვენება. სხვათა შორის, ამ დარბაზში განთავსებული ექსპონატებიც ძლიერ მუხტს აღძრავს მნახველში. მთავარ როლში ქალები არიან და ნაწილობრივ ამიტომაც: კედლების მთელ სიგრძე-სიგანეზე ჩამოკიდებულ ვინილის პლაკატებზე ამერიკული დაჯგუფების Guerrilla Girls-ის გოგონებია გამოსახული. ქალების სიმრავლე ლოგიკურია: წელს პირველად ბიენალეს ორი მანდილოსანი ბოსი ჰყავს და იმიტომ. მათ კი ლისაბონელი ხელოვანის იოანა ვასკონსელოსის უზარმაზარი შანდალიც მოსწონთ. შანდალი დარბაზის შუაგულში დგას და მისი არშემჩნევა, უბრალოდ, შეუძლებელია. ის ვასკონსელოსმა 14 ათასი ტამპონისგან დაამზადა.

შეღავათი: 14 ათასი უხმარი ტამპონი.

9:22 - უზარმაზარ ვიდეო ეკრანზე ბანგლადეშელი ხელოვანის რუნა ისლამის შვიდწუთიანი ფილმია წარმოდგენილი. ისლამი ლონდონში მიღვაწეობს. ერთხანს მის ნაწარმოებს ვადევნებ თვალს, ცოტა უცნაურს და ბუნდოვანს: ეკრანზე რამდენჯერმე ჩნდება მთლიანად თეთრ ფერში ჩაცმული ქალის პროექცია, ქალი უხეში მოძრაობით ალაგებს ჭურჭელს, მიირთმევს შოკოლადის ვაფლს, მერე კი ხელიდან ფინჯნები და ლანგრები უვარდება. ჭურჭელი იმსხვრევა. ცოტა ხანს კიდევ ვადევნებ თვალს ისლამის ხელოვნებას, მაგრამ მერე ვხვდები, სიტუაცია უფრო გართულდება და მივდივარ.

ახალი მოდის იდეა

9:30 - ვხვდები ხელოვნების ისტორიკოსსა და კურატორს რობერტ სტორს, რომელიც ერთ ხანს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა, ახლა ნიუ იორკის უნივერსიტეტში მუშაობს და უკვე 2007 წლის ბიენალეს კურატორადაც დაუსახელებიათ. სტორი მეუბნება: რა კარგია, რომ არსენალეში მხოლოდ 49 ხელოვანი არის წარმოდგენილი, ანუ ასით ნაკლები მაინც, ვიდრე 2003 წელს იყოო.

9:47 - ვიდეო არტით გაჭედილი რამდენიმე დარბაზის შემდეგ ვხედავ ქანდაკებას, ჰო, ქანდაკებას, ალბათ, ასე ჰქვია, ზუსტად ვერ გეტყვით. ეს ქანდაკების მაგვარი რამ ინდიელ სუბოდჰ გუპტას ეკუთვნის. მას "კერი" ჰქვია - ინდური სანელებლის სახელი, და უჟანგავი ფოლადის თაროებისგან შედგება. თაროებზე უამრავი, ახალთ-ახალი ქვაბები და ტაფებია დალაგებული. ამიტომაც ეს ინსტალაცია რაღაც ბრჭყვიალა ფოლადის მონოქრომს ჰგავს, ჩემში კი ნაირგვარი კერძის დამზადების ფანტაზიას აღვიძებს. ვუყურებ თაროებსა და ქვაბებს და დამშეული ბრბოს დაფჩენილ პირებსაც აშკარად ვხედავ, საჭმლის დანახვაზე, ნერწყვი რომ მოსდით.

10:20 - შევდივარ დარბაზში და იატაკზე გაწოლილი, უზარმაზარი, სრულიად რეალისტური ჰიპოპოტამი მხვდება, დაახლოებით 15 ფუტი სიგრძის, მთლიანად ტალახისგან გამოძერწილი. მისი ავტორი პუერტო რიკოელი ჯენიფერ ალორა და გილერმო კლზადილა არიან. ვიღაცა ჰიპოპოტამის ზურგზე მოკალათებულა და გაზეთს კითხულობს, დრო და დრო უსტვენს. იქვე ორი აშკარად მდიდარი, მაღალი და ქერა ქალი ხვდება ერთმანეთს. ჭორაობა რამდენიმე წამში ჩაღდება. ქალები ემოციურად განიხილავენ იმ "უუუუუუფანტასტიურს" წვეულებას, გუშინ ღამე რომ ესწრებოდნენ. მე კი ვდგავარ შორიახლოს და ვასკვნი: მათი უნარი, არ შეიმჩნიონ მეზობლად გამოფენილი ხელოვნება, კიდევ უფრო საინტერესოა, ვიდრე თვითონ ეს ხელოვნება შეიძლება იყოს.

10:25 - მერე დევიდ როსს - რამდენიმე დიდი ამერიკული მუზეუმის ყოფილ ხელმძღვანელს და რასელ ფერგიუსონს - ლოს ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტის მუზეუმის კურატორს ვხვდები. დიალოგი ეშხში შედის და მერეღა ვამჩნევ - ირგვლივ განთავსებული არტი არც ჩვენ გვახსენდება.

10:45 - ოცი წუთი ტყუილუბრალოდ გავფლანგე. რაღაც პანიკისმაგვარი მიპყრობს. მაშინვე გადავწყვეტ, პავილიონები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დავათვალიერო. სწრაფი ნაბიჯით მივდივარ და მეჩვენება, რომ კედლებზე ჩამოკიდებული ნახატები ფეხდაფეხ გამორბიან. ეფექტი კალეიდოსკოპურია. თავს ისე ვგრძნობ, როგორც მტვრის ნაწილაკი იქნებოდა დიდ, სურათებიან, ფერად წიგნში, როცა ამ წიგნს ვიღაც სწრაფად ფურცლავს.

12:28 - მთელ გალერეაშია მიმოფანტული ველური ფერებისა და ფორმების კოსტიუმები, ტრანსვესტიტი ხელოვანის ღი ბოუერის მიერ დამზადებული. ბოუერი ლონდონში ცხოვრობდა, 1994 წლამდე - გარდაცვალებამდე. მისი კოსტიუმები ცხადყოფს, რომ ავტორი მოდის სფეროდან აღებულ იდეებს კიდევ უფრო რადიკალურ ელფერს ანიჭებს, ვიდრე პარიზული მაღალი მოდის პოდიუმებზეა ხოლმე: ბოუერი ხომ ტანსაცმელს სხეულის ორგანოების "დასამატებლად" იყენებს, ხან მკერდს იმაგრებს, ხან უკანალს. ფერებიც ასეთივე გაბედული და უცნაური აქვს.

12:36 - ახლა ვუყურებ "კუბს" - ანუ ვიდეო კლიპს ერთი ინსტალაციის შესახებ, რომელიც ვენეციის მთავრობის უარის გამო ბიენალეზე ვერ დადგეს. ეს გახლდათ გერმანელი მხატვრის გრეგორ შნაიდერის მთლიანად შავი, რამდენიმე სართულიანი სახლისხელა კუბი, რომელიც წმინდა მარკოს მოედნის შუაგულში უნდა აღმართულიყო. ის, ალბათ, რაღაცით იმ წმინდა კუბს ჰგავდა, რომელიც მექაში დგას, და ახლა შნაიდერის გამო დასავლური კულტურის ვენეციურ ცენტრში უნდა დაედგათ (ანუ ქალაქში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვაჭრობდა და ებრძოდა ისლამურ სამყაროს). სწორედ ასეთი წარსულისა და სიმბოლიკის გათვალისწინებით, ალბათ, საინტერესო პროექტიც გამოვიდოდა, მაგრამ ვენეციის მთავრობა მტკიცე უარზე წავიდა - არ ისურვა მუსლიმ ფუნდამენტალისტებთან კონფლიქტის გაჩაღება. ასე გადარჩა წმინდა მარკოს უმშვენიერესი მოედანიც შავ კუბს.

1:25 - ვისვენებ, კაფეს ტერასაზე ვზივარ და შუადღის საუზმეს მივირთმევ. მსუბუქი ვენეციური სიოს და ჩრდილი გონებას შთაბეჭდილებებისგან განავისებაში აშკარად ეხმარება.

ვფიქრობ: ალბათ, რა საშინელება იქნებოდა 2003 წლის ბიენალე. მაშინ კურატორებს ხომ საშინელ სიცხეში უხდებოდათ ტურისტების მიღება-გასტუმრება. ხო, ეს ის ცხელი ევროპული ზაფხული იყო.

ფიქრს ვაგრძელებ: უამრავი ვიდეო არტია წარმოდგენილი. ხუთი წლის წინ, ხალხი ალბათ ამას "ვიდეო ბიენალესაც" დაარქმევდა. დღეს კი ჩვეულებრივი ბიზნესია.

მაწუხებს უპასუხოდ დარჩენილი კითხვაც: რა მოხდება, როცა ვიდეოც ისევე გამოიფიტება და გამოიწურება, როგორც დღეს ფერწერა გვეჩვენება? ეს დროც ხომ მალე მოვა...

3:50 - უკვე შვიდი საათია, აქ ვარ. გული მიმდის. ვეღარაფერს აღვიქვამ. ისე ვგრძნობ თავს, როგორც ავი ძალებისგან დასუსტებული სუპერმენი: "ვაი... ძალისგან... ვიცლები... მაგრამ... არააა... უნდა გავაგრძელო... მკითხველი... მელის".

4:19 - ვეღარ გავძელი. წავედი.

პრობლემა მეორე - ახალი ქართველობა

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, საქართველოს საქმე მთლად კარგად რომ ვერ იყო. შვეიცარიაში არც დღეს ვცხოვრობთ, მაგრამ მაშინ, 1995 წელს, როცა ქვეყანა ჯუნგლებს ჰგავდა და ამ ქვეყნის შვილები პრიმიტივებივით ვიბრძოდით არსებობისთვის, როცა არ იშოვებოდა პური და ეყარა კალაშნიკოვის ტყვიები, გაუფასურდა სამართალი და დაფასდა მილიტარისტული ძალა, ბნელოდა და ციოდა. ანუ, როდესაც არავითარი საძირკველი არ არსებობდა კეთილი საქმეების საკეთებლად - აი, სწორედ მაშინ, მეტად უცნაური გახლდათ ამ ამბის დაწყება და მით უმეტეს, გაფურჩქვნა.

დაიწყო ასე - ძმაბიჭთან ერთად პუშკინის ქუჩაზე ვეშვებოდი. მორიგი არაადამიანური ზამთარი ახალი გადატანილი გვქონდა და ჩვენს დამახინჯებულ ხასიათს გაზაფხული ეფერებოდა (რა პოეტური წინადადება გამოვიდა). ეტყობა, ამიტომაც ვფიქრობდით კარგ რაღაც-რუღაცებზე და სწორედ ამ დროს იშვა იდეა უბნებს შორის ტურნირის გამართვისა. მაშინ უკვე გაჩაღებული გახლდათ უბანთა გაჯიბრებები, ოღონდ ტყვიის სროლაში, რაც ყველას ყელში ამოუვიდა და, წესით, სპორტის სახეობის ჩანაცვლებას დიდი მოწონება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ იმ ჟივილ-ხივილმა, რომელიც ჩვენმა წინადადებამ გამოიწვია, ყოველგვარ მოლოდინს გადაუჯოკრა.

ზუსტად ერთ კვირაში ბურთი მოედნის ცენტრში იდო, სასტვენი - მოყვარული მსაჯის პირში, ნახევარ დასავლეთ თბილისს სოლოლაკზე მოეყარა თავი, გაოცებული ხალხი ჯერ კიდევ დაძაბულად იღიმებოდა (ნახევარფინალებისთვის ამ ღიმილმა ნატურალური სახე მიიღო), მძიმე რეჟიმს ნაჩვევი ნაყინის და მზესუმზირის გამყიდველები გაბედულად დაქროდნენ, ძველი ბიჭები გახარებულ მასაში ჩაიკარგნენ.

მზე, ბურთი, კარგი განწყობა, ლამაზი გოგოები, უამრავი ხალხი, ოღონდ არა სამტინგოდ, პაჩი-პუჩი, მოფერება, მიზერამდე დაცემული კრიმინალი, ფასეულობათა რეაქტიული გაჯანსაღება, დღედაღამ ეზოში, ბურთის დევნაში მყოფი ბავშვები, ამით უზომოდ კმაყოფილი მშობლები, მოედანს დაბრუნებული ბიძაკაცები ძველქალაქური ფინტებით, სოკერის წყალობით შეძენილი მეგობრები - 1995 წლის გაზაფხულზე, როცა წელიწადის ეს დრო ჯერ კიდევ არსებობდა, მსგავსი სურათი სიზმარს წააგავდა. თუმცა, ეს არ იყო სიზმარი. კიდევ კარგი.

აქვე მინდა მოგითხროთ იმ სტადიონის დაარსების ამბავი, სადაც ეს ფერადი სიტუაცია შეიქმნა ყავისფერ ქალაქში. ის კანცელარიის წინ მდებარეობს და ვინაიდან ადრე კანცელარიას ცეკა ერქვა, სტადიონს დღემდე "ცეკას სტადიონი" ეწოდება.

ადრე აქ, სულხან-საბას ქუჩის ბოლოში, ავტოსადგომი იყო. ერთხელაც სამსახურში ანუ ცეკაში მიმავალმა ჯუმბერ პატიაშვილმა ტროტუარზე ჩამომსხდარი, ბნელ მომავალზე მეოცნებე, პაპიროსის მქაჩველი და ლუდის ბოთლებით აკინძული პატარა ბიჭები შენიშნა. ჩვენი ახლანდელი პრეზიდენტისა არ იყოს, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა ბოსმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, მანქანა გააჩერებინა, გადავიდა და ჯეელებთან მასლაათი წამოიწყო. ტრადიციული შენიშვნები - რატომ უსაქმურობთ, რა დროს თქვენი სიგარეტი და პივაა, წიგნი გადაშალეთ. თამამი პასუხი - რა ვქნათ, ბიძაჩემო, უბანში ფუტბოლის სათამაშო ადგილი არ გვაქვს. და მეტად არატრადიციული ფინალი - ზუსტად სამ დღეში ავტოსადგომი შეცვალა სტადიონმა, რომელიც დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისში.

მსაჯმა, რომელსაც უმძიმესი მატჩების განსჯა მოუწია და მას შემდეგ სასტვენს აღარ გაჰკარებია, ჩასტვინა და მსოფლიოს ყველაზე არასტაბილური ქვეყნის დედაქალაქში ქუჩის ფეხბურთის აღორძინება დაიწყო. აღორძინება, რომელმაც რამდენიმე წელიწადში ასლან აბაშიძის პარტიასავით შეწყვიტა პროგრესი.

ლოგიკურ ამბავში, პროგრესი პირიქით, ქვეყნის რეანიმაციის პარალელურად უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ფაქტია - თბილისის ერთ დროს გაჭედილი მოედნები სულისშემძვრელადაა დაცარიელებული და თუ პერიოდულად შეირბენს იქ ვინმე, სუბუტექსის გასაჩხერად გამზადებული ავადმყოფი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო სულიერად გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაშია, ვიდრე ათი წლის წინ.

ახალგაზრდული ფეხბურთი ბავშვთა ფეხბურთის შემდეგ რიგით მეორე თავსატეხია ჩემს მიერ ადრე შემოთავაზებულ ცხრაპრობლემიან კრიალოსანში. ყველამ იცის, რომ ამ სფეროში მუშაობენ უცოდინარი მწვრთნელები, ყოველ მეორეს ასაკი აქვს გადაკეთებული, ბიჭებს არა აქვთ სავარჯიშო პირობები, მშობლებს - შესაძლებლობა, მათი ერთობლივი მიზანი ფულის შოვნაა და არა დიდი ფეხბურთის თამაში. და ასე შემდეგ.

თუმცა, მთავარი პრობლემა მაინც ფეხბურთის, როგორც სიამოვნების მიღების საშუალების იგნორირება მგონია. რა სიამოვნებს მოზარდთა უმეტესობას? ბურთს ჩაენაცვლა ნარკოტიკი, წიგნს - იდიოტური ფილმები, თეატრს - საზარელი შოუ-კონცერტები, სიკეთეს - საიდანღაც დაგროვილი არანორმალური რაოდენობისა და ხარისხის აგრესია, კაცობას - ბოზობის ინსტიტუტი და მლიქვნელობა, ინტელექტს - პროვინციული საზომები. შედეგად მივიღეთ უნიკალური ჯგუფის თაობა: უტვინო, უემოციო, უჯიგრო, უსინდისო, უსქესო, უსულო, უსარგებლო, უგემოვნებო, უპრინციპო.

ჩემი მეგობრის ბაბუამ, ყველაფრის მნახველმა და გადამტანმა კაცმა-ლეგენდამ, შიგ ათიანში გაარტყა, როცა ამ ახალგაზრდებზე ლაპარაკი ასე დაამთავრა: ეგენი, მგონი, ტრაკებსა სცვლიანო.

რა საშინელებაა, შენს წინაპარს რომ ამას აფიქრებინებ! რა სამწუხაროა, რომ 17-18 წლის კაცებს ჭკუა ეკეტებათ ალესანდრო დელ პიეროზე და წარმოდგენაც არა აქვთ, ვინ იყო სიომა ბარქაია, მანე გარინჩა, შოთა იამანიძე, ალფრედო დი სტეფანო, ანდრო ჟორდანია, ჟოაო სალდანია...

ამ ბიჭების უმეტესობას არანაირი საფეხბურთო განათლება არა აქვს და არც სურს ინფორმაციის მიღება. მათ არ იციან ფეხბურთის თამაში და არც ამის სურვილი გააჩნიათ. აი, მიზეზები, რომელთა გამოც ქართულ ფეხბურთს კატასტროფული მომავალი ეჭყანება...

არა რა, 1995 წელს ამ მხრივ გაცილებით კარგი მდგომარეობა იყო. რადგან პროვინციალიზმი, უდარდელობა და მხოლოდ ფულზე, რაც შეიძლება ბევრ ფულზე ფიქრი, გაცილებით საშიშია სახელმწიფოსთვის, ვიდრე ომი და მატერიალური კრიზისი.

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

ტრადიცია გრძელდება

მეორე არხი - ზაზა დარასელის ტურნირის ტრადიციული გამარჯვებული.

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოში ყოველწლიურად მრავალი ტურნირი იმართება მინიფეხბურთში, მათ შორის, სა-განგებოდ ჟურნალისტებისთვის-აც, მაგრამ ზაზა დარასელის მემორიალი მაინც გასხვავებულია. წლევანდელმა ტურნირმა ყველა თვალსაზრისით ხუთიანზე ჩაიარა. დაარსებიდან მეხუთე ტურნირი, 2005 წელი და, რაც მთავარია, ფინალის დღეს ზაზა დარასელს 55 წელი შეუსრულდებოდა.

ტურნირში მონაწილეობდა რვა გუნდი, რომლებიც კენჭისყრით ორ ქვეჯგუფში განაწილდნენ. ჯგუფებში გამარჯვებულმა ორ-ორმა გუნდმა ნახევარფინალებიდან განაგრძეს ბრძოლა მთავარი პრიზისთვის. ფინალში გავიდნენ ზაზა დარასელის მშობლიური, მე-2 არხის და აფხაზეთის გუნდები.

ფინალი მართლაც გადამწყვეტი შეხვედრის შესაბამისი, ძალზე დაძაბული გამოდგა, თუმცა, მინიფეხბურთისთვის შეუფერებელი ანგარიშით, 1:0 დასრულდა. გოლი მეორე ტაიმში მეორეარხელმა დავით კაციტაძემ პენალტით გაიტანა და თავის გუნდს ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა დარასელის სახელობის თასი. ტურნირი, რომელსაც ვაკეში მდებარე "ირაო" უმასპინძლა, უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. ამჯერადაც საორგანიზაციო ხარჯები თავის თავზე აიღო ზაზა დარასელის სახელობის საქველმოქმედო ფონდმა და კომპანია "ცენტრ პოინტმა". ფულადი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები მიიღო არა მხოლოდ გამარჯვებულმა გუნდმა, არამედ ყველა მონაწილემ. პირველ ადგილზე გასული მე-2 არხის გუნდი 1500 ლარით დაჯილდოვდა, ფინალისტ აფხაზეთის გუნდს 1000 ლარი გადაეცა, ნახევარფინალისტებს - "რუსთავი 2"-ს და ტელეკომპანია "მზეს" - 300-300 ლარი. დანარჩენ მონაწილეებს - "სარბიელს", "იმედს", "ბოცვაძელებს" და "მთავარ სპორტს" 100-100 ლარი ერგოთ.

გამოვლინდნენ საუკეთესო მოთამაშეებიც. ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი ერგო აფხაზეთის გუნდის მეკარეს არჩილ გიორგობიანს, საუკეთესო მცვლელად დაასახელეს მეორეარხელი ალექსანდრე ათანელაშვილი, საუკეთესო თავდამსხმელად - ლაშა კაკუბავა (აფხაზეთი). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ტელეკომპანია "მზის" სპორტული კომენტატორი ლაშა დვალიშვილი და ტელევიზორით დაასაჩუქრეს. ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი "ბოცვაძელებს" გადაეცათ. გამარჯვებულები დაჯილდოვა ზაზა დარასელის ქალიშვილმა ნინო დარასელმა.

"საოცრად ბედნიერი ვარ იმით, რომ ჟურნალისტები ერთად არიან და მხარს უჭერენ ჟურნალისტის ხსოვნას. ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის - ზაზას ოჯახი ტურნირის ორგანიზებაში მხოლოდ სიმბოლურ მონაწილეობას იღებს, თავად ჟურნალისტები კი არ ივიწყებენ მის სახელს და სიამოვნებით მონაწილეობენ ამ ტურნირში. მიხარია, რომ წელს "რუსთავი 2"-იც შემოგვიერთდა. მთავარი მიზანი მიღწეულია - წელიწადში ერთხელ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში დასაქმებული ჟურნალისტები ერთად იკრიბებიან, აქტიურად ისვენებენ და იღლებიან, რაც ზაზა დარასელს ყველაზე მეტად გაუხარდებოდა", - განუცხადა "24 საათს" ზაზა დარასელის სახელობის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარემ, მისმა მეუღლემ რუსუდან კერვალიშვილმა.

ტურნირი კაფე "მსოფლიო სპორტში" გამართული ბანკეტით დასრულდა.

ფრანსისკო პავონი: "ზიდანების და პავონების პოლიტიკა მიწყნარდა"

არდადეგებზე მყოფმა მადრიდის "რეალის" მცველმა ფრანსისკო პავონმა ესპანელ ჟურნალისტებს მისცა ინტერვიუ, რომელშიც გუნდში არსებულ სიტუაციაზე საუბრობს.

- არდადეგებზე ყოფნის პერიოდში "რეალის" გარშემო ატეხილ სატრანსფერო ჭორებს თვალყურს ადევნებ?

- სიმართლე გითხრათ, არა, რადგან ყოველ წელიწადს ჩნდება ათობით ფეხბურთელის გვარი, რომლებიც შეიძლება "რეალში" გადმოვიდნენ. როცა საუბარი ეხება ისეთ კლუბს, როგორიც მადრიდის "რეალია", მთელი ეს აჟიოტაჟი გასაგებია, მაგრამ ვიდრე ეს ფეხბურთელები ჩვენს გასახდელში არ გამოჩნდებიან, გუნდში მათ რეალურ გადმოსვლაზე საუბარი არ შეიძლება.

- უკანასკნელ წლებში ზიდანებისა და პავონების პოლიტიკა გაფერმკრთალდა?

- მიწყნარდა, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს პოლიტიკა დასრულდა ან წარსულს ჩაბარდა, არ შეიძლება. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პოლიტიკამ არ გაამართლა. ვფიქრობ, ის გუნდისთვის საჭირბოტო იყო და ის გაამდიდრა. ამას გარდა, თუ ფეხბურთელი "სევილიადან" ან ნებისმიერი სხვა გუნდიდან მოვა, ის მაინც რომელიმე გუნდის აღზრდილი იქნება. არადა, "რეალის" საფეხბურთო სკოლა ძალიან კარგია. ეს მართალია, რომ შარშანდელ სეზონში ნაყიდი ფეხბურთელი უფრო მეტი იყო, ვიდრე "რეალის" სარეზერვო გუნდიდან გადმოყვანილი. რეზერვისტები იმდენი არ იყვნენ, როგორც წინა წლებში, მაგრამ ვფიქრობ, ეს ახალი სპორტული დირექტორის დამსახურებაც არის, რომელიც ამ საკითხს სხვაგვარად უდგება.

- საუბარია ხუთ-ექვს შენაძენზე. როგორ ფიქრობ, მაინც რისი გაძლიერება სურს "რეალს" ასე ძალიან?

- რაც უფრო მრავალრიცხოვანია გუნდი, მით უფრო გაუადვილდება მას მთელი სეზონის განმავლობაში თამაში.

- მაგრამ ეს პოლიტიკა, როცა კლუბი რამდენიმე ფეხბურთელს იძენს, გზას უკეტავს ახალგაზრდა ფეხბურთელებს სარეზერვო გუნდიდან...

- შეიძლება ამჟამად მათ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ძალიან გაუჭირდეთ, მაგრამ მადრიდში ყოველთვის ყველაფერი გარკვეულ მომენტებზე არის დამოკიდებული, რომელსაც კონკრეტულ სიტუაციაში გუნდი განიცდის. ყველა შემთხვევაში მე მწამს მათი, ვინც დუბლშემადგენლობიდან მოდიან.

- კონკრეტულ ფეხბურთელებზე შეგეკითხები. რა შეგიძლია თქვა დიოგოზე?

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის ურუგვაელია და მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაშობს. მე ის არასოდეს მინახავს.

- სერხიო რამოსი?

- ის შესანიშნავი ფეხბურთელია და დიდი მომავალი აქვს. ის სეზონის აღმოჩენა იყო და ვიმედოვნებ, რომ მისი პროგრესი გაგრძელდება, რადგან მას ამისთვის ყველა თვისება გააჩნია.

- შენთვის სიურპრიზია, რომ სამუელმა შეიძლება გუნდი დატოვოს?

- ის შესანიშნავი ფეხბურთელია და მისი როლი იმაში, რომ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა, უაღრესად დიდია.

- რა შეგიძლია თქვა შენს მომავალზე? როგორც ჩანს, დაცვაში კონკურენცია დიდი იქნება...

- მე მადრიდის "რეალში" თამაში ყოველთვის მსურდა. ვიდრე კლუბი არ მეტყვის, რომ ჩემი სამსახური აღარ სჭირდება, მანამდე მშვიდად ვიქნები.

მოკლედ

კრესპო "მილანში" დასარჩენად ყველაფრისთვის მზადაა

ერნან კრესპო იმედს არ კარგავს, რომ "ჩელსი" და "მილანი" შეთანხმების მიღწევას შეძლებენ. იტალიაში კრესპოსთან დაკავშირებული ამ ორი გუნდის მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზად კახი კალაძის შეძენის გამო შეუთანხმებლობას ასახელებენ.

"არ ვიცი, რა ხდება. თითქოს ყველაფერი მოგვარებულიყო, ახლა კი ასე არ ვფიქრობ. ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც მშვიდად ვარ. იმედი მაქვს, "ჩელსი" და "მილანი" მოილაპარაკებენ. ხელფასის შემცირების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები. არ მინდა კლუბებს ჩემს გამო კომპრომისის მიღწევაში ხელი შეეშალოს. დანარჩენი კი ჩემს ძალებს ნამდვილად აღემატება. სანამ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ, სიტუაცია არ შეიცვლება. ვიცი, რომ მოურინიო აფასებს ჩემს ტალანტს, დიდ მადლობას ვუხდი ასევე აბრამოვიჩსა და კენიონს. "ჩელსი" ფანტასტიკური კლუბია. მან პრემიერ-ლიგა მოიგო. მომავალ სეზონზე ის ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი პრობლემა ფეხბურთს არანაირად არ უკავშირდება. უბრალოდ, არ მომწონს ლონდონი. იტალიაში, მილანში მინდა დარჩენა. აქ თავს კარგად ვგრძნობ. სულმოუთქმელად ველოდები იმ წუთს, როცა "მილანთან" კონტრაქტს მოვაწერ ხელს", - განაცხადა არგენტინელმა ფეხბურთელმა Corriere dello Sport-თან საუბრისას.

კრესპო მომავალ კვირას თავადვე აპირებს ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობასთან ამ საკითხზე დალაპარაკებას: "აუცილებლად დაველაპარაკები მათ. ცოტას ვღელავ. ეს "მილანის" შემადგენლობაში ჩემი დარჩენის ბოლო შანსია. ერთი წლის წინათ ფეხბურთიდან წასვლაზეც კი ვფიქრობდი, თუმცა, შემდეგ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა გუნდი, რომელმაც ფეხბურთის სამყაროში დარჩენის სურვილი დამიბრუნა. ძალიან ბევრი ვიშრომე, რომ "მილანის" ნდობა მომეპოვებინა. შევძელი ყველასთვის დამემტკიცებინა ჩემი შესაძლებლობები. მე ამ გუნდის ნაწილი ვარ და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. რაც შეეხება იმას, რა გავლენას მოახდენს კალაძის გადასვლა ჩემს სიტუაციაზე, არ ვიცი. ლონდონელებს შევხვდები და ამ დეტალსაც მათთან ერთად განვიხილავთ," - ამბობს ფეხბურთელი.

ჯონსონი, შესაძლოა, "კრისტალ პალასიდან" წავიდეს

Sky Sports-ის ცნობით, გასულ სეზონზე ინგლისის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ენდრიუ ჯონსონმა განაცხადა, რომ "კრისტალ პალასის" დატოვებას აპირებს. მის ანგარიშზე წინა სეზონზე 21 ბურთია. თუმცა, ეს მაინც ვერ დაეხმარა გუნდს, მომავალ წელს ადგილი შეენარჩუნებინა პრემიერ-ლიგაში. 24 წლის ფეხბურთელს მიაჩნია, რომ ქვედა დივიზიონში თამაში მას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისის ნაკრებში ასპარეზობის შანსს საერთოდ არ უტოვებს. თუმცა, "კრისტალ პალასის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ჯონსონი არსად წავა.

ტერის მალდინის ნაკვალევზე სიარული სურს

ლონდონის "ჩელსის" კაპიტანმა ჯონ ტერიმ განაცხადა, რომ "მილანის" მცველის პაოლო მალდინის გზის გამეორება უნდა. ინგლისელი ფეხბურთელი "არისტოკრატებთან" თამაშს კარიერის დასრულებამდე გეგმავს. თავისი განზრახვა მან ჩეხ ჟურნალისტებს გაანდო. პრაღაში "ჩელსის" მეკარის პეტერ ჩეხის მიწვევით იმყოფებოდა.

"ჩელსი" ძალიან მიყვარს და მის დატოვებას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, ოდესმე ისეთივე შესანიშნავი ფეხბურთელი ვიქნები, როგორიც მალდინია", - აცხადებს ტერი.

ოუენს "მანჩესტერ იუნაიტედში" უნდა გადასვლა

მადრიდის "რეალის" ინგლისელმა ლეგიონერმა მაიკლ ოუენმა "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის სურვილი გამოთქვა. ბრიტანული პრესის ცნობით, ფეხბურთელმა "რეალიდან" წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტა. შეგახსენებთ, მან მადრიდში მხოლოდ ერთი წელი გაატარა.

ლუკარელი "ლივორნოში" რჩება

Tribalfootball-ის ცნობით, იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "ლივორნოს" თავდამსხმელმა კრისტიანო ლუკარელიმ განაცხადა, რომ მომავალ სეზონს ამჟამინდელ კლუბში გაატარებს.

"უკვე ვესაუბრე "ლივორნოს" პრეზიდენტს და ავუხსენი, რაც მოგველის მომავალ სეზონზე. მან გარანტია მომცა, რომ ჩვენ კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება. პირადად მე ჩემს მომავალს მხოლოდ "ლივორნოს" ვუკავშირებ", - განაცხადა თავდამსხმელმა.

ჯილარდინო ან "ჩელსიში" გადავა, ან - "მილანში"

იტალიური "პარმას" თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ, რომელიც შაბათს თავის გუნდს სერია A-ში დარჩენაში დაეხმარა, ამ კლუბში უკანასკნელი მატჩი ჩაატარა. Tribalfootball-ის ცნობით, ამის შესახებ განცხადება გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა მარსელო ბონეტომ, რომელმაც ასევე დაამატა, რომ მისი კლიენტი ან ლონდონის "ჩელსიში" გადავა, ან - "მილანში".

ამავე დროს, თავად ჯილარდინო უარს ამბობს კომენტარის გაკეთებაზე და ჯერ კიდევ ახლანდელი გუნდის გამარჯვებას აღნიშნავს.

"არ შემიძლია გამოვხატო ის გრძნობა, რასაც ახლა განვიცდი. მთელმა გუნდმა შესანიშნავი თამაში აჩვენა. ძალიან დაგვეხმარნენ ჩვენი გულშემატკივრები. ამჟამად ვერაფერს გეტყვით კლუბიდან გადასვლა-არგადასვლის შესახებ. ახლა მხოლოდ გამარჯვებით მინდა ტკბობა", - განაცხადა ფეხბურთელმა.

მოამზადა ნინო ტიკარაძემ

TV-სპორტი

სამშაბათი. 21 ივნისი

NTV+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 "დიდი წინაალმდეგობები". განვლილი სეზონი - შოტლანდიის ლიგის თასი. "გლაზგო რეინჯერსი" - "სელტიკი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2001/2002. "იუვენტუსი" - "სელტიკი"
15:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "დიდი წინაალმდეგობები". განვლილი სეზონი - ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ჩელსი"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებას შორის. 1/8 ფინალი. აშშ - იტალია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
21:25 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:55 "ფუტბოლისტიკა"
22:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. ბრაზილია - სირია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
00:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. 1/8 ფინალი. ჩინეთი - გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან

NTV+ПЛЮС
10:00, 13:00, 15:30 პრესცენტრი
10:20, 15:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
12:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
13:30 "სარკის წინ"
14:00 აფროსინობა. "ამერიკის თასი". მეოთხე აქტი ვალენსიაში
14:30 "ნადირობის სეზონი"
15:00 საჭადრაკო მიმოხილვა
15:50 სახვალიო ტელეპროგრამა
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შედეგები
00:30 ახალი ამბები
00:45 "ცხელი ქვიშა". ტელეჟურნალი
01:15 აფროსინობა. "ამერიკის თასი". მეოთხე აქტი ვალენსიაში
01:45 01:45-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SPURS" - "DETROIT PISTONS". მე-6 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
11:00 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. ფინალი
12:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
13:00 მძლეოსნობა. ევროპის თასი იტალიაში
14:30 სპიდვეი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
15:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში
16:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. კოტ დ'იუარი - ეგვიპტე
17:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მექსიკა - ბრაზილია
19:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ავსტრალია - არგენტინა
20:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. ტუნისი - გერმანია
21:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. საბერძნეთი - იაპონია
22:00 კრივი - კვირის რჩეული
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა ესპანეთში
01:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. მიმოხილვა
02:00 ახალი ამბები
02:15 რბოლა სატვირთოებით. ევროპის თასი საფრანგეთში
02:45 თავგადასავალი - "გაქცევა"
03:15 ახალი ამბები

კალათბურთი

ისევ დანკანი

დეტროიტი - სან ანტონიო 95:96 (ო.ტ. სერიის ანგარიში - 2:3)

"სან ანტონიოს" კალათბურთელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს NBA-ის ჩემპიონობისკენ. უაღრესად დრამატულ მატჩში "დეტროიტის" წინააღმდეგ ტეხასელებმა მოახერხეს და დამატებითი დროის ბოლო წამებზე გამარჯვება მოიპოვეს. ახლა "სან ანტონიოს" ყველა შანსი აქვს, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გამარჯვებულის ბეჭედი მოირგოს, რადგან ფინალური სერიის დარჩენილი ორი მატჩი სან ანტონიოში გაიმართება და მასპინძლებისთვის ერთი გამარჯვებაც საკმარისი იქნება.

ტიმ დანკანი მატჩის გმირს რობერტ ჰორის გამარჯვებას ულოცავს.

NBA-ის წლევანდელი გათამაშების ფინალური სერიის მეხუთე მატჩი, ორი წინამორბედის მსგავსად, დეტროიტში გაიმართა. თუმცა, წინა ორი მატჩისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა "პისტონსის" მარცხით დასრულდა და ასოციაციის შარშანდელმა ჩემპიონმა უაღრესად გაირთულა საქმე. ახლა მას სტუმრად დარჩენილ ორ თამაშში ორი გამარჯვება სჭირდება.

მატჩის დასრულებამდე 5,8 წამით ადრე "სან ანტონიოს" გამარჯვება მოუტანა გუნდის ვეტერანმა კალათბურთელმა რობერტ ჰორიმ. სხვათა შორის, წარმატების შემთხვევაში ჰორი პირველი კალათბურთელი იქნება ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, რომელიც სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში დაეუფლება ჩემპიონის ტიტულს. სტუმართა ტრიუმფის უმთავრესი შემოქმედი კი გუნდის ლიდერი ტიმ დანკანი იყო, რომელმაც თავის გუნდს 26 ქულა შესძინა. "დეტროიტის" შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ ჩონსი ბილაპსი, რომლის ანგარიშზეც 34 ქულაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისმა შთამბეჭდავმა თამაშმა მასპინძლებს შვება ვერ მოჰგვარა და "დეტროიტი" უაღრესად პრინციპულ შეხვედრაში მაინც დამარცხდა.

მატჩის სასტარტო მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, სადაც ოდნავ უპირატესობას მასპინძლებმა მიაღწიეს. ისინი შეტევაში მეტოქეზე უფრო ზუსტად ირჯებოდნენ. მათ რამდენიმე სწრაფი გარღვევა განახორციელეს. დაცვაში კი დამაჯერებლად თამაშობდნენ და მეოთხედიც "დეტროიტის" სასარგებლოდ - 23:21 დასრულდა. თუმცა, უკვე მეორე და მესამე მეოთხედში მდგომარეობა შეიცვალა. ინიციატივა "სან ანტონიომ" მოიპოვა და მეოთხედები მცირე უპირატესობით თავის სასარგებლოდ დაასრულა - 21:19 და 22:21.

სტუმრებს განსაკუთრებით ლამაზი გამოუვიდათ ერთ-ერთი შეტევა, რომელიც მეორე მეოთხედის დებიუტში განახორციელეს. მანუ ჯინობილიმ ფარქვეშ ინდივიდუალური გარღვევით გზიდან ჩამოიცილა მეტოქეები და ზემოდან ჩატენა ბურთი კალათში. მატჩის ამ მონაკვეთში "სან ანტონიოს" უპირატესობამ ცხრა ქულას მიაღწია, მაგრამ მასპინძლებმა მოახერხეს ამ დეფიციტის აღმოფხვრა.

მატჩში მეოთხე მეოთხედი უკანასკნელი არ აღმოჩნდა. ძირითადი დროის დასრულებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა "დეტროიტმა" რამდენიმე ჩაჭრა გაახორციელა. ზუსტად შეუტია მეტოქის ფარს, მეტოქის ჰანდიკაპი გაანეიტრალა და მოახერხა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა.

დამატებითი დროის საწყის მონაკვეთში გუნდები, ცოტა არ იყოს, ფრთხილობდნენ, მაგრამ ბოლოს შეტევაზე გადავიდნენ. შეტევები კი უფრო ეფექტური "სან ანტონიოს" შესრულებით გამოდგა და საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს. გადამწყვეტ ეპიზოდში, როცა მატჩის დამთავრებამდე 9,4 წამი იყო დარჩენილი, მანუ ჯინობილიმ მცველები თავისკენ გაიტყუა და ზუსტი პასი მიაწოდა რობერტ ჰორის, რომელმაც სამქულიანი ნიშნულიდან მოათავსა ბურთი მეტოქის კალათში.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ "პისტონსს" ჰქონდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ რიჩარდ ჰამილტონი ოდნავ შეყოვნდა და ბოლო წამებზე ბურთის კალათში ტყორცნა ვეღარ მოასწრო. მატჩის შემდეგ "სან ანტონიოს" ლიდერმა ტიმ დანკანმა შენიშნა: გუნდის საერთო განწყობილება ისეთი იყო, რომ გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. "დღევანდელ მატჩში არა მარტო საჭირო შედეგს მივაღწიეთ, არამედ ჩვენი თამაშის ჩვენება შევძელით. არადა, წინა შეხვედრებში ამას ვერ ვახერხებდით. ჩემი თანაგუნდელები დღეს შესანიშნავი იყვნენ. ისინი აუცილებლად შეეცდებიან, ფინალური სერია უკვე მომდევნო შეხვედრაში დაასრულონ".

ამრიგად, "სან ანტონიოს" გამარჯვების შემდეგ - 96:95 სერიაში საერთო ანგარიშია - 3:2 ტეხასელთა სასარგებლოდ. მომდევნო ორი მატჩი სან ანტონიოში გაიმართება. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ "დეტროიტს" სან ანტონიოში 1997 წლის შემდეგ არ მოუგია. ისიც აღსანიშნავია, რომ "სპურსს" რეგულარულ ჩემპიონატში საშინაო შეხვედრებში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

NBA-ის სხვა სიახლეებიდან შეიძლება აღინიშნოს, რომ "მაიამი ჰიტის" პრეზიდენტი პატ რაილი ცდილობს, თანამშრომლობა გააგრძელოს გუნდის ლიდერ შაკილ ო`ნილთან და მას ხანგრძლივ - კარიერის ბოლომდე კონტრაქტს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ "შაკის" მოქმედი კონტრაქტი მომავალ წელს იწურება. "ჩვენ გადავწყვიტეთ, განვიხილოთ კალათბურთელთან რაც შეიძლება ხანგრძლივი თანამშრომლობის შესაძლებლობები, - განაცხადა რაილიმ, - არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ ვაპირებთ, შაკილ ო`ნილი "მაიამიში" დავაკავოთ ოთხი ან ხუთი წლით".

ამასობაში "მინესოტამ" დაასახელა გუნდის ახალი მწვრთნელის ვინაობა. ეს გახლავთ დუეინ კეისი. კლუბმა მასთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ცნობილია, რომ კეისმა 11 წელი გაატარა "სიეტლში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობაზე.

ფორმულა 1

სამეფოს ბოთლები დაუშინეს

"დიდი პრიზი" თუ "დიდი ფარსი"

გიგა გურასაშვილი

საჯინიბოთა დემარში. "ინდიანაპოლისის" ტრასაზე შემდგარი ერთი გუნდის თეატრი. არაჟანსაღ ატმოსფეროში ჩატარებული "აშშ-ის დიდი პრიზი". ტრასაზე მქროლავი სამი საჯინიბო. "ფერარისთვის" ტრიბუნებიდან დაშენილი მინერალური წყლის ბოთლები თუ ლუდის ქილები. ულირსი ჩემპიონი. რბოლის შემდეგ სალაროებს მიმწყდარი ათასობით გულშემატკივარი და ყველაფრის თავიდათავი "მიშლენის" საბურავები. ერთი სიტყვით, სრული დომხალი. "აშშ-ის დიდი პრიზი", რომელიც უმალ "პატარა პრიზად" და "დიდ ფარსად" მოინათლა.

რალფ შუმახერის დალეწილმა "ტოიოტამ" ინდიანაპოლისი თავდაყირა დააყენა.

"ინდიანაპოლისის" შეფს ტონი ჯორჯს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ფორმულა 1 ამერიკაში შეეტანა. მას შემდეგ, რაც კვირას, ნაშუაღამევს, "აშშ-ის დიდ პრიზზე" მოხდა, ძნელი განსაჭვრეტი ხდება, ტონი ჯორჯი გააგრძელებს თუ არა ხელშეკრულებას "სამეფო რბოლებთან". "ინდის" შეფი განწბილებულ გულშემატკივრებს ერთგვარ სოლიდარობას უცხადებს და ახლა იმაზე ფიქრობს, რა საშუალებით დაუბრუნოს მათ ბილეთებში გადახდილი თანხა.

"ვიზიარებ იმედგაცრუებას იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო რბოლა ვერ ვიხილეთ, მაგრამ ამას ისეთი მიზეზები უდევს საფძვლად, რომელიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება. ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა".

მოხდენით კი ის მოხდა, რომ პარასკევს, თავისუფალი ვარჯიშისას, რალფ შუმახერისა და ამავე გუნდის ტესტ-პილოტის რიკარდო ზონტას "ტოიოტას" (რომლებიც "მიშლენის" საბურავებზე დგას) ერთ-ერთ ჩქაროსნულ მონაკვეთზე საბურავები გაუსკდათ, რასაც მძიმე ავარია მოყვა. ავარია კი ტყუპისცალივით ჰგავდა ერთი წლის წინათ ამავე ტრასაზე მომხდარს, რის გამოც დიდი ჩემპიონის უმცროს ძმას რალფ შუმახერს ხერხემალზე მიღებული ტრავმის გამო რამდენიმე რბოლის გამოტოვება მოუხდა.

"ამბობენ, მეხი ერთი და იგივე ადგილზე ორჯერ არ ეცემაო, მაგრამ, ეტყობა, ჩემს შემთხვევაში ასე არ არის", - ავარიის შემდეგ აცხადებდა რალფი.

...მსოფლიო ჩემპიონატის მეცხრე ეტაპს ტრიბუნებიდან 100 ათასი გულშემატკივარი ადევნებდა თვალყურს. ადევნებდა მანამ, სანამ სტარტი არ აიღო რბოლამ. მერე კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. გულშემატკივართა გაოცებული სახეები უკმაყოფილო გამომეტყველებამ შეცვალა. იმძლავრა პროტესტის ფორმამ - ერთნი უსტვენდნენ, მეორენი სახელსახელოდ საპროტესტო ლოზუნგებს თხზავდნენ, მესამენი (ისინი, ვინც თავი ვერ შეიკავა) ორთქლის გამოშვებას ტრიბუნებიდან დაშენილი ბოთლებით შეეცადნენ. სტიუარდები იძულებულნი გახდნენ, ტრასაზე გასული სამი საჯინიბოს, "ბრიჯსტოუნის" საბურავებით აღჭურვილი "ფერარის", "მინარდისა" და "ჯორდანის" უსაფრთხოებისთვის წითელზოლიანი ყვითელი ალმები აეფრიალებინათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტრასაზე ზეთია დაღვრილი, თუმცა, ამ შემთხვევაში ზეთი წყალმა და აქაფებულმა ლუდმა შეცვალა. აქამდე არასდროს ყოფილა შემთხვევა, ვინმეს ბოლიდებისთვის წყლითა და ლუდით სავსე ბოთლები და ქილები დაეშინოს. ასე რომ, დღის წესრიგშიც არასდროს დამდგარა საკითხი, წყლისა და ლუდის აღმნიშვნელ ალამთა დიზაინი შეემუშავებინათ. ალმები კი იმაზე მიანიშნებს მრბოლს, რომ კონკრეტულ მონაკვეთზე ფრთხილად იყოს. ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ყველაფრის თავიდათავი კი "მიშლენის" საბურავები აღმოჩნდა. თუმცა, უცოდველნი არც სკუდერიელები არიან.

...რალფ შუმახერისა და რიკარდო ზონტას ავარიების გამო ფრანგული საბურავების მწარმოებლებმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას (ფია) თხოვნით მიმართეს, ჩვენს მიერ აღჭურვილი შვიდივე გუნდის ბოლიდებზე საბურავების გამოცვლის უფლება მოგვეცითო. ფია შეუვალი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ახალი წესები საბურავების გამოცვლას კრძალავს. რბოლის ხელმძღვანელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო "მიშლენის" წინადადების გათვალისწინება, თუ ათივე საჯინიბო ფრანგ მწარმოებელს სოლიდარობას გამოუცხადებდა.

სოლიდარობა არ შედგა. "მიშლენის" წინადადებას მხოლოდ "ფერარი" არ დაეთანხმა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო.

უილიამსელებმა, მაკლარენელებმა, რენოელებმა, ტოიოტელებმა და მათმა მრბოლებმა განაცხადეს, რომ ტრასაზე გასვლა მათი სიცოცხლისთვის სახიფათო იქნებოდა, ხოლო თუ ფია-ს საწინააღმდეგოდ რბოლის მიმდინარეობისას მაინც გადაწყვეტდნენ საბურავების გამოცვლას, სერიოზულ სანქციებს თავს ვერ დააღწევდნენ და, ალბათ, მოპოვებულ ქულებსაც დაკარგავდნენ. არადა, "მიშლენმა" საფრანგეთიდან ამერიკაში სასწრაფოდ საბურავების ახალი კომპლექტი ჩააფრინა.

საჯინიბოთა ბოსებმა გადაწყვიტეს, ახალი საბურავების ნაცვლად "მიშლენისგან" ტრასის იმ საბედისწერო მონაკვეთის გადაკეთება მოეთხოვათ, რაც სიჩქარის დაგდებისკენ იყო მიმართული. აქედანაც არაფერი გამოვიდა.

გადაწყვეტილება კი ასეთი იყო: ვისაც გინდათ გადით და "დიდი პრიზი" გაითამაშეთ. სტარტზე ათივე გუნდის ბოლიდი გავიდა, მაგრამ გასახურებელი წრის შემდეგ ყველა იმ საჯინიბომ, რომელიც "მიშლენის" საბურავებით იყო აღჭურვილი, ძირითად რბოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ასე რომ, "აშშ-ის დიდი პრიზი" ბრიჯსტოუნელებმა - "ფერარიმ", "მინარდიმ" და "ჯორდანმა" გაითამაშეს.

ერთი სიტყვით, ექვსი მონაწილისგან შემდგარმა რბოლამ აშშ-ში სამეფო რბოლების იმიჯზე გავლენა იქონია. საბურავების იაპონურმა მწარმოებელმა "ბრიჯსტოუნმა" და მათმა ბოლიდებმა კი "აშშ-ის დიდი პრიზი" გაითამაშეს შესაბამისი თანმიმდევრობით: მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო ("ფერარი"), ტიეგო მონტეირო, ნარაიან კარტიკეიანი ("ჯორდანი"), კრისტიან ალბერსი, პატრიკ ფრიზახერი ("მინარდი").

რბოლაზე არაფერს ვამბობთ, რადგან ეს უფრო სპექტაკლი იყო. ამას სკუდერიელებიც აცნობიერებდნენ და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ დაჯილდოების ცერემონიალზე კვარცხლბეკზე მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით იდგნენ. ერთადერთი, ვინც უზომოდ გახარებული ჩანდა, პორტუგალიელი ტიეგო მონტეირო იყო, რომელმაც "მიშლენის" წყალობით კარიერაში პირველად დაიკავა საპატიო ადგილი. შამპანურითაც მარტომ იწუწავა, რადგან შუმახერმა და ბარიკელომ ჰიმნის შესრულებისთანავე გაყინული სახეებით დატოვეს კვარცხლბეკი.

..."ინდიანაპოლისი" დიდხანს იქნება სჯა-ბაასის საგანი. ბოლომდე არც ისაა გარკვეული, გაითვალისწინებენ თუ არა "აშშ-ის დიდი პრიზის" შედეგებს.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25

„მერსედეს-ბენც ბიონიკ ქარ" - ბუნების მიერ ნაკარნახევი დიზაინი

თევზმა სახელად "ბოქსფიშ" სამქიმიანებს იდეალური აეროდინამიკური მონაცემების მქონე ავტომობილი შეაქმნევინა.

თანამედროვე კონსტრუქტორები და დიზაინერები, რომლებიც ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროში მუშაობენ, სულ უფრო ხშირად ეკითხებიან ჭკუას დედა-ბუნებას და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ გზით ხშირად შედევრებს ქმნიან.

ბუნებისგან მაგალითის მიღების შესანიშნავი ნიმუში ახლახან "დაიმლერკრაისლერის" კონსტრუქტორებმაც შემოგვთავაზეს, რომელთა ქმნილებაც, სახელად "მერსედეს-ბენც ბიონიკ ქარ", კომპანიამ ახლახან წარუდგინა მასმედიას და რომელმაც სპეციალისტთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

გერმანულ-ამერიკული კონცერნის ინჟინრები მიზანმიმართულად ეძებდნენ ბუნების ისეთი ფორმის ქმნილების ნიმუშს, რომლის მიხედვითაც, ისინი ახალ, უნიკალური მოყვანილობისა და საუკეთესო აეროდინამიკური ფორმების მქონე ავტომობილს შექმნიდნენ.

ერთი შეხედვით, მათ ამისათვის კარგად გამოადგებოდათ დელფინისა და ზვიგენის ფორმები. თუმცა, ასეთი ავტომობილი მხოლოდ გამოფენისთვის თუ ივარგებდა, რადგან კორპუსის გარეთ გამოტანილი ბორბლები მთლიანად გააფუჭებდნენ სადა ფორმებსა და აეროდინამიკას, წყლის წვეთის მსგავსი კონსტრქციის შიგნით კი ძალიან გაძნელდებოდა როგორც აგრეგატების, ისე სამგზავრო ადგილების განთავსება. მოკლედ, ზვიგენი და დელფინი ამ საქმეში არ გამოდგებოდნენ.

სასურველი ფორმის მოძებნაში კონსტრუქტორებს დახმარება გაუწიეს ბიოლოგებმა, რომელთა მითითებითაც, არჩეულ იქნა ერთი, საკმაოდ უცნაური ფორმის პატარა თევზი, რომელსაც თავისი ოთხკუთხა მოყვანილობის გამო, "ბოქსფიშს" (ყუთთევზა) უწოდებენ. ეს თევზი ტროპიკულ წყლებში ბინადრობს. ის ოთხკუთხა გარეგნობისაა და ერთი შეხედვით, ზანტადაც მოსჩანს. რეალურად კი, საკმაოდ მოქნილი და სწრაფია. მისი განივკვეთი ოთხკუთხა მოყვანილობისაა, რაც მის საავტომობილო "საწყისად" გმოყენების საშუალებას ქმნიდა. ჰოდა, კონსტრუქტორებსაც ბევრი არ უფიქრიათ - მაშინვე საქმეს მოჰკიდეს ხელი.

სხვათა შორის, ამ თევზს ბუნებამ საფრთხისგან თავის არიდება ასწავლა. ის მეტწილად მარჯნებში ცხოვრობს, სადაც მუდმივად უწევს მტაცებლებისგან თავის დაღწევა. თანაც, ამას ისე აკეთებს, რომ მინიმალურად ხარჯავს ენერგიას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის ცხოვრებაში. გარდა ამისა, მისი ტანი დაცულია როგორც მაღალი წნევისგან (წყლის ქვეშ დიდი ხნით ყოფნისას), ასევე მექანიკური ზემოქმედებისგანაც.

"ბოქსფიშის" კანი უამრავი ძვლოვანი ქერცლითაა დაფარული, რომლებსაც ექვსკუთხედის ფორმა აქვთ. ეს ქერცლი ერთგვარ ჯავშანს ქმნის, მთლიანობაში კი ამგვარი სტრუქტურა თევზს დიდ სიმტკიცეს და სიხისტეს ანიჭებს, რაც მას ჭრილობებისგან და საერთოდ, დაზიანებისგან იცავს. თანაც, ეს მისი უნიკალური მანევრულობის ერთ-ერთი საიდუმლოცაა - როცა მოძრაობაშია, თევზის ზურგსა და მუცელზე, სწორკუთხა ნაპირებში, წყლის ნაკადის მცირე გრიგალისებრი ჭავლები წარმოიქმნება, რასაც ის თავისი მოძრაობის სტაბილიზაციისთვის იყენებს.

კონსტრუქტორებმა შექმნეს "ბოქსფიშის" კომპიუტერული მოდელი და მისი მეშვეობით, მასშტაბური მოდელიც დაამზადეს, რომელიც ინტენსიურად გამოსცადეს აეროდინამიკურ მილში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თევზის მოყვანილობა აეროდინამიკური თვალსაზრისით ახლოსაა იდეალურთან - მისი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი მხოლოდ 0.06(!!!) აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, როცა თევზის ფორმა ავტომობილისას მიესადაგა, მისი აეროდინამიკური გარსშემოდენილობაც გაუარესდა. თუმცა, ეს მოსალოდნელიც იყო - ავტომობილი ავტომობილს უნდა ჰგავდეს და არა თევზს. ოღონდ, ამ ტრანსფორმაციის შემდეგაც, მზა ავტომობილის აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტმა უკლებლივ ყველა სპეციალისტზე შთაბეჭდილება მოახდინა. ეს კოეფიციენტი მხოლოდ 0.19-ს შეადგენს. ეს მაშინ, როცა ავტომობილი გამოსადეგია ყოველდღიური მოხმარებისთვის და ის შეესაბამება პასიური უსაფრთხოებისა და კომფორტის თანამედროვე სტანდარტებს.

ცნობისათვის, თანამედროვე სერიული ავტომობილების აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი 0.28-0.35-ს შორის მერყეობს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია უფრო დაბალი მაჩვენებლის მიღწევა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ავტომობილი ინდივიდუალობას კარგავს და სხვადასხვა კომპანიების პროდუქციაც ერთმანეთს დაემსგავსება. ეს კი ჩიხია.

"ბიონიკური ავტომობილის" სიგრძე 4.24 მეტრია, სიგანე - 1.82 მეტრი, სიმაღლე კი - 1.59 მეტრი. მას სულ ორი კარი აქვს, რომლებიდანაც ადამიანი ადვილად თავსდება როგორც წინა, ისე უკანა სავარძლებზე. ავტომობილით მგზავრობა მხოლოდ 4 ადამიანს შეუძლია.

შტუტგარტული "ბიონიკ ქარი" აღჭურვილია 140-ცხენისძალიანი დიზელის აგრეგატით, რომელიც გამოირჩევა როგორც შესანიშნავი ეკონომიურობით, ასევე გამონაბოლქვის არნახული სისუფთავითაც. კერძოდ, მის გამონაბოლქვში აზოტის ოქსიდის შემცველობა დაახლოებით 80 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე თანამედროვე დიზელებისაში.

რაც შეეხება ეკონომიურობას, საკუთრივ ძრავისა და ავტომობილის შესანიშნავი აეროდინამიკური მახასიათებლების წყალობით, "ბიონიკური ავტომობილი" შერეული ციკლით მოძრაობისას, ყოველ ას კილომეტრზე მხოლოდ 4.3 ლიტრ დიზელის საწვავს მოიხმარს. და თუ მისი სიჩქარე მუდმივად 90 კმ/სთ იქნება, მაშინ მხოლოდ 2.8 ლიტრ დიზელს (!) დაწვავს.

"ბიონიკ ქარის" მაქსიმალური სიჩქარე 190 კმ/სთ-ს აღწევს, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს კი 8.2 წამში ავითარებს.

კონსტრუქტორებმა კიდევ ერთ სფეროში გამოიყენეს ბუნების მაგალითი. მათი იდეა დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ მზარდ ორგანიზმში მეტწილად ძლიერდება ის ქსოვილი, რომელიც ყველაზე მეტადაა დატვირთული. ამასთან, ზედმეტი ქსოვილი შორდება იმ ნაწილს, რომელიც ნაკლებ დატვირთვას განიცდის.

მათ გამოიყენეს კომპიუტერული გამოთვლების ახალი მეთოდი, რომელსაც ავტორებმა "რბილი მოშორების არჩევანი" უწოდეს. ამ მეთოდით, მათ საშუალება ჰქონდათ, ძარის სიხისტის გასაზრდელად, გასამაგრებელი დეტალები დაემაგრებინათ ეგრეთ წოდებულ კრიტიკულ კვანძებში და ზედმეტი მოეშორებინათ იქიდან, სადაც მათი ნაკლები საჭიროება იყო. შედეგად, ავტომობილის კონსტრუქცია მეტად მტკიცე, ხისტი და მსუბუქი გამოვიდა. სხვათა შორის, ორივე კარის სიხისტის გასაზრდელად, კონსტრუქტორებმა სწორედ თევზის ექვსკუთხა დანამატები გამოიყენეს.

საბოლოო პროდუქტი საკმაოდ უცნაური ფორმისა გამოვიდა როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც. რაც მთავარია, "სამქიმიანებმა" კიდევ ერთხელ დაანახეს კონკურენტებს, რომ პრაქტიკულად ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნიათ.

რეალურად, "მერსედეს-ბენც ბიონიკ ქარი" მხოლოდ საჩვენებელ ექსპონატად თუ გამოდგება და ადრე თუ გვიან, მას შტუტგარტში, კონცერნის მუზეუმში მიუჩენენ ადგილს, თუმცა არაა გამორიცხული, მასში გამოყენებული ტექნოლოგიებიდან ზოგიერთმა ახლო მომავალში, წარმოებაშიც ჰპოვოს გამოყენება.

მთვარემდე მანძილი სამ თვეში

2005 წლის 2 მაისს, აშშ-ის შტატ ტექსასის ქალაქ ლორედოს ავტოდრომზე უჩვეულო რბოლა დასრულდა - დიზელის ძრავებით აღჭურვილმა სამმა სერიულმა "მერსედესმა" სამთვიანი უწყვეტი "მოგზაურობის" შემდეგ, 160.9 ათასი კილომეტრი განვლო და რამდენიმე რეკორდი დაამყარა ამ ტიპის ძრავიანი ავტომობილების ეკონომიურობაში.

სამივე ავტომობილი თითქმის მაქსიმალური სიჩქარით მოძრაობდა და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა ავზებში ჩასასხმელი იყო საწვავი, შესაცვლელნი იყვნენ პილოტები და გამოსაცვლელი იყო ზეთის ფილტრი, ან ჩასამატებელი იყო ზეთი.

შედეგად, კომპანია "მერსედეს-ბენცმა" დიზელისძრავიან ავტომობილებს შორის რამჟენიმე რეკორდი დაამყარა. სამმა ავტომობილმა უწყვეტად იარა სამი თვის განმავლობაში და ამ დროში თანმიმდევრულად დაფარა 50 ათასი მილი, 100 ათასი კილომეტრი და 100 ათასი მილი (160.9 ათასი კილომეტრი). ამ წრიული "ვოიაჟის" დროს ავტომობილებმა ერთობლიობაში იმაზე მეტი მანძილი გაიარეს, ვიდრე მთვარეა დაშორებული ჩვენი პლანეტიდან. თანაც, მათ არაფერი დაზიანებიათ.

სულ სამივე ავტომობილმა ერთად 966 გეგმიური პიტ სტოპი შეასრულა. ამ სამი თვის განმავლობაში კი სამივე ავტომობილის მოსამსახურებლად სრულ მზადყოფნაში იყო მექანიკოსებისა და ინჟინრების 26-კაციანი ჯგუფი, ავტომობილების საჭესთან კი ერთმანეთს სულ 6 პილოტი (თითო მანქანაზე ორ-ორი) ენაცვლებოდა. შედარებისთვის, ლე მანის 24-საათიანი რბოლის დროს, ერთ პილოტს მიყოლებით რვა საათზე მეტხანს ავტომობილის მართვა ეკრძალება.

ეს უჩვეულო რბოლა ლორედოს წრიულ ავტოდრომზე, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) სპეციალისტთა უწყვეტი მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდა. სწორედ მათი მეთვალყურეობის წყალობით, რეკორდი ოფიციალურად დაფიქსირდა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს ავტომობილები (E320 CDI) FIA-ს სპეციალისტებმა შემთხვევით შეარჩიეს კომპანიის ამწყობ კონვეიერზე. ესე იგი, სამივე ავტომობილი გასაყიდად მზადდებოდა და ისინი მწარმოებელს სპეციალურად ამ გარბენისთვის არ მოუმზადებია. გერმანულ საწარმოში შერჩეული ავტომობილები, იმავე სპეციალისტების მეთვალყურეობით, აშშ-ში გადაგზავნეს.

"დიდი" რეკორდების გარდა, შტუტგარტელთა ავტომობილებმა "მცირე" რეკორდებიც გააუმჯობესეს. მაგალითად, დიზელისძრავიანი ავტომობილებისთვის გაუმჯობესდა ათი კილომეტრის და ათი მილის, ასი კილომეტრის და ასი მილის, ასევე ხუთასი კილომეტრის და ამდენივე მილის, ათასი კილომეტრის და ამდენივე მილის, და ა.შ. რეკორდები.

საბოლოოდ, 30 დღის შემდეგ ფანტასტიკური შედეგი დაფიქსირდა - სამივე ავტომობილმა ამ დროში ას-ასი მილის გავლა მოახერხა, მათი საშუალო სიჩქარე კი (გაჩერებების გათვალისწინებით!) 224.823 კმ/სთ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, იმის მიუხედავად, რომ პილოტები მანქანებს ფინიშისკენ თითქმის მაქსიმალური სიჩქარით ერეკებოდნენ, "სამქიმიანებმა" საკმაოდ დაბალი აპეტეტი გამოამჟღავნეს - თითოეული მათგანი საშუალოდ 100 კილომეტრზე 5.88 ლიტრ საწვავს მოიხმარდა.

ასეთი უჩვეულო ექსპერიმენტი კი შტუტგარტელებს იმისათვის დასჭირდათ, რომ რეკლამა გაეწიათ თავიანთი ახალი პროდუქტისთვის - სრულიად ახალ ძრავ "მერსედეს V6 CDI-სთვის", რომლის მუშა მოცულობა 3.20 ლიტრია, მაქსიმალური სიმძლავრე კი - 224 ცხენის ძალა. ეს აგრეგატები წელს "მერსედესების" კაპოტქვეშ დაიკავებენ 5 და 6 ცილინდრიანი (რიგში განლაგებული ცილინდრებით) ძრავების ადგილს.

კომპანიის წარმომადგენლები განსაკუთრებით იმით ამაყობენ, რომ ასეთ მძიმე გამოცდას გაუძლო არა სამიდან ერთმა ავტომობილმა, არამედ, სამიდან სამმა! განსაკუთრებით კი ისინი იმ ფაქტმა გაახარა, რომ ბოლომდე გამართულად იმუშავა მაკრონაწილაკების ახალმა ფილტრმა, რომელიც გამონაბოლქვ აირებს ასუფთავებს და ისინი ევროპის მკაცრ ეკოლოგიურ ნორმებთან შესაბამისობაში მოჰყავს.

ორიოდე სიტყვა ამ ძრავზეც უნდა ითქვას. მას აქვს საწვავის საერთო მიმწოდებელი, საიდანაც საწვავი პიეზომფრქვევანებს მიეწოდება. ეს მფრქვევანები თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად მუშაობს, ვიდრე მისი წინამორბედები. რა თქმა უნდა, მფრქვევანადან საწვავი უშუალოდ წვის კამერას, მაშინ მიეწოდება, როცა იქ საწვავი ნარევის წნევა მაქსიმუმს აღწევს და ის მზადაა ასაფეთქებლად.

მთელი ამ სისტემის გამართულ მუშაობას აკონტროლებს უამრავი გადამწოდი, რომელთაგან შემოსულ ინფორმაციასაც კომპიუტერი ამუშავებს და შემდეგ შესაბამის ბრძანებას იძლევა. რაც შეეხება გამოსაბოლქვ სისტემას, ის შტუტგარტული კომპანიის კონსტრუქტორთა განსაკუთრებული სიამაყის მიზეზია. "სამქიმიანები" იმედოვნებენ, რომ ამ სისტემის მეშვეობით, ისინი დააკმაყოფილებენ გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობის ყველაზე მკაცრ, კალიფორნიულ ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ "მერსედეს-ბენცს" ამ აგრეგატით თავისუფლად შეუძლია, ლიდერის როლი მოიპოვოს ეკონომიურობასა და ეკოლოგიურობაში. ეს იმ დროს, როცა ბევრი ავტომწარმოებელი გამალებით მუშაობს ჰიბრიდული და ფიჭურ ელემენტებზე მომუშავე აგრეგატების შექმნაზე. ამ მხრივ, გამონაკლისი არც შტუტგარტული კონცერნია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ სფეროში, ტექნოლოგიური გარღვევა კიდევ რამდენიმე წელი არაა მოსალოდნელი.

ასე რომ, ახლო მომავალში "მერსედეს-ბენცს" ეკოლოგიური და ეკონომიური ავტომობილების წარმოებაში ლიდერის პოზიციები გარანტირებული აქვს. მითუმეტეს, რომ მთელს მსოფლიოში სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს დიზელის აგრეგატებით აღჭურვილი ავტომობილები.

R-კლასის „მერსედეს-ბენცი" - უმაღლესი კლასის ტურიზმისათვის

გერმანული კომპანია "მერსედეს-ბენცი" სულ უფრო აფართოებს თავის სამოდელო გამას და ბაზრის ყველა იმ ნიშის შევსებას ცდილობს, რომლის შესაფერისი ავტომობილებიც მყიდველთა შორის მზარდი პოპულარობით სარგებლობს. თანაც, თავის ახალ ავტომობილებს ჯიუტად ნათლავს ალფა-ბეტის სხვადასხვა ასოებით. ამჯერად ჯერი ასო R-ზე შეჩერდა.

ლაპარაკია R-კლასის "მერსედეს-ბენცზე", რომლის პროტოტიპი, სახელად "გრანდ სპორტს ტურერ" (GST) შტუტგარტელებმა პირველად სამი წლის წინ, დეტროიტის ავტოსალონზე წარმოადგინეს. ამჯერად კი, ნიუ იორკის ავტოსალონზე, კომპანიამ ამ ავტომობილის სერიული ვარიანტი წარადგინა. იქვე გამოცხადდა, რომ R-კლასის "ბენცის" გაყიდვები აშშ-ში წელსვე, შემოდგომაზე დაიწყება, ევროპაში კი ის პირველად მერმის, წლის დასაწყისშივე გამოჩნდება.

R-კლასის "მერსედეს-ბენცი" ქროსოვერების კლასის ახალ თაობას განეკუთვნება. კონსტრუქტორებმა სცადეს მასში ერთბაშად სამი ტიპის - სპორტულის, უნივერსალისა და უგზოობის ავტომობილების თვისებათა შერწყმა და ეს შესანიშნავად გამოუვიდათ.

პირველი, რაც ამ ავტომობილის ნახვისას თვალში საცემია, არის მისი სოლიდური გაბარიტები, ერთმოცულობიანი ძარა და სამ რიგად განლაგებული სავარძლები ჩასაჯდომი ფორმულით 2+2+2. ავტომობილის სიგრძეა 5.16 მეტრი, რაც წარმომადგენლობითი კლასის ბევრი ავტომობილის სიგრძეზე მეტია.

სავარძლების სამი რიგის განლაგებისთვის კონსტრუქტორებმა კარგად გამოიყენეს ავტომობილის სიგრძე და ბორბლებს შორის ბაზა, რომლის სიგრძე 3.215 მეტრია. სალონში დიდი მოცულობა 6 ადამიანზე ნაწილდება. ამასთან, თითოეულზე განცალკევებული სავარძელია გათვალისწინებული.

სალონის აღჭურვილობა შეესაბამება ბიზნეს-კლასის სედანებისას. ამასთან, დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, წინა სავარძლების ზურგზე შესაძლებელი იქნება მონიტორის დაყენება, რაც უკანა მგზავრებს მოემსახურება. ასევე დამატებითი საფასურის სანაცვლოდ, მწარმოებელი მყიდველს შუშისსახურავიან ავტომობილს მიაწვდის. სამაგიეროდ, სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის ორზონიანი კლიმატ-კონტროლი, ზედმეტი თანხის ფასად კი მყიდველი სამზონიან სისტემასაც მიიღებს.

საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება 2 მეტრზე მეტი სიგრძის მქონე საგნები.

დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში, მყიდველი მიიღებს პნევმატური დრეკადი ელემენტების მქონე, თვითრეგულირებადი საკიდარით აღჭურვილ ავტომობილს, რომელიც გზის საფარის ტიპისა და ხარისხის შესაბამისად, ავტომატურად იცვლის კლირენსს (დაშორება ავტომობილის ძირსა და გზის საფარს შორის) და დრეკადობას და უზრუნველყოფს მგზავრთა მაქსიმალურ კომფორტს.

R-კლასის "მერსედეს-ბენცისთვის" გათვალისწინებულია სამი ძრავი - ორი ბენზინისა და ერთიც დიზელის. ამ უკანასკნელის კონფიგურაციაა V6, მუშა მოცულობა - 3 ლიტრი, სიმძლავრე კი - 224 ცხენის ძალა. მისი მეშვეობით სპორტული უნივერსალ-მინივენი ადგილიდან 100 კმ/სთ-ს აკრეფას 8.8 წამში ახერხებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 215 კმ/სთ-ს აღწევს.

ბენზინის აგრეგატებიდან ერთია 3.5-ლიტრიანი V6, რომლის სიმძლავრე 272 ცხენის ძალაა (100 კმ/სთ-მდე აჩქარება 8.3 წამში, მაქს.სიჩქარე კი - 230 კმ/სთ). R-კლასის ტოპ-ვერსია კი აღიჭურვება V8, 5-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრე 306 ცხენის ძალაა. ამ აგრეგატით ავტომობილის აჩქარება უკვე 6.9 წამია, მაქსიმალური სიჩქარე კი - 240 კმ/სთ.

საბაზო აღჭურვილობაში (აშშ-ის ბაზრისთვის), ყველა ძრავთან შეწყვილდება 7-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ასევე შესაძლებელია (დამატებითი თანხის სანაცვლოდ) მექანიკური კოლოფის დაყენებაც. შესაძლოა, მექანიკური კოლოფი სტანდარტული იყოს ევროპისთვის განკუთვნილი ავტომობილებისთვის.

R-კლასის ავტომობილების წარმოება მოხდება "მერსედეს-ბენცის" ამერიკულ ქარხანაში, რომელიც ალაბამას შტატში მდებარეობს და რომელიც ცნობილია იმით, რომ უშვებს M-კლასის უგზოობის ავტომობილებს. ჯერჯერობით ცნობილი არაა სიახლის ფასი, რომელიც გაყიდვების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდება.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

ბოლნისის რაიონის გამგეობა (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106, რაიონის გამგეობის შენობა, სს "საქართველოს ბანკი" ა/ა 3303000001) აცხადებს ღია ტენდერს დაბა კაზრეთის №1 საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი სამუშაოების აღწერილობა:

1. დაბა კაზრეთის №1 საშუალო სკოლის I და II სართულზე ჩატარდეს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. აღდგეს წყალსადენ კანალიზაციის შიდა და გარე ქსელი. ჩატარდეს ფასადების მოსაპირკეთებელი და ელმომარაგების სამუშაოები.

2. მიწოდების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ასოცი) დღემდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 6 ივლისიდან 8 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამგეობის შენობა, I სართული), სატენდერო კომისიის აპარატში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე სახელმწიფო ლიცენზიას (ასლი).

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 13 ივლისამდე, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამგეობის შენობა).

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, რაიონის გამგებლის მოადგილე ბ. რეხვიაშვილი (ტელ: 899 155770), მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №106 (რაიონის გამრეობის შენობა, III სართული).

სატენდერო კომისია

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე:

ა) პრემიუმი - 10000 ლიტრი;

ბ) რეგულარი -40304

გ) დიზელი L - 62 - 75796 ლიტრი.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 4 ივლისის 10 საათიდან 11 ივლისის 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. ძმები ზუბალაშვილების ქ N32(შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან)

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის შემდეგ ცნობებს:

ა) ბანკიდან - რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არა აქვთ დავალიანებები;

ბ) საგადასახადოდან - რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები;

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 2005 წლის 27 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან)

6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ქეთი სირაძე. ტ: 935696

სატენდერო კომისია

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გსურთ მონაწილეობა მიიღოთ ქართული ტელევიზიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ გადაცემაში?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის ერუდირებულ, თამამ, მონებაგებსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მობების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა

საკონტაქტო ტელეფონი "რუსთავი 2" არ არის საჯარო, ამიტომ, მითითებული თქვენ არა მოგიწევთ, თანატოლებისგან განსხვავებით "ექსტა ბალით". ასევე მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ინტერესი. ეს ანკეტა ფასდება ასევე ინდივიდუალური განსხვავებით, ექსტა ბალით ჩვენს ხელშია ის პრივილეგია.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

საკონტაქტო პირები "რუსთავი 2" / თამარ ეფრემოვი/ ნანა ბერიძე "ექსტა ბალით" / ვაჟა-ფშაველას ქ. 0177 თბილისი

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, განა სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსახული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა

21 ივნისისი, ორშაბათი

რუსთავი - 2

07.30 დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "იმპერიის დაცემა" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **22.45** კონფედერაციის თასი. ავსტრალია-ტუნისი **00.45** მხ. ფილმი "ალ კაპონეს ბიჭები" (18) (მარკ უორნი) **02.10** პატრული

08.00 "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მატქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "პრემიერა" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** "ჰოლმარკი" - "ჯონსონის მხარის ომი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობის გიდი" **22.00** დოკ. ფილმი "სამყაროს დასასრული" **22.45** ფეხბურთი. კონფედერაციის თასი. არგენტინა-გერმანია. **00.45** მხ. ფილმი "ღიმილის ბიჭები" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "განწმენდა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მხ. ფილმი "სპირალი" 1-ლი ს. **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "გამარჯვების დღე ", "მეიდანი - სამყაროს ჭიპი" **23.45** მხ. ფილმი "ღმერთის სახელით" (გ)

მეორე არხი

19.00 სერიალი "ცხელი ზაფხული" 1ს. მე-2 ნ. **19.50** "ბაბილინა" **20.00** მულტსერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ექსცენტრიკოსები" **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** კინოსეანსი "მომხიბვლელი თოვლის ქალი"

იმედი

07.00 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "დრონგო" **12.20, 17.10, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.35** ტვ-მარკეტი **13.15** ვაკაჭინიუსი **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" **22.40** პირველები **23.45** მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" (12) (მ. გიბსონი) **02.10** ვაკაჭი-ნიუსი **02.40** მხ. ფილმი "იმიტატორი" (15) (ს. უივერნი) **05.00** "ნბა". ფინალური სერიის მატჩი.

აჭარა

08.00 მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექჯია" **10.45** კომედია "ჯენისი და ჯონი" **12.40** მხ. ფილმი "ერთხელ მიდლენდში" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **15.00** ბოევიკი "სამურაების შერკინება" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "ჩაიუორტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** სათავ. ბოევიკი "ერიკი" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "ბოროტი ქალი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

OPT

06.00 "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Николай Олялин в фильме **"МИРОВОЙ ПАРЕНЬ" 13.50** "В.Молотов. Арест жены и опала". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 17.30** "Пять вечеров". **18.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.30** Спецрасследование. "Взятка за экзамен". **23.30** Дневник Московского кинофестиваля. **23.40** Том Круз в фильме **"ИНТЕРВЬЮ С ВАМПИРОМ".** Новый Орлеан, 1791 год. Владельца плантации Луи дю Лака постигло страшное горе - умерла любимая жена. С ее уходом пропало и желание жить. Именно в этот трудный период он познакомился с обаятельным вампиром Лестатом, предложившим ему войти в их мир и стать существом ночи. От отчаяния Луи решил, что это выход - и согласился. Но сосать кровь и убивать людей совсем не просто, если душа еще не умерла. **02.00** Кармело Гомес в комедии **"ПРОЖИГАЯ ЖИЗНЬ".** Мартин долго терзался и, наконец, принял решение свести счеты с жизнью: устал. Но напоследок решил совершить эффектный жест. Почему бы хоть немного не пожить, как хочется? И занял у мафии миллион долларов под 50 процентов. Отдавать ведь все равно не надо! Но всего не просчитаешь. И в безупречный план горе-самоубийцы закрадывается непредвиденное обстоятельство: мексиканская красавица-официантка Лола. В мгновение ока она отбивает у Мартина желание отправиться на тот свет. Однако теперь, ему, окрыленному внезапно вспыхнувшей страстью, придется выкручиваться из сложной ситуации... **04.10** Сериал Сидни Шелдона **"ИНТРИГАНКА". 05.10** Док. фильм "Голливудские преступления".

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოუგაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ველით ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მოსაწვილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ჯაჯო ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა

MAKI
Fujitsu-Siemens-ის პრემიერ-პარტნიორი გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$-დან
2 წლიანი გარანტიით
AMD Athlon 64
დღგ-ს ჩათვლით!!!
კომპიუტერებს - 298$-დან
განვადებით
15 თვიანი გარანტიით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

London School ot Commerce (LSC) ფინანსური ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლა STM (ლონდონი) გთავაზობთ მაღალი ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიის და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან, ეს ის ადგილია სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი.
პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება.
University of sunderland (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისევ ლონდონი UEL (გაერთიანებული სამეფო) და iniversity of Wales 'Newport (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტებთან ერთად.
პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ იანვარი/აგვისტო/ოქტომბერი, მორიგი კურსის დაწყების თარიღი 2005 წლის 3 აგვისტო.

MBA
MSc
სრული კურსის ფასი £3950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მიღწევა ღირებულებაა £ 5950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიის და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის: თბილისი, მაჩხეთის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

საქართველოს მარგალიტ ბედიაზე ახალგაზრდებმა ფილმი გადაიღეს

ირმა კახურაშვილი

ბედია ფოტოებზე

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში 25- წუთიანი დოკუმენტური ფილმი "ბედიის მონასტრის" პრემიერა და ფოტოგამოფენა, პროექტის - "აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის" ფარგლებში გაიმართა. ფილმის ავტორი ისტორიის ფაკულტეტის მესამეკურსელი თეა შარიაა, რეჟისორი კი ტარიელ სოხაძე. ჩვენების ორგანიზატორთა განცხადებით, მათი მთავარი მიზანი აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია იყო.

ოჩამჩირის რაიონში არსებული ბედიის სამონასტრო კომპლექსში აღდგენითი სამუშაოები უკანასკნელად 1952 წელს ჩატარდა. გადარჩენილი ორნამენტული ფრაგმენტების მიხედვით, თავდაპირველად ბედია მეათე-მეთერთმეტე საუკუნის მიჯნაზე ააგეს, ახლანდელი ნაგებობა კი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებით თარიღდება. ტაძრის კედლებზე შემორჩენილი იყო მოხატულობის ფრაგმენტები, სამხრეთ აღმოსავლეთის კედლის ნაწილში კი ბაგრატ მესამეს და დადიანთა გვარის წარმომადგენლების გამოსახულება. ამჟამად ბედია სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს.

ფილმის იდეის ავტორის, გალელი თეა შარიას თქმით, ის სამონასტრო კომპლექსით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაპარტახებული ბედია ერთ-ერთი სახაფხულო დასვენების დროს იხილა. სხვათა შორის, 90-იანი წლებში ტელეარხებით გავრცელებულმა ინფორმაციამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთის ომის პერიოდში დაინგრა. სინამდვილეში ბედია გადარჩა, თუმცა მისი კედლები და გუმბათი სერიოზულად შეილახა.

"უსახსრობის გამო ფილმის გადაღება რამდენჯერმე გადაიდო, მაგრამ ღვთის წყალობითა და ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიზანს მივაღწიეთ. ვფიქრობ, აფხაზსა და ქართველ ძმებს შორის მშვიდობიანი მოლაპარაკება სწორედ ბედიიდან უნდა დაიწყოს," - მიიჩნევს თეა შარია.

"შევეცადეთ ბედიის ისტორია მაქსიმალურად წარმოგვეჩინა. სამწუხაროდ, მის შესახებ ისტოროიულ წყაროებშიც კი ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. რაც შეეხება დღევანდელ თაობას, მის შესახებ მან არაფერი იცის. დარწმუნებული ვარ, რომ უკეთესი ფილმის გადაღებაც შეიძლებოდა, მაგრამ ხელი უფინანსობამ შეგვიშალა," - ამბობს რეჟისორი ტარიელ სოხაძე და ხუმრობით ამატებს, რომ ფილმი "ნისიადაა გაკეთებული".

"ბედიის მონასტრის" გადამღები ჯგუფი და ორგანიზატორები (ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო და საველმოქმედო ფონდი "ქოლგა") იმედოვნებენ, რომ მათი ნაშრომის ჩვენება აფხაზეთშიც გაიმართება და ეს ხელს შეუწყობს გატეხილი ხიდის გამთელებას.

"ბედია არა მხოლოდ ხუროთმოძღვრების ძეგლია, არამედ ქართული სახელმწიფოს ერთიანობის, მთლიანობისა და ძლიერების სიმბოლო. ის სიმბოლურად ასახავს ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას. ვიდრე აფხაზეთი არ მოიაზრება საქართველოს სივრცეში, შეუძლებელია ქართული ერის თვითმყოფადობის აღქმაც," - განაცხადა ფილმის პრეზენტაციაზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელმა.

აფხაზეთის კულტურისა და განათლების მინისტრი სალომე კაპანაძე მადლიერებით აღნიშნავს გადამღები ჯგუფის საოცარ პრინციპულობასა და თავდადებას და ეს მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ ვერ მოახერხა მათი დაფინანსება.

ფილმის დამონტაჟებაში დიდი წვლილი მიუძღოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსაც, რომლებიც ბედიის სამონასტრო კომპლექსს 80-იან წლებში იკვლევდნენ. ახლა მოპოვებულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით კი დღეს ქართველი მეცნიერები თამამად აცხადებენ - ბედიის ტაძრის აღდგენა სავსებით რეალურია.

ჯერჯერობით ფილმისა და ფოტოგამოფენის ავტორებს ფინანსური მხარდაჭერა მხოლოდ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გაუწია. დასამალი როდია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრის აღდგენა ფინანსურის გარდა პოლიტიკურ პრობლემებსაც უკავშირდება. თეა შარიას თქმით, როცა გადამღებმა ჯგუფმა ტაძრის საკურთხეველს ქართული დროშა გადააფარა, საქართველოს პატრიარქის მიერ ნაბოძები სანთლები დაანთო და ქართულ საგალობელთა კასეტა ჩართო, ახლო-მახლო მდებარე სოფლიდან აფხაზი ახალგაზრდობა ამოვიდა და მათი ვინაობით დაინტერესდა... "კონფლიქტი არ გვქონია, გასაყოფი არაფერი გვაქვს, ერთმანეთს უნდა მოვუფრთხილდეთ და ეს აფხაზებმაც იციან," - ამბობს ფილმის ავტორი.

სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში "აფხაზეთის მარგალიტად" წოდებული ბედია, რომელის კედლებმა არა მხოლოდ დროის ქარტეხილებსა და ომებს გაუძლო, დღეს ხელისუფლების ყურადღებას იმსახურებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში აფხაზეთის ე.წ. მთავრობაც გეგმავს "მის" ტერიტორიაზე არსებული ტაძრების მონიტორინგს.

სამეფო უბნის თეატრი
თბილისის I კლასიკური მიმნაზიის საბავშვო სტუდია
სამხატვრო კრება AWORD ცნობისმიდვნი
ბენეფისური სპონსორი
25-26 ივნისი
საძაგელი იხვის ჭუჭული
მუსიკა – ვეტრე ჩაიკოვსკი
დედგმა – თამარ ვაშაკიძე
მხატვარი – ანკა კალანდაძიშვილი
სტუდიის ხელმძღვანელი – მაკა მახარაძე
დასაწყისი 17 და 19 სთ-ზე
მისამართი: გია ყაველაძის №10 (ფესვნაველი დელელიძის კუჩიდან)
ტელ.: 92 38 70
თანადგომისთვის მადლობას ვუხდით სპონსორებს
ჰიკოვიტი Pikovit
KRKA კრკა
PSP ჯგუფი GMP
ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდებით

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, სამოსის, საძინებლის გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით
ა ვ ი ა კ ა რ ი ა
arkia
თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 05.30-10.15
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 11.45-13.45
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშ დოლარი (ორი გზა)
შესაბამისი კვირის ღირებები
24 ივნისიდან 30 სექტემბრამდე
arkia ისრაელის არკია
ქარგარეთელის ქ. №7. ტელ.: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99. e-mail: mail@arkia.ge
მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი
ბილეთები აქ 'საქართველოს ავიახაზების' თელ-ავივის რეისზე.